

ქართული

ქართული





አዲስ አበባ

ደንብ መመሪያ

፲



ማክሰራር

“ዘዕሩኤል”

1992



კრებულში წარმოდგენილია შემდგენლის მიერ წლების განვითარებაში მოპოვებული ქართული მითოლოგიური გადმოცემების სპეციფიკური განრები — მემორიალები და უაბულატები, რომელთა ურთი ხაწილი ძღრისხვით კრებულებიდან, სხვადასხვა არქივებიდანაა მოღებული, ხაწილი კი მყინვა ავტორის მიერაა ჩაწერილი საქართველოს რაიონებში. ასეთი კრებული პირველად ქვეყნდება და განკუთვნილია გართო მემორიალი საზოგადოებრივის.

କେବଳ ପରିମାଣ ଆଗ୍ରହି କିମ୍ବା କିମ୍ବା
ଶାଖା କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା
ଆଗ୍ରହି କିମ୍ବା

K289.027
3

4702017200 - 281

0- ბრძ.91 © გამომცემლობა „მერანი“
3604(08) - 91



შემდგან ლისაგან

არაზღაპრული ხალხური პროზის სპეციფიკური ფანრები მემორატები (ბილიწები) და ფაბულატები (ბივალშჩინები) მთელს მსოფლიოშია გავრცელებული. აქ ამა თუ იმ მითური პერსონაჟის გასაოცარი, გასაკვირველი თავგადასავალი ნამდვილობის პრეტენზითაა გადმოცემული. თხრობის შხატვრულობას ნაკლები ურადღება ექცვა. მემორატებისა და ფაბულატების შესატყვისი ქართული ტერმინი არ გაგვაჩნია. მემორატი გადმოგვცემს მითოლოგიური პერსონაჟის ერთ რომელიმე მოქმედებას, რომელიც გასაკვირველია და სიუკეტურად მოკლე. ფაბულატები პერსონაჟების მოქმედება გართულებულია, ამდენად, ნიუკეტურადაც უფრო ვრცელია. ქართული მემორატული და ფაბულატური ტიპის მითოლოგიური გადმოცემები მოგვითხრობებს პანთეონის ღვთაებათა ტრიადის წკრებსე (მორიგე ღმერთი, კვირია და შე); ღვთისშვილების (იგივე ჯვარ-ხატების) ქართულ ოლიმპო მიჩნეული გერგეტ-მყინვარის მთასთან ჩამოშვებასე (დავანებასე); ღვთისშვილების – კოპალის, იახსარის, შუბნურის, პირქუშის და სხვათა მიერ ღვევების ამოწყვეტასა და ადამიანებისათვის საარხებო ტერიტორიის შემოსახლვრასე: კულტის დაარსებასა და ხთონური (მიწისქვეშა) სამყაროდან ეტალონური ფასეულობების მოპოვებასე; სამონადირეო მითური პერსონაჟების (დალი, ტყაშმაფა, შესეფი, ოჩოკოჩი და სხვა) ადამიანებთან გასაოცარ, საკვირველ ურთიერთობასე; ბოლოს კი მეზირის (გველის) კულტის ამსახველ მემორატებსა და ფაბულატებსე.

მასალები (ტექსტები) ამოკრეფილია სხვადასხვა სახის ფოლკლორულ-ენთოგრაფიული კულტურულებიდან, არქივებიდან და ხვენს მიერ ჩატარებული ფოლკლორული ექსპედიციების ჩანაწერებიდან.

დასათაურება, კუპირება, კუთხურ კილოზე (აგრეთვე მეგრულ-სვანურად) ჩაწერილი მასალების თანამედროვე სალიტერატურო ენის მიხედვით გადმოცემა ჩვენს მიერაა შესრულებული ბოლოს დართული აქვს ტექსტის პასპორტი.

წინამდებარე კრებული, რომელიც პირველად გამოდის ასეთი სახით, გათვალისწინებულია ფართო, მასიური მკითხველი სახოგადოებისათვის.

კოსმოგრაფიული მითები

1. მორიგა დართის მითი ხათისპალების
ზეცილან გადმოვავა



... პირველად მორიგემ რომ ხვთისშვილები ზეცილან გადმოუმვა, ისინი გერგეტს დაბინავა, გერგეტის მთის ძირში და ნებქნ არ აძლევდა, რომ ჯერ ხმელეთზე სახალხოდ გამოსულიყვნებ და მოქმედება დაწყოთ. გადმოშვებულნი კი იმიტომ იყვნენ, რომ დავაბიან უნდა ეწარმოებინათ ბრძოლა, რადგან დევები ხორციელთ, კ. ი. ხალხს ანადგურებდნენ, ხოცავდნენ და ყოველნაირად ავიწროვებდნენ მათ. ანგელოზი და ხვთისშვილი ხალხში ჯერ არ იყვნენ გამოსულნი და დევ-კერძებს ეჭირათ ქვეყანა, მოწინააღმდეგე არავინ ყავდათ და როგორც ეწადათ, ისე იქცეოდნენ. შეწუხდა ხალხი და არ იცოდნენ რა ექნათ, ხალხმა მკითხავების საშუალებით ის კი გაივთ, რომ ხვთისშვილები არიან გერგეტში ხალხის დასახმარებლად გამოშვებულნი, მაგრამ ღვთიდან არ პქონდათ მოქმედების ნება.

2. მორიგა დართის კოპალას მისა დიღი დახატი და
მოუღოცა ქაღი და გემლება

რომების გორზე იყვნენ დაბანაკებული დევები... მათ პქონდათ ხამჭედლო და იმათ გარდა ხვესურეთში სხვა მჭედლები არ იყვნენ. ვინც მათთან მიიტანდა რამე საჭედს... ისინი ქალს სთხოვდნენ — ლამაზი ვინც იქნებოდა ოჯახში, რამდი იქნებოდა თუ ქალი-შვილი. რამდენი ღირებულების იყო სამუშაო, შეაფასებდნენ და ეტყოდნენ: ამდენ დამეს გამოგზავნე ესა და ეს ქალიო, თუ არა, არ გაგიკეთებთ საქმესო. მეტი გზა არ პქონდათ და უსრულებდნენ დევებს სურვილს.

ერთ კაცს ძალიან ლამაზი ცოლი ჟყავდა და გუთნის იარაღის გაკეთებაში ის სთხოვეს. რადგან იარაღები აუცილებლად საჭირო იყო, რადგან უიმისოთ შიმშილით ამოწყდებოდნენ, გაუგზავნა ცოლი. ცოლი რომ დაბრუნდა უთხრა: იქ რომ არ გაგვგზავნე და აქვე მოგვალი, ჟერთესი იყოვთ და დაიწყო ტირილი. კაცი შეწუხდა, არ იცოდა რა ექნა. მერე ერთი თეთრი ხარი პყავდა და თქვა,

¹ აქ და ქვემოთ მოტანილ სხვა მასალებში, საღაც თხრობა დიალექტით იყო წარმოდგენილი, ჩვენ ლიტერატურული ქართულით გავმართეთ, ოღონდ, უცვლელად დაკროვეთ მითოსური ცნებების ადგილობრივი კონსტრუქციული წარბ.

მოდი ამ ხარს ღმერთისათვის დაგელავ და იქნებ რამე გვეშვე-
ლოსო. მორიგე ღმერთმა შეიწყნარა ამდენი კედრება და ხარის
დასახსნელად გამოგზავნა კოპალა. მისცა ერთი დიდი ლაბრი,
მოულოცა ძალი და შეძლება, რომ დვეები გაენადგურებინა.

3. კოპალას მოსალა და მისი დავანება (დაარსება) მდიდარობის მისა — ინები კალოე

... კოპალა მოვიდა და ფშავის მთაზე უძილაუროთის თავს,
ირემთ კალოს რომ ეძახიან, იქ დაარსდა (დაივანა) და თვალყურს
ადვენებდა, ხად იქნებოდა მოსახერხებელი დევებთან ბრძოლა. ამ
დროს ერთი ხორნაუთელი კაცი, ხორნაულთ სოფლის პირდაპირ,
ყანას ხნავდა. როშეის გორაზე ერთი დევი წამოდგა და ასე
მოახდინა საქმე, რომ დვარი ასტეხა და ხარი და კაცი სულ
ჟელა დვარმა წაიღო. მას (მხვნელს) გაგონილი პქონდა, რომ
სადღაც გმირი კოპალა დაარსდა, დევებს ხოცავს და ხალხს
ეხმარებათ. ამ გაჭირვების დროს გაახსნდა და შემოსხახა:
აგმირო კოპალავ, მიშველე, წყალს ნუ წამაღებიებ და რასაც
ვხნავდი, ეგ მამული შენდ შამომიწირავო.”

ეს კოპალამ მაშინვე გაიგო და იმწამსვე იქ გაჩნდა, ღვარი
შეაჩერა და კაცი ცოცხალი გადაარჩინა. ლახტი ესროლა და
დევების ბინას ცეცხლი წაჟუიდა. მერე მივიდა და სულველა ამო-
წყვიტა იქ მყოფი დევები. ერთი დევი შეძვრა როშეის ციხეში.
ესროლა ლახტი და ციხეს კუთხე მოუმტვრია. დევი აქედანაც
გაქცა და როშეის მთაში ერთს კლდის ძირში ჩაძრა. ამ
კლდესაც ესროლა ლახტი, გახეთქა კლდე ორად და დევს თვალი
მოსთხარა. ამ კლდეს იახსრის კლდე პქვია დღესაცო, — თქვა
ბეწინივამ, მაგრამ ლახტი კოპალამ დაპკრათ. სულ ერთი და იგივე
არის, თუ გინდ იახსარი თქვი, თუ გინდ კოპალათ. აქედან თვალ-
გამოთხრილი დევი გაიქცა და აბუდელაურის ტბაში ჩაძრათ.

4. დავანების პანაღბურება უშმის ანაელოზისა და იახსარ-კოპალას მის

ბაგურხვში არის სოფელი, რომელსაც საკერპოს ეძახიან. აქ
უფოლა ცხრა ძმა დევი და მდოცველები არ გაუშვიათ აქეთკენ...
იცოდა ხალხმა რომ ისინი დევები იუნენ და ეშინოდათ... კოპალე

მოუწვევია ფუძის ანგელოზს. კოპალე და ფუძის ანგელოზი მშენდო
არიან. იახსარიც გამოჩენილა და ფხიტურზე ეს ხატები კორალი მართვა
ჭრილიან. ფუძის ანგელოზს უთქვია: მე ხავალ საკერპოს ღვევეთან,
ოქენე აქ მომიცადეთ, და თუ გამიჭირდა, მომეშველეთო... ის დვები
„დაუხოცია ფუძის ანგელოზს ლაბტით. მემრე ცოტა შაპგვიანებია.“
კოპალა და იახსარი წასულან და გზაში შეურიათ ფუძის ანგე-
ლოზს...

5. ორგონია დევი უშავლის უარმოდებით?

„უშავლის წარმოდგენით დვე არის ახოვნი, ტანი ხშირი ბა-
ლნით აქვს შემოსილი, დვეი დღე იმაღლება და ღამე გამოდის სანა-
დიორდ. დვეს ისე არაფრის ეშინია, როგორც მახვილისა და ცეც-
ხლისა. დვეი კაცს პგავს სახით, მაგრამ მისი სახე უმსგავსია, წელს
ზვით ღორივით ჯაგარი ასხია. დვეებს წინათ უნდარდნიათ ხალხ-
ზე: ჟღლეტიათ ხალხი, ჟქამია... ქვეყანა შეწებებული, შეძრწენე-
ბული ყოფილია იმათგან. მაგრამ ნნდება ხატები და ისინი უტეხენ
დვეებს ბრძოლას. ცხოველი ხატები, რომელთაც გაფლიტეს დვე-
ბი, არიან კოპალა და იახსარი. უშაველი დღესაც უწვენებს ადგილს,
სადა და სად გადაუხდიათ ამ გმირებს დვეებთან ბრძოლა. დვეები,
უშავლის წარმოდგენით, დღესაც არიან, მაგრამ იმაღლებიან და
უცდიან დროს, რომ ხატების კედრება გადავარდეს; ისინი მონატ-
რულნი არიან, ხალხმა აღარ იწამოს და უარპყოს ხატები. ეს თუ
მოხდა, მაშინ ისვე გამოვლენ დვეები საფრებიდან და დაიწყებენ
ნარდიშობას.

6. დვავას უახის კოჩაბი უარუნაშვილი აკაი

უშავლების წარმოდგენით, დვეი საშინელი არსებაა. სახარე-
ლია მთელი მისი სხეული. ამ საშინელების აღწერისას ხალხი ასეთ
სიტვასაც იტკვის: „დვეებს კოჭ ჟუდმ აქვისო“ — ეს იმას ნიშნავს,
რომ დვეს ორივე ფეხი შებრუნებული აქვს. კოჭი მოქცეულია წინ,
ხოლო ფეხის წვერი თითებით უკანა მხარესაა.

კოჭი ჟუდმა აქს აგრეთვე ქაჯს, უშმაქს. ქაჯი და უშმაკი თით-
ქმის გაიგივებულია. საშინელი სანახავი ყოფილა დვეი ქედიელი.
მას კოჭჟუდმ სიარული სცოდნია. დაფარული ყოფილა ბალნით,

თავზე სალულე ქობი (ქვაბი) ჰეურებია, რომელსაც სიარულის
დროს აზანზარებდა (აედრიალებდა) და ხალხს შიშის ზარს უკარავდა
ძღვი.

7. პრეალაზ დავი მიზი კვაშ გადაკარგა (გამოწრივლება)

დევები უმეტესწილად ბნელ ხვევბსა და უდაბურ ადგილებს
ეტანებიან. ისინი ხშირად მიწაში ჩადიან, უჩინარდებიან თავდაც-
ვის მიზნით ან ხევადასხვა გარემოებათა გამო. მას ხალხი „დევი
გამიწრივლებას“ ეძახის.

ერთ კაცს, შუაღამისას ტყეში მიმდინარს, დევი შეხვედრია, მი-
წიდან საითამ ამოძრა. სახარელი სანახავი იყოო, უთქვია იმ კაცს.
შევხედე და კინაღამ გავთავდი... წინ გადამიდგა, არ მიშვებდა, ცე-
ცხლივით თვალებს აბრიალებდა და ქობივით (ქვაბივით) ლაშო
აღრენდათ.²

მერე კი მამაგონდა, როგორ უნდა მოვქცეულიყავ. სამჯერ გადა-
ვიწერე პირჯვარი და ბერ კოპალის შავებვეწე: ავხულისგან დამიხ-
სებიო. იმავ წამს ცახე რაღაცამ გააბურჯდლა,³ ჩემ წინ მიწა გაიხ-
სნა და დევიც თან ჩაიყოლა. მე გულზე მომეშვა, შინ გამოვწიო, —
უთქვამს იმ კაცს.

8. დავის გამოწრივლება პრეალაზი

ხალხის წარმოდგენით, გარდა ხვთისშვილებისა, არსებობენ
აგრეთვე ავი ხულები, ბოროტი ძალები, რომლებიც დევების, ეშმა-
კების (იგივე ქაჯების) სახით ცხოვრობენ. ისინი იბრძვიან კაცთა
მოღმის წინააღმდევ. მათი ბრძოლა ძე-ხორციელთა წინააღმდევ
უმეტეს შემთხვევაში ფარული (გამიწრივლებული) სახით მიმდინა-
რეობს („მისეულობითო“ — იტყვის ფშაველი), მაგრამ ზოგჯერ სა-
ხინოც ხდებათ.

² ლაშო აღრენდა — პირს უშნოდ აღტბდათ.

³ გააბურჯდლა — გაანათა, გააკაშეაშა.

ავსულები აესკიან უსიერ ადგილებში დასახლებულ ხალხს,
ოჯახს, სხვადასხვა ადგილის განწყდებიან ხოლმე. არსებობს სტატიკულ
ლექსიც:

ლექს გამიწრივლდენ გომეწარს,
მცხოვრებნ დაშინდნენ კველანი,
დაუჭურავის ავსულთა
ხვენი, მთანი თუ კველანი.

9. დევების დამარცხება უფლის გაათებული ხალი

ადრე დევებს ქვირათ ეს ქვეჭანა. ჭიანჭველაც ვერ გაივლიდა
მათი შიშით. ჭამდნენ ხაღირის ხორცს. მრავლდებოდნენ. ადამია-
ნებიც ცხოვრობდნენ მიწურ სახლებში, მაგრამ დევების შიშით გა-
რეთ ვერ გამოდიოდნენ.

უფლის ბრძანებით, დევების მომსპობი კაცი დაიბადა ჩვეულე-
ბრივი ქალისაგან. ის კაცი მაღვე გაიზარდა, ღონე დიდი ჰქონდა.
ხეს მოგლეჭდა და მხარე გაიდებდა. ამ გმირს უფალმა უბრძანა:
გაეკეთებინა ასეთი და ასეთი ხმალი, თვით უფალი არავის ქჩენე-
ბა, მას ანგელოზები ჰყავს, რომლებიც აუწყებს კველას უფლის ნე-
ბას. ანგელოზის რჩევით გააკეთა გმირმა სახურველი ხმალი. თან
უფალმა ძალა მოუმატა, რათა დევები ამოეწვიო.

ბევრი დევი დახოცა ამ გმირმა. გადარჩენილი დევები გამოქვა-
ბულში გაიქცნენ. ვადით იუნენ. უვალოდ არაფერი არ არის. ამის
შემდეგ ადამიანებმა დაიწყეს ნორმალური ცხოვრება.

კველა კაცს თავის ანგელოზი ჰყავს: მარჯვენა მხარე უკეთილი
ანგელოზი ახის, მარცხენა უკეთი – ბოროტი. რომელი დასძლვეს, კა-
ციც იმის იქნება.

10. უშის ანგელოზის პროცეს დევ-კარავაზიან

...ბაკურებები დევები მდგარან, — საკერპოში. იმისი (ბაკურ-
ებების ფუძის ანგელოზის) მლოცვავი არ გაუშვიათ იმ დევებს... მერე
შეიყარნენ ხთისშვილები, რომლებიც ფუძის ანგელოზმა მოიწვია.
დაეცნენ და გასწევიტეს დევები და გზა გაანთავისუფლეს. თვი-
თონ (ფუძის ანგელოზი) ძალა საცა ბრძანდება, დევების ნახახლა-
რებია. იახსარმა უთხრა (ფუძის ანგელოზს): ამაში შენ დადექ, თო-
8

რემ (დვები) ისევ გათეხლდებიანო (მომრავლდებიანო). დაბინავ-
და უკუმის ანგელოზი, მაგას, აბა, ვინ წაუკა, ან სად წაუკა. ცერიტული
ჟანახოში (სოფლის სახელია) დევებს სოფელი პქონიაში აღმართია
მიანებივით ყოფილან, ოღონდ „ფეხები უკანა პქონიათ, ცერი თი-
თები არა პქონიათ. ამათგან არის მოგონილი ვე მჭედლობა. საცა
კი იდგომებოდნენ, ჰელგან სამჭედლოს გააკეთებდნენ.“ დევებს იქ
სალოცავი პქონიათ...

11. საგმირო ლახტს მორიგა ჩვერთი იძღვვა

...დევებმა ქალებს დაუწეუს წამება, თურმე ისე მოაჯადოვს, რომ
ქალები თვითონვე მირბოდნენ დევებთან. ეს ამბავი ხვთის შვილებ-
მა (ხთის ნაბადებმა) იწყინეს. შესთხოვეს მორიგე ღმერთს, რომ კა-
რატიონისთვის (კარატის ჯვარისთვის) ძალა მიეცა... მორიგე ღმე-
რთს საგმირო ლახტი მიუცია კარატიონისთვის. რაღაც ცეცხლი-
საგან ყოფილა ეს ლახტი გაკეთებული. სადაც დაპკრავდნენ, იქ ცე-
ცხლს აჩენდა.

12. კაორიას გამამართლი ლახტი და იახსარი

საკერპო კერპების (დევების) ნადგომია. დევები რომ მანდ კვერს
დაპკრავდნენ, ძგარი-ძგური გუდამაყარს ისმოდაო, — ისეთი სამ-
ჭედლო პქონიათ... კარგი მჭედლობა სცოდნიათ...

ხალხი რომ შეწუხებულა. უთქვამთ: რა ვქნათო, შეკრებილან
და საკლავი დაუკლავთ, შეხვეწინიან: ლამის დევებმა შეგვჭამესო.
შეურილა სამას სამოცდასამი ხვთის შვილი.

შაიყრებიან ხვთის შვილნი სამას სამოცდასამია,

შაიყრებიან დევები, საცა დიდ მოედანია,

მოდი და ბალე გავაბათ, სუ შავრათ ფშავის წყალია,

კვირამ ლახტი გაკეთა სამასი ლიტრიანია;

ვეელა ავწივეთ, დავწივეთ, ვერ გაუყარეთ ქარია...

ბოლოში იახსარი იჯდა და იმან ასწია („მან გაუყარნა ქარია“).
კვირამ შეულოცა (იახსარს) უფრო დიდი ძალი რომ მისცემოდა...
საკომიდან (საკვამური ხარკმლიდან) დაარტყა იახსარმა სამას ლიტ-
რიანი კვირას გაკეთებული ლახტი (საგმირო) და ამოხოცა დევები.
ერთი კი გაექცა და აბუდელაურის ტბაში ჩაძროა...



იახსარი პირველად კოფილა ხორციელი. წმინდა ჰერიტაჟის სამსახურის მღლოცავი და ხვთიდან მოცემული დიდი ძალის მქონე... ის ებრძოდა დვეებს და ანადგურებდა. იმ დროს დვეები (დვე-კერპნი) ზეპირად (მიწაზე) გამოსული კოფილან. ხოცავდნენ და სჭამდნენ ხალხს... მორიგე ღმერთმა იახსარსა და კოპალას, ერთურთის მოძმეთ, ორი-ვე წმიდა ბერს, მოულოცა ძალი და შეძლება დვეებთან ბრძოლისა და მათი განადგურებისა.

იახსარს ხინაბში (ადგილის სახელია) ჰქონდა პატარა სამლოცველო და საბერო... აქვე, საბეროს წინ, იახსარს ჰქონდა საყუჩი – საყარაულო... აქ ყარაულობდა იახსარი ერთ დიდსა და მდიდარ დვეს გამხვეურას (გამხვეურა ამ დვეს იმიტომ ერქვა, რომ იგი გახვეებული იყო ცოლ-შვილითაც და ცხოვრებითაც). გახვეებული – გამრავლებული, გამდიდრებული). ეს დვევი ცხოვრობდა იახსარის საცხოვრებლიდან დასავლეთ მხარეს; იმ ადგილს შემდეგ დაერქვა გამხვეურთ კარი... შეაფხოდან ნახვარი კილომეტრის დამორჩილი დასავლეთ მხარეს იახსარის ბინა იყო... გამხვეურასა და იმის პირდაპირ მოსახლე დვეებს ფაცერი ჰქონდათ გაბმული. ფშავის ძრავის ჭალაზე გამვლელ ხალხს იჭერდნენ და ჭამდნენ. ეს დვეები აქ რომ გამრავლდნენ, მოინდომებს ავისგორს (ადგილის სახელია ა. ც.) დასახლება... წამოვიდნენ და აქ დაიწყეს შენება. გაიგო იახსარმა... ხვიდან მიეპარა... იახსარი იმ დროს მივიდა, რომ კარისთავებ დებდნენ ცხრანი დვენი და ვერ ერეოდნენ... (კარისთავად დიდი ქვა იყო შესადები). იახსარმა გადაიკვართა კალთები, მოავლო ხელი ქვას და მარტომ შეაგდო. შემინდნენ დვეები და გაიქცნენ. იახსარმა კარის თავიც იმათ ესროლა და გამხვეურთვარს სახლი დაუნგრია. ჯერ არ იყო ბრძანება მათი მთლიანად ამოწყვეტისა...

ხაშარს (ადგილის სახელია ა. ც.) სახელგანთქმული დვეები ცხოვრობდნენ – მუხა და ბეღელა. მუხა კოფილა და დვეების მეუე და ბეღელა ლამაზი დვევის ქაღლი... სოფ. უძილაურთის თავს, ზედ მთაზე, დიდი მოედანი არის, რომელსაც ირემთ კალო ჰქვია... სახელგანთქმული დვეები დაბარებული იჯნენ, ყოველგანით უნდა მოსულივნენ... იახსარსა და კოპალას განხრაზე ჰქონდათ ამ დროს დვეების ამოწყვეტა. ბრძანებაც ასეთი იყო მორიგე ხვთისაგან.

იახსარი ჩუქად წავიდა და ხაშარის გამოსავალში ხაპარავის ულში ჩაუსაფრდა. ხაშარიდან წამოსული მუხა დვევი ამ გზით გამო-

ივლიდა ირემთ კაღოსკენ მიმავალი... მუხა მთახე შემოხდა (გაძო-
ნიდა)... იახსარი აქ იყო ჩასაფრებული, დაპრა თავში ლაბტი და
მუხა დევი აქვე მოკლა... ხაშარში რაც დევები იუნენ მუხას შეხვედრით
ველებლად გამოემართხენ. მივარდა იახსარი თავის ლაბტით და
სულ ამოწყვიტა ჟველა დევი. სახლიც დაუქცია... ზოგი იორზე გა-
იქცა. დაედევნა და გზადაგზა სულ ამოწყვიტა დევები.

14. იახსარი დავს ააუდალაურის რააში ჩამავა და იქ მოკლა

იახსარმა გამხვეურო კარის დევებს ესროლა ლაბტი თავისი სა-
ფრიდან, ბანი დაუქცია, ეცა და ჯვალა ამოწყვიტა. შემდგა გავარ-
და თხილიანში და თავის ლაბტით იქაური დევებიც ამოწყვიტა.
მაგრამ გაიგო რომ ერთი უფრო დიდი დევი ხვეურეთისკენ გაეჭა.
დაედევნა იახსარიც... ქმოსტ-როშვა აიარა და აბუდელაურს (ქმო-
სტის მთა) დაეწია. იქ რომ ვედარ გარბოლა, დევი ჩაძრა აბუდელა-
ურის ტბაში. ჩაძყვა იახსარიც, ძირს ჩასულს დაპრა ლაბტი და
მოჰკლა. დევის სისხლმა ტბის ზედაპირი დაპუტარა და იახსარს გზა
შეკრა. იახსარი სამს წელს დაკარგული იყო. ვედარ ამოდიოდა
ტბიდან, ხალხი ეძებდა: რა იქნა ის დევების მხოცველი ბერი იახსა-
რი, რომელმაც დევებისაგან გაგვითავისულდა და თვითონ კი და-
იკარგათ. ბოლოს მისი ამბავი ერთმა მკითხვემა გაიგო და გამოუც-
ხადა ხალხს. ხალხმა მის ამოსაყვანად ბევრი იწვალა, მაგრამ ვე-
რაფერი უშველეს. ბოლოს ისევ მკითხვემა უთხრა, რომ იახსარი
აბუდელაურის ტბაში არის სიმურში დამრჩალი, იქ მას დევი მოკ-
ლა, დევის სისხლი ტბის აქვს გადაფარებული და ვედარ ამოვა, მა-
ნამ ეს არ გაიხსნება და გზა არ ექნებათ. ახლა ამ სისხლს რა მო-
შორებდა და ამ გზას რა გახსნიდა, მასხე დაღონდნენ. ესეც ისევ
მკითხვემა გამოურჩია: სოფელ ბლოში ერთ კაცს ოთხრქა-ოთხური
ცხვარი ჰყავს, ის გამოართუით, იმ ტბაში ჩაპალით და გზა გაეხ-
სნებათ. მოსთხოვეს ბლოელ კაცს ეს ცხვარი და უარი არ უთხრა. წა-
იყვანეს და ტბის პირზე დაკლეს, ხადაც ქვას ეტყობოდა იახსარის ნა-
ლაბტარი (როცა ტბის პირზე მისულ დევს ლაბტი ესროლა, თვალი
გამოსთხარა და კლდე თთხად გაატეხინა, აი ამ კლდესთან დაკლეს
ოთხრქა-ოთხური ხაკლავი). სისხლი ტბაში ჩავიდა, გაიხსნა ტბის
ზედაპირი. ერთი ბროლის ქვა ამოვიდა და ამოჰკლა იახსარი. ის ქვაზე
ტრედის აღით (ხახით) დაჯდა. უმათ დაინახეს და დაიწყეს პირჯვრის
წერა. მას შემდეგ იახსარი ხორციელობიდან იქცა ხვთისშეიღად.

იახსარი აქედან გაფრინდა და ლიქოკის თავს კარატის წვერე
მოიკიდა კოჭი (კ. ი. დაბრძანდა)... მასაქეთ აქ იახსარის ჩრდილოეთი
შეი) და საზღვე ააშენეს. აქედან გამოფრინდა და უბისშემცირებული
მაღალ მთაზე მოიკიდა კოჭი. აქაც საზღვე და კოჭი არის აშენებული. აქედან შუაფეოში ჩამოვიდა და აქ სამუდამოდ დაარსდა.

15. იახსარი და „რაჭალას ტააში“ ჩავარდილი ცალივალა დავი

იახსარი ანგელოზი იყო და ანგელოზად ჩამოვიდა ციდან. სა-
დაც დღეს შუაფეოში საყდარია, იქ დევების სადგომი იყო. სახელად
ამ აღვილს „ავისგორი“ ერქვა. იახსარი გადის პირდაპირ და
ჰელეტს დევებს ლახტით აქაც და სხვაგანაც; გადაურჩა მხოლოდ
ერთი ცალთვალა დევი და გამჭება; დევი ახადს „წაწადას ტბაში“
ჩავარდნილა, იქ უნდა დამბლულიყო. იახსარი ტბას არ შეუმინდა,
თან ჩაჟვა და მოპკლა ცალთვალა დევი. დევის სისხლი მაღლა ამო-
ვიდა, გადაეფინა ტბას და მთლად დაფარა, გაება ზედ აბლაბურა-
სებრ. იახსარი, რაღვან წმინდა იყო, ანგელოზი, ღვთის შვილი,
ვერ ამოვიდოდა მაღლა, რომ დევის სისხლი არ მისცებოდა და არ
გაუწინდურებულიყო. დარჩა ხატი იახსარი ტბაში. ხალხმა გაიგო
ეს ამბავი და დიდად შეწუხდა. ქადაგის პირით ხალხმა ღმერთს შე-
თხოვა, ესწავლებინა მას ხალხისთვის საშუალება იახსარის ტბი-
ლის განთავისუფლებისა. ღმერთმა ქადაგისავე პირით გამოუცხადა,
ემოვნათ ოთხრქა, ოთხკურა ცხვარი და იმის სისხლით გაენათ-
ლათ ტბა, კ. ი. სისხლი ამ ცხვრისა ჩაეღვარათ ტბაში, ანუ შიგ ჩა-
კლათ ცხვარი. უშავში ბევრი ეძებეს ოთხრქა, ოთხკურა ცხვარი,
მაგრამ ვერ მოიძიეს. ბოლო დროს ხევსურეთში აღმოჩნდა ეს საოცა-
რი ცხვარი. ღვთის ბრძანებისამებრ წაიჯანეს და ჩაკლეს ცხვარი
წაწადის ტბაში. მაშინვე ცალი პირი ტბისა გაიხსნა და იახსარი
მტრედისფრად ამოვიდა ტბიდან, შემოჯდა ტბის პირად ქვაზედ და
დიწყო მხრების ბლერტა, სწორება...

16. იახსარი და ოთხრქა-ოთხკურა ცხვრის პატრიოტი

...რომელმა ბლოკლმაც ოთხრქა-ოთხკურა ცხვარი მისცა, იმას
უთხრა იახსარმა: „შენ კა სიკეთე ქენი, რომ ცხვარი მიეცი ჩემთ
12

ემათ და მე დამიხსენიოთ. შენ ერთხელ მიშველე, ხამაგიეროდ შე სამ-
ჯერ გიშველიოთ. როცა ძალიან გავიჭირდება, მაშინ შემომქანე და
დაგიხსნიოთ (შაძახება: როცა გაუჭირდოდათ, ქუდი მოიხდედნენ
და შეეხვეწებოდნენ რომელიმე თავის სალოცავი ხმას
გაიგებდა და მიეშველებოდა...).

ბლოკელი კაცი იახსარმა ორჯერ გადაარჩინა ოჯახიანად ავად-
მყოფობისაგან დაღუპვას. მესამედ შემოსხახა უბრალო საქმეზე...
ამ დროს თურმე იახსარი ხთის კარზე იყო შამხდარი რაღაც დიდი
საქმისათვის, თავის სახელის ხეხნება და შეძახება გაიკო და მოსა-
შველებლად მობრუნდა ხთისკარიდან. იქ კი, აუცილებელსა და დიდ
საქმეს თავი დაანება. მოვიდა და ნახა, რომ ამას დიდი არაფერი
უჰირს, ცოტა საქმისათვის შევძახებია და ხთისკარიდან იმის-
თვის დაუბრუნებია. გაწყრა იახსარი, შერისხა და ის ოჯახი სულ
ამოწყვიტა. მერე მკითხავის პირით თქვა: იქ ხთისკარზე ძალიან
დიდი საქმისათვის ვიყავი მისული. შამოძახება რომ გავიგე, ჩემ
წესს ვერ გადავედი, მოვბრუნდი ხთის კარიდან და შემოძახილის
ადგილზე მოვედიო. ვნახე რომ საქმეს არაფერი უჰირდა და იქ კი
დიდი საქმე დარჩა გაუკეთებელი. ამიტომ გაუწყერი და თავის ოჯა-
ხით ამოვწყვიტო...

17. იახსრისა და პირქუშის გასამართლება ხვილის პარამ

...პირქუშს სამი კარგი ვერცხლის თასი პქონდა და იახსარმა
ეს თახები სთხოვა. პირქუშმა არ მისცა, მაშინ იახსარმა წაართვა
ძალით და მოიტანა თავის სამლოცველოში. ბოლოს, როცა ერთიც
დვთისშვილი გახდა და მეორეც, პირქუში ამ თახებს ისვე ედავებო-
და. ბოლოს ხთის-კარზე რჯული (განჩინება) პქონდათ. დამბადე-
ბელმა და კვირამ გაარჩიეს ეს საქმე და თახები პირქუშს არგუნეს,
რადგან ძალით იყო წართმეული და ხთიშვილთ ერთი-მეორეში ძა-
ლადობის ნება არ პქონდათ დამბადებლისაგან. ძალადობის ნება
მარტო დჟვ-კერპებთან პქონდათ... ბოლოს მკითხავის პირით იახ-
სარმა გამოაცხადა: — მე და პირქუშს ხთის კარზე რჯული გვქონდა;
ვე სამი თასი პირქუშს არგუნესო. ძალიან დიდი ხანი არ არის მას
აქეთ, რაც ეს თახები იახსრიდან ახადში — პირქუშში წაიღეს. მას
აქეთ აიკრძალა შუაფხოელი ქალის ახადს გათხოვება და ახადელი
ქალისა — შუაფხოში. ეს წესი დღესაც დაცულია.

იახსარმა ბოლოს იორზე და თიანეთში ყველგან ამოწყვიტა და
ვები და დაბრუნდა შუაფხოში. აქ ისვე იყვნენ დევები და ჟაბას სამართლად
ესენი ამოწყვიტა.

18. იახსარი ღვვებისაპან დაიხსნის პირვეში

...იახსარი იორზე მიჰყებოდა და სადაც მათი ბინა იყო, ყველგან
ამოწყვიტა დევები. ამ აღილებზე ყველგან არის იახსარის ნიშები,
სამღოცველოები. მაგალითად იხინჭას (ქვემთ თიანეთშია) ყოფილა
დევების დიდი ოჯახი. შებრძოლებია იახსარი და გაუწყვეტია. მერე
ამ აღილსაც თვითონ დაპატრონდა... ერთი დევი ზემო თიანეთს
იყო სახელგანთქმული, რომელსაც ვერხველას ეძახდნენ. ეს დევი
თავის ცოლ-შვილით ცხოვრობდა ზემოთიანეთის სათავეში, ერთ
ვიწრო ხევზე და ამ არემარეს ძრავის შევძლო გავლა. მას ჰყავდა
დიდი ოჯახი. ეს დევები იჭერდნენ ადამიანებს და ჭამდნენ. მათ და-
იჭირეს პირქუში — ოქრომჭედელი და ტკაც ჰყავდათ. აკეთებდნენ
იარაღს — შშვილდ-ისარს და ოქრო-ვერცხლს (პირქუში ბოლოს სა-
ლოცავად არის გადაქცეული, ილოცავენ ბაცალივოში და ფშავში
სოფ. ახალში. ეწოდება პირქუში ცეცხლის ალიანი...). პირქუში
ბევრს ცდილობდა, მაგრამ დევების ტყვეობას თავი ვერ დააღწია.
იახსარმა ეს რომ გაიგო, მივიდა ჩუმად და პირქუშს უთხრა: დაგიხ-
სნი, თუ ერთ კარგ სარს გამიკეთებო... იახსარი დევებს თავს დაეს-
ხა და თავის ლაბტით ჯერ ვერხველა დევი მოკლა, მერე ჰყელა ამო-
წყვიტა და პირქუში გაანთავისუფლა. პირქუში წამოვიდა და ახა-
ლში დაბინავდა. იახსარს დაპირება შეუსრულდა და ბოლოს თვითო-
ნაც ხეთისშვილად გადაიქცა.

19. იახსარს ღვვის ლაგაზი კალები ზიბლავნე

...იორზე, ვერხველის დევთა განადგურებისას კოპალის ხმალა
დასმმობილებია, ...ხმალა ერთ მეტად ლამაზ დევის ქალს მოუხიბ-
დავს და კოპალასათვის მისი ცოცხლიდ გაშვებაც კი უთხოვნია.
კოპალის მისი მუდარა არ შეუწყნარებია და დევთა შეოთუნავიც
სხვა დევებისათვის მიუჟოლებია...

მათურხვეს სცოდნიათ ფშავის ხვის ღვთისშვილებს შეკრება...
წისულან საღამქროდ... იახსარს რგებია ცოდვიან ტბაზე წასვლა.



დევები ყოფილან იქა. კველა დაბრუნებულა და იახსარი არ მოსულა ლაშქრობიდან. მერე მოსულა დაგვიანებით. უკითხავთ: სატრაქულის თო, იმას უთქვამს: — ქალი ამოვიდა ტბილან, ისეთი მშვენიერი იყო, სამჯერ გადაუდვი ისარი და ვერ ვესროლეო, ვერ გავიმეტეო („ვერ გავიქმერეო“). მერე საყვედური უთქვიათ ღვთისშვილებს, რა-ტომ არ ესროლე, ის ხო ეშმაკისა იყო.

20. პირველი

პირქუში კაცი ყოფილა, ოქრომჭედელი — ხვესური. სიწმინდეს იცავდა. სიკვდილის შემდეგ იქცა, ალბად, ხატად... კარგი ახალგაზრდა ყოფილა, ქალებს მოსწონდათ, მაგრამ იმას ჰქუაში არ უჯდებოდა, რომ მათთან ყოფილიყო. სიწმინდეს იცავდა, შეულახველი იყო. ღმერთს მისთვის ბედნიერი (ავადმყოფობა: ციმბირის წყლული) შეუყრია. პირი გადატრუშია და ასე გამხდარა პირქუში. მერე წმინდანად ქცეულა, ღმერთს მიუცია ნება, რომ ანგელოზად ქცეულიყო. მისი ნაკეთები თასებით ზოგ ხალხს უვაჭრია, ზოგს კი ხატებში მიუტანიათ.

21. შეანურის ჯვარის მოქვანა თუშეთიდან

შუბნურის ჯვარი არის გველის სახით. ის თუშეთიდან მოუკვანიათ. თუშეთიდან მოსულა, თურმე, ერთი თათარი. მას მთახელიქოკელი შეცხვარები შეხვდნენ და მოკველა დაუპირეს. მან სთხოვა: „ძიმავ, ნუ მოქლავ“-თ. ძიმა — ძმას მაგიერ იხმარა, რადგან ქართული კარგად არ იცოდა. ჩაკი ძმობა უთხრა, წამოიუკანეს და ადგილი მისცეს სოფლის მოშორებით. იქ დაბინავდა. შეუკვარდა ხვესური ქალი. მოიყვანა. მასთან შვილი ეყოლდა. ხვესურებმა შეიძულეს და თავისთან არ უშვებდნენ. იმ ღროს შუბანი (სადაც თათარი დასახლდა ა. ც.) დიდი სოფელი იყო. ასე სამოცი კომლი ცხოვრობდა. ეს სოფელი უფრო აწუხებდა „ძიმას“... ძალიან დაღონებული იყო... ხვესურის ქალისაგან ცხრა ვაჟიშვილი ჰყავდა, მათ დაერქვათ ძიმაისძენი. ძალიან ამაყი და კარგი ვაჟაცები იყვნენ... ძიმამ გადაწყიტა წასულიყო და თავის მტრებთან საბრძოლველად

თუშეთიდან მოეცვანა შუბნური ჯვარი კოპალის მოძმევდ. წავიდა და იქიდან ვერცხლის თასი წამოიღო და ჩუმად, ვისიც ჯავრმა ჭირდება... იმათ სახლში მიწაში ჩადგა, ისინი (მტრები) იყვნენ სამხრი შესხია... ამ თასის ჩადგმის შემდევ, შუა კერიაში ერთი იფანი მოვიდა. მეტა-
მა მოხსრეს და გადააგდეს. მეორე დილით ისვე ამოვიდა იფანი და ისვე მოხსრეს. მესამედ რომ ამოვიდა, გველი ამოჟვა და ზე-
მოეხვია. მძებმა იგრძნეს, რომ აქ რაღაც ამბავიათ და სახლიდან
გაიკრიფნენ. ერთ მმას ჩალხი ერქვა. მან სახლს ცეცხლი შეაყარა და
დასწვა. თვითონ მაშინვე წავიდა იქიდან. შორს რომ გაიარა, მოი-
ხედა — ნეტავ რა ქნა ცეცხლი რომ წაუკიდეთ... ამ დროს ცეცხლის
ნაპერწკალი გამოფრინდა და ეცა ჩალხის ცხვირზე. ცხვირი რომ
დაეწვა, ხელი მოისვა (მოიკრა), ცხვირი მოვარდა... და დარჩა უც-
ხვირო ჩალხი.

ამის შემდევ შუბანიდან აიყარა სამოცივე კომლი და ეს ადგილი
დაიჭირა შუბნურმა ჯვარმა და ახლაც მის ხელშია. ამ გველს ხან-
დახან თვალით ხედავენ...

22. კაირია ლიქონალი და მარა — უაგშერი

ერთხელ სოფელ კარწეულთაში მცხოვრები კვირიკა ლიქონე-
ლი გზად მიღიოდა და ნახა კვათის (ადგილის სახელია) ბოლოს
შეოლარე გველი. ძალიან დიდი, დიდი თვალები პქონდა... კვირიკაშ
თურმე სამი ქვა ესროლა, სამივე მოარტყა და იმან კი უზრიც არ
უდო კვირიკას ქვის სროლას... კვირიკამ ქვების სროლას თავი და-
ანება და შინ წავიდა. არ გასულა ერთი კვირა, რომ კვირიკას სამი
შეილი მოუკვდა, ორი ვაჟი და ერთი ქალი. ხვესურებმა ეს ამბავი
მიაწერეს გველისათვის ქვის სროლას. ამის შემდევ ლიქონელებმა
თუ დიდი გველი ნახეს, ყველა შუბნური სალოცავი პგონიათ, გველს
არ კლავენ და აქ გველები თურმე საშინლად გამრავლებულა...

შუბნური კოპალის ემორჩილება და მისი განკარგულებით ძა-
ლიან ეხმარება კოპალის და მის საერთო ყმებს. თუ ხაღმე ვინმე
ლიქონელი კაცი განსაცდელში ჩავარდება ან შუბნურს შამოსძა-
ხებს (ახსენებს) და ან კარატის ჯვარს, ისინი მაშინვე გასცემენ
განკარგულებას, ან შევართ დაახმარებენ ან გველისფერს:

...კოპალაც კაცი ყოფილა, ღიქოელი იქნებოდა. ქადაგებუსტერულა
ამბობდნენ: ხახმატი, გუდანი, კოპალა გრუგეტის წვერიდან გრძელი მომისათვის
ეშვნენ. გუდანისთვის სანების წვერი მიუციათ (მიულოცავთ), კო-
პალისთვის – ხახალის წვერი...

დევები ზეპირად (მიწის ზემოთ) ყოფილან აქ... კაწალხვის წყა-
ლი რომ გამოდის, იმას დევის საფლავს ეძახიან... იმათ კაცები (ად-
ამიანები) უწუხებიათ (უზიანებიათ). ღმერთს ღაბტი გაუკეთებია
და ის გადმოუგდია ანგელოზებისათვის (ხვთისშვილებისათვის).
უთქვამს: ვინც ამას (ღაბტს) აიღებს, იმან დევები უნდა დახოცოს.
აუწვიათ, მაგრამ კოპალას მეტს ვერავის აუდია. ღმერთს მისთვის
მიულოცია (დევების დახოცვა). წამოხულა ეს კოპალა დევებთან სა-
ომრად. სადაც კი შეხვედრია არაგვზე, ჩველა დევი მოჟღადებს... ზე-
პირად (მიწის ზემოთ) გაუთავებია (მოუსრია) დევები,... (გადარჩე-
ნილნი) სულებად ქცეულან, მანამდე ხორციელები ყოფილან...

24. პირქუში და ტაროსთაული

პირქუში თავიდან კაცი იყო, სახელვანთქმული მჭედელი, ამა-
სთან, ხვთის მღოცავი. ხვთიდან პქონია მონიშებული დევ-კერპებზე
გავლენა...

დევები იდგნენ უანაფშავის სოფლის უფრო შაღმა ხვზე –
წაროსთავს. წყაროსთავი მოხერხებული ადგილია საარსებოდ და იქ
დამკვიდრება სღომებია წყაროსთაულს (თავადს). დევებს არ გაუშ-
ვიათ. ამ დროს პირქუში ითრზე მდგარა. წასულა ეს თავადი და პირ-
ქუშს მისთვის ისრები გაუკეთებია, ზროიანი (რკინისწვერიანი)
ისრები. პირქუში თეითონაც გამოპყოლია... მიპარვიან შამბალოს
გორიდან წყაროსთაული და პირქუში და ისრებით ეს დევები სულ
ამოუწვეტიათ. ამის შემდეგ წყაროსთაული წყაროსთავს დამდგარა
და ხვთისშვილად ქცეულა. ახლა ასე ახსენებენ: „თავადო წყარო-
სთავ წმინდა გიორგიო, დევ-დედაბერთ ამომწვეტო“... პირქუშიც
გადაქცეულა ხვთისშვილად, საღოცავად. ღაარსებულა ანგორს.
აქაც ახადელი ხალხი მდგარა სამოცი კომლი... შერე ახადსაც მო-
ვიდა და დაარსდა. ანგორსაც აქვს საღუდე, დარბაზი, საბერო, სა-
ჯარე და სახარე...



...დევების მთავარი ბუდე ციხე-გორას ყოფილა, ხოფლი ცუკროსან... უფროსად ცხრათავიანი დევი ჰყოლიათ... ურთხელ გზად-მიმავალი ქალი შეიძყრეს. თან თავისი პატარა ბალდი ჰყავდა, კო-პალა. ორივე უფროსს მოპგვარეს, ცხრათავიანმა ქალი მაშინვე ჩაახრამუნა, ბიჭი კი დაიტოვა: ჯერ გაიზარდოს და მერე შევჭამო-თო...

კოპალა მალე დავაუკაცდა და ვეღარ იტანდა დევების ასეთ მოპ-კრობას... ნატრობდა როგორმე დედის ჯავრი ამოკვარა... ივრმხო კოპალამ, შეჭმას მიპირებენთ, ადგა და ერთ ჟუწეთ ლამეს ციხიდან გაიპარა... თიანეთში იხინჭის კულესიაში მივიდა ბერებთან. დი-ლიდან საღამომდე ღმერის კვედრებოდა: იმდენი ძალა მომეცი, დე-ვებს სამაგიერო გადაუხადოთ...

ღმერთმა ისმინა კოპალას კვედრება და მისცა დიდი ძალ-ღონე... საომრად მოიმზადა ლახტი, რომელიც სროლის დროს მებს პგავ-და — ქუხდა და ცეცხლს აჩენდა.

წავიდა კოპალა და ციხე-გორას ესტუმრა თავის ძველ ნაცნობ დევებს, ვითომ გზადაკარგული მონადირე ვარო. დევებმა ვერ იც-ნეს, სტუმარ — მასპინძლობის წესს არ უდალატეს და ლამე გაათე-ვინეს. გათენდა დილა. დევებმა დაიწყეს წვრთნა, ქვის სროლაში კვიბრებოდნენ ერთმანეთს — ჯილდაობდნენ.

— რა გინდა ჩვენგან, რატომ მოხვედიო? — პეითხეს კოპალას. — რა მინდა და ეს ადგილი ჩემი უნდა იყოს, თქვენ აქედან უნდა აიყა-როთო!...

— მაშ, ვიჯილდაოთ და ვინც აჯობოს, იმას დარჩეს ციხე-გო-რიო. — კარგიო, დაეთანხმა კოპალა... დაიწყეს ციხე-გორისკენ სა-ხლის ოდენა ქვების სროლა.

დევებს ქაჯები ჰყოლიათ იქ დაუკნებული: თუ ვინიცობაა, კო-პალამ გვაჯობოს, იმის ნასროლი ქვა გადმოაგორეთ ჩვენი ქვების აქეთაო.

კოპალას ნატყორცნი ქვა სამოცი ნაბიჯით შორს დაცემულა. დიდი წვალებით გამოუთხრებიათ ქაჯებს კოპალას ქვა... ეჯაჯგუ-რებიან, უნდა გადმოაცილოს და ამ დროს კოპალა და დევებიც მო-სულან. კოპალდ კიდევ უფრო გააცეცხლა დევების გაიძერობამ, და-კრია თავის ლახტით და სულ ამოწვიტა.

იმ დღიდან კოპალა ციხე-გორს ცხოვრობდა, ნადირობდა და
ხალხს იცვდა სხვა დვეებისაგან... 

26. ქრისტამ საბრძოლო ლახტით ამოწვიტა დევადი ირემო-კალოზა

ინუმთ-კალოზე... დვეებმა და კოპალამ სიბით დიდი კალოხო-
ლები ადგილი დააზღვეს (ახლა საცა კოპალას საზარეა იმ ადგი-
ლებზე), იმიტომ რომ ქვის სროლას რომ დაიწყებდნენ, სიმძიმისა-
გან მიწა არ ჩაბრუნვილიყო. ჯერ კი ელოდნენ მუხას და იახსრის
მოსველას და მერე კვირას მეთვალყურეობით დაიწყეს ქვის სროლა...
დვეების ფალავანმა გაისროლა ქვა და ციხეთ გორის იქით დაეცა...
ახლა კოპალამ გაისროლა ქვა. კარგა დიდი ძალით გაისროდა, მაგ-
რამ კვირამ ამ ქვას მათრახის წერეი წამოჰქორა, კიდევ გაამალა და
იგი დვეების გასროლილ ქვას შორს გადასცილდა... შეშინდნენ
დვეები და გაქცევა დააპირეს. დაერია კოპალა ლახტით და სულ
ამოწვიტა. ხახლი დაუნგრია და იმათ სამუოფელს თვითონ დაპ-
პატრონებდა...

კოპალასა და იახსრისაგან ამოწვეტილი დვეების ნასახლარე-
ბი ბევრგან არის, სადაც ილოცავენ ზოგან იახსარს და ზოგან კო-
პალას.... ფშავის არაგვზეა კოპალას ქვა. იმ ხანებში, როცა კოპა-
ლა ხორციელდა იყო, ციხეთგორიდან ერთმა დვება სამღლოცველო-
დან მოიპარა ტრაპეზის ქვა და მიქეონდა ქვევით. კოპალა წამოეწია,
ესროლა ლახტი და მოკლა დვები. ...ერთ დვებს მოქეონდა მოკლული
ირეში. ერთ მხარზე ძირიდან ამოწვდილი წიფლის ხე ედო. შეხვდა
კოპალა, ესროლა ლახტი და მოკლა. დვები რომ მოკვდა, ქვად იქცა.
ახლაც არაგვში გრძელი ქვა არის და ხალხის რწმენით, ის ქვა მა-
შინდელი გაქცევებული ავთანდილ დვებია. ამ დვებს ავთანდილი ერქვა
და ადგილს ახლაც ავთანდილის ნაქანს ეძახიან...

ერთხელ დვეები ქართანაში ქვას აგროვებდნენ. აქ წყალი უნდა
დაჯუბებინათ და ფშავ-ხვესურეთი წაელვათ. გაიგო კოპალამ,
წამოეწია... ესროლა ლახტი და მოკლა. ქვა გადაიქცა სამღლოცველად
და დაერქვა კოპალას ქვა. (ქართანა არის ფშავ-ხვესურეთის არაგ-
ვზე ძალიან კიწრო ადგილი...).

27. კოპალაშ აღმართა საგმირო და ღვევაი აოროვინა

... აქვე ბხლოს მიგრიაციულთის გორის ბოლოს დევებშ ქეონხდაშ დიდი ოჯახი და ციხე სიმავრე. კოპალამ რომ მუსა და ავთანდილი დახოცა, მათი მთავარი ფალავნები და ხაშრელი იახსარმა მოკლა; ახლა კოპალა ამ დევების ოჯახის ამოხაწყვეტად გაეშურა. ამ გორის ბოლოში რომ მივიდა, დაიხახა, რომ ერთი ცხრათვიანი დევის დედაბერი ჯარის უზის... კოპალა რომ დაიხახა... ჯარაზე დამდეკა: „ჩემი შვილის ვახშამიც მოდისო“.

კოპალამ აიმაღლა საგმირო ლახტი, დაჟრა ბებერს და იქვე მოკლა. მერე ავიდა მიგრიაციულთ გორის ბოლოში. აქ დევებს ქორწილი ქეონხდათ და კოპალაც სტუმრულად მივიდა, უნდოდა გაეგო სად როგორ იყვნენ და რა გზით შეიძლებოდა მათი ისე მოწყვეტა, რომ აღმართინ გადარჩენდა... კოპალამ შეურჩია დრო, როცა კველანი ერთად მოქუჩდნენ, ამაღლა საგმირო და კველანი ამოწყვიტა...

28. კოპალა და ავიანდილ დავი

... იმ დროს როცა კოპალამ მუსა (დევი) მოკლა და ქვა დააგდებინა, გაღმით მხარეს გამოჩნდა ავთანდილიც. ერთ მხარზე მოკლული ირემი ჩამოვეყიდა და მეორე მხარზე ძირით ამოწვდილი (ამოგლეჯილი) წიფელი ედო, შექად მიქეონდა.

კოპალას ხეთის ბრძანება პქონდა, სადაც დევს ნახავდა უკლა უნდა მოკლა. ესროლა ლახტი და ავთანდილიც იქვე მოკლა. ავთანდილი გამოქანდა და ფშავ-ხევსურეთის არაგვში ჩაიდო (ჩავარდა). ახლაც იქ ძევს ქვად ნაქცვევი. წიფელი გადმოვარდა გზის ძირში და ძირით მიწაშივე დაეჭლო. მერე ხატმა ბრძანა: „ავთანდილის ხე განედლდაო, ავთანდილი კი ქვად იქცა, როცა წყალში ჩავარდაო“...

29. ჰაჯებს კოპალას ნასროლი ქაის შპან გადმოწვევა უძღვდათ

... კოპალამ გაიგო, რომ დევებთან საბრძოლველად დამბადებელმა საკმაო ძალა მისცა. მივიდა ციხეთვორს და დევებს უთხრა: წადით აქედანო, ეს ადგილი დამიცალეთ, მე უნდა დავბინავდეო...
20

დევებმა უთხრეს — ირემთკალოდან ციხეთგორისკენ ქვები გაყრათ,
(გავისროლოთ) და ვინც ვაჯობებთ, ციხეთგორი მას დაწესებულები
დათანხმდა კოპალა...

კოპალამ და დევებმა სიპები დააწყვეს იმ ადგილზე, საიდანაც
ქვები უნდა ესროლათ, იმიტომ რომ ქვების გასროლაში მიწა არ გა-
უძლებდათ და ჩაბრუნდებოდა... დანიშნულ დღეს კოპალამ ხახა,
რომ კართანის დევები მუხა და აკთანდილი მოდიოდნენ და მიწას
ისე მოჟალავდნენ, როგორც ფიფქ თოვლას...

პირველმა დევებმა გაისროლა ქვა და გავარდა ციხეთგორს. მეო-
რედ კოპალამ გაისროლა. შეიძლება დევების გასროლილ ქვამდინ
აერც კი მიედწია, მაგრამ კვირამ მათრახის წვერი წამოუკრა გასრო-
ლილ ქვას. შორს გაამალა და გადააჭარბა დევების გასროლილ ქვას.
მერე მკითხავის პირით იცის ბრძანება კოპალამ:.... „ქვების გასა-
სიხჯად მე და დევები რომ წავედით, მივედით და ჩემს გასროლილ
ქვას ქაჯები ეხვეოდნენ და ვერა ძრავდნენ, უან გადმოწვევა უნდო-
დათო. ჩეენ რომ გვნახეს ქვას თავი ანებეს და გაიქცნეთ.“

30. პოპალა და ვერხვლის პარა

...დევებისაგან მოკვეთილი (გაგდებული) დევი, რომელმაც კო-
პალას ასწივლა ხუშხველი დევების ამოხოცვის საიდუმლო, გაიქ-
ცა და ვერხველში გამოჩენილს დევს — „ვერხვლის ბუდას“ შეეხი-
ნხა. ვერხვლის ბუდამ თავის თანამოძმეს შემწეობა აღმოუჩინა, შე-
ება კოპალას და თითქმის დამარცხებაც დაუპირა, მაგრამ კოპალას
მთავარანგელოზი მოჟველა და მოაკვლევინა ვერხვლის ბუდა.
კოპალა გამარჯვებამ გაამხნევა და დევებით სავსე მთა-ბარი აავსო
დევების მძორითა და იმათის სისხლით მორწყო დედამიწა.

31. პოპალა და პირველი

...კოპალას ისრის წვერი, ანუ ზრო, წაუხდა და იმის გასაკეთე-
ბდად წავიდა შეეღელ პირქუმთან. ეს პირქუმიც ხატად ითვლე-
ბოდა, ვითომ იმასაც უხოცია დევები... კოპალა ეხვეწება პირქუმს,
გამიკეთე რკინის ზრო და ერთი ბეჭედით. პირქუმი უარზე დადგა,
არ აუსრულა კოპალას თხოვნა, მაგრამ მაღვე დასჭირდა კოპალას
თავი.

კოპალა დაღონებული თავის საბეროში „სამწირველოში“ დამ-
რუნდა. დვებებმა გაიგეს, რომ კოპალა პირქუშთან უბრადში და-
უშველისო. შეიძურეს პირქუში დვებებმა და წაიყვანეს ხუშხვეს (ად-
გილია). კოპალამ ეს ამბავი გაიგო, პირად უსიამოვნებას არ მიჰე-
და და გახწია პირქუშის საშველად. დვებებს თავიანთ ბინაზე მიე-
წროთ, კოპალა ველარაფერს გახდა, ბოლოს ღმერთმა ხელი მოუმარ-
თა: დვებებმა ერთი დვები თავის კრებიდან გააძვეს, მოიკვეთეს. შე-
თხვევით კოპალამ ეს დვები შეიძყრო და გამოჰყითხა მას, — თუ
როგორ დაამარცხებდა დვებებს და პირქუშს როგორ გამოიხსნიდა.
დვები ჯერ უარზე დადგა, მაგრამ კოპალამ მოკვლა დაუპირა დვებს.
დვებს შეეშინდა და ასწავლა: „როცა ხეებს თავისი ჩრდილი გაუხ-
წორდებათ, დვები მაშინ ისაღილებენ, ბანგს დაღვენ და დაიძინე-
ბენ და კარგი დროც იმათის დახოცისა მაშინ არისო.“

კოპალაც ისე მოიქცა, როგორც დევმა დაარიგა, და გაჟღიტა
დვები.

32. კოპალა და არაგვის დამგუბაბელი დავაძი

...დვებებმა იფიქრეს, ხალხი ხატებისა და ლეთის თაყვანისცემას
არ დაიშლის, თუ არ გაველიტეთო. აღგნენ და დაუწეს არაგვს გუ-
ბება კართანაში, აშენებდნენ მაღალს, უზარმაზარ კედელს, ფიქ-
რობდნენ, იმდენად დააგუბონ არაგვი, რომ ზღვად იქცეს და წალე-
კოს მთელი ფშავი. კოპალამ ეს შეიტყო, წამოვიდა და დღიურ მუ-
შად დაუდგა დვებებს. ერთს დღეს კი უშველა, მართალია დვებებს დე-
ვურს ბოროტს საქმეში, მაგრამ მეორე დღეს გულმა აღარ მოუთმი-
ნა და გასწუვიტა კველანი.

33. კოპალა და კართანელი დავი

კოპალა ციხე-გორს ბრუნდება და იქიდან იხინჭას, თავის სა-
ბეროში. ეს ამბავი შეიტყო ცხრათვიანმა დევმა, რომელსაც კართა-
ნელი ერქვა, და შეუვრა გზა კოპალას. კართანა ფრიად ვიწრო ად-
გილია არაგვის ხეობაზე და ამ აღგილას, ფშაურის ზეპირგადმოცე-
მით, დარქმვია სახელი „კართანა“, დვების კართანელისაგან, რო-
მელსაც გამუდმებით აქ უცხოვრია; — ეს დვები კართანელი კპონი-



მურ პირად გამოდის. მიღის კოპალა იხინჭას და პევდავს კარგობრტული დევი კართან ელი გაწოლილა გზაზე. დევის დანახვამ კოპალა შემოიტანა შინა; მას განიხრახა გზა აქცია დევისათვის. დევმა ეს შენიშნა და შეუძახა: „სად მიიპარები, კოპალიათ?!” მეტი ჩარია ას იყო, კოპალა უნდა შესჭიდებოდა დევს. იმათი ბრძოლა დილიდამ საღამომდე გაგრძელდა; კოპალამ სძლია დევს, ცხრავე თავი მოაჭრა და შევიდობით მიაღწია თავის საბეროში...

34. კოპალა და ავთანდილ დევი

...კოპალამ შეპხედა მთას და დაინახა, რომ დევი — ავთანდილი — მოდის. ცალს მხარზე გაუდვია დიდი ჭანდარი და მეორეზე — ირემი. კოპალამ ესროლა ისარი და მოპჯლა დევი ავთანდილი. დევი დაგორდა, გამოქანდა იქიდან და თან წამოიღო არემარე, რისგანაც გაკეთდა, ვითომც, ის ლრმა ხევი, რომელსაც ფშაველი „ავთანდილის საქანს“ უწოდებს...

35. კოპალა იახსარზე უშრო სახმლიანია

...კოპალა სახელიანია იახსარზე. ფშაველი დედაკაცი, როცა იწყველება, კოპალასა და მის ლახტს ახსენებს: „შე გმირის კოპალის ლახტნაკრავო“. „დაგლაბტოს გმირმა კოპალამა, აგრიანე!“ — ეუბნება იგი თავის მოპირდაპირეს. კოპალა, ფშაურის ზეპირგად-მოცემით, ყოფილა იხინჭას (ადგილია) ბერად; შესმენია, რომ ფშავი დევებისაგან დიდად შეწუხებული და შევიწროებულიათ, ამდგარა და წამოსულა ხალხის საშველად. დევების უმთავრესი საღვური და სიმაგრე ციხე-გორს (ადგილია) ყოფილა. კოპალა დევებთან სტურად მისულა, როგორც გზადაკარგული მონადირე, და ღამე დევებთან უთვევია. მეორე დღეს დევებს დაუწყიათ თავისი ჩვეულებრივი ვარჯიშობა — ქვის სროლა. კოპალასაც უთხოვნია, რომ მიეცათ დევებს ნება გამოეცადა თავისი თავი. დევებს ბერი მასხრად აუგდიათ, მაგრამ, როცა კოპალას გაუსროლია ქვა და დევების საფალავნო მიჯნისთვის გაუცილებია ბევრით შორს, დევებს თავზარი დასცემიათ. კოპალას მიუჭიია ხელი, გაუჟღეტია დევები და იმათი ცი-



ხე-დარბაზით თითონ დაუჭერია, იმათვან დავლად დარჩენია ქვედა
დღეს ეს ქვა არაგვის პირასაა, იქ, სადაც კოპალის სალოცავია, და
ჰქვიან „კოპალის ქვა“ კართანაში (აღილია) მყოფს დევებს გაუ-
გიათ ციხე-გორელი დევების ზარალი. მაშინ ძეედამ ერთი თავგამო-
დებული დევი წასულა „კოპალის ქვის“ გამოსატაცებლად ციხეგორს
და მოუტაცნია კიდეც, მაგრამ ამოქმებამებია ბოლოს. კოპალა სანა-
დიროდ ყოფილა, დაბრუნებულა შინ და უნახავს — ქვა აღარ არის,
მიხვედრილა მიზესს და გამოსდგომია ქურდს კვალდაკვალ, რამდე-
ნიმე კერსის სიშორიდან დაუნახია დევი, შემოუტყორცია იქიდაშ
ისარი, დევიც მოუკლავს და ქვაც დაუტოვებინებია იქ, სადაც დღე-
საც არის იგი ქვა მრავალტანჯული. იქვე ახლოს პქონია ამ დევს ბი-
ნადრობა. კოპალა მისული იმის სახლში და ჰედავს, რომ მოკლუ-
ლის დევის დედას ჯარა უდგია და შმვილდის ბაწარს გრესს, ანუ
როგორც ფშაველი ამბობს, სბახს... — შვილები სადა გყავსო? — პკი-
ოთხა კოპალმა დევის დედაკაცე... — ერთი შვილი ციხე გორს წავიდა,
კოპალის უნდა ქვა მოხტაცოს, და მეორე სანადიროდ არის
წასულიოთ...

36. ხოგაის მინდი რომ დაპადებულა, ვახმ როი შემ მდგარა

ხოგაის მინდი არხოტელი იყო. მინდი რომ დაბადებულა, ცაზე
ორი შეე მდგარა. მინდი სახელიანი ყმა გამხდარა ხევსურეთში. მას
მევობარი ჰყოლია შატილში. კარგი ყმა გახუა. მინდი და გახუა
ხატებთან დადეხილან. ერთხელ არხოტს მისულან მავნე სულნი,
ფამნი. ესენი ციდამტკაველნი ყოფილან. ყველა კაცს ვერ დაუნახავს.
უნახიათ მინდის და გახუას. ხევსურეთს რომ უამი განხდებოდეს,
არხოტს, ამღას სიმაგრეში ხატები სტვირს ააძრახებდნენ. უამთ მო-
დებას რომ გაიგებდნენ. ხალხი გაიხინხებოდა არხოტიდან. უამნი
მოსულან სამნი, იმათ სამი ვირი ჰყავდათ: შავი, წითელი და თეთრი.
შავს კვიდა შავთბია, წითელს წითელთბია და თეთრს თეთრთბია
ისარი... შავს ვისაც დაპერავდეს მაშინვე კვდებოდა, წითელს ვისაც
დაპერავდეს ხახვრად კვდებოდა, თეთრი სულ არ კლავდა... მთაზე
რომ გადამდგარან, სამივეს დაუნახავთ გუდანის ჯვარი, — ერთურთს
უთხრეს — „ბებერი ძაღლი, თეთრწვერა, ზის თეთრ ცხენზე, ხელში
ლაბტი უჭირავს, არ ჩაგვიშობს, თავის ყმათ სიმრგვლივ ჰლისთ.“

უმნ რომ პირაქით გადმოსულან, ვირებისად ბუერაებ დაუკარებავ, რო გუდანის ჯვარმა არ გვნახოსო. მინდი დაუყენებით კარების მწყემსათ (ესენი მართლა ვირები კი არ ყოფილან, არაშედ ჰაწაწაწა ბეწეწიკუები, ვირად კი ეჩვენებოდნენ).

გუდანის ჯვარს... მავანი დაულახრავს."

37. მაჯვაბა ხოგაის მინდი ტაცვა დაივანეს

ხოგაის მინდი არხოტიონი ყოფილა. ამღიონი. იმათი ნასახლარები დღესაც ძრის საბეჭურისკარს. ერთხელ ქაჯებს წაუყვანიათ ტკიდ.

— წინ-წინ, — თქვა ხოგაის მინდიმ, — თვალები ამიხვიეს, გზა არ ნახოსო. მატარე ისე. მეცხრე მთას რომ გადავედით, მაშინ მომხსნევს მხოლოდ სახვევი. ჩემსავით ტკევები სხვაც პყოლოდათ. ქრისტიანების ხორცს სჭამდნენ... წაგვასხამდნენ მთაზე და გველებს გვატერინებდნენ, იმათგან რაღაც წამლებს აკეთებდნენნო... ისე შემძულდა სიცოცხლე და სმა-ჭამა, თავის მოკვლა გადავწყვიტო.

ამდგარა ეს ხოგაის მინდი და შესულა თავის პატრონის ცოლთან, რომელიც გველებისაგან წამლებს აშხადებდა. იმ ქალს კრაველიანი გველი დაკლა და სისხლის წვეთები იატაკზე დაცემულიყო. — შემატყოო, — თქვა ხოგაის მინდიმ, — რომ სისხლის აღოვავ მინდოდა. გამოიარა და ფეხი გაუსვა იმ სისხლის წვეთზე. ერთი წვეთი გვერდზე დაცემულიყო ისე, რომ მას არ ენახა. გავიღა კარში თუ არა, ავლოკე მეცაო... ალოკვა და სიცხის მოცემა ერთი უოფილა... მეცხრე ლოგინზე რომ დამაწვინეს, გონება წამერთვა, აღარას ვიგებდი. გონთ რომ მოვედი, იღლიის ძირი ჩამომსიებოდა, გავიჭერი და მქენარი გადმოიშალაო. კაცს თურმე მქენარია რომ ამბიმებს. ისე დავშეუძლები, რომ, ხიდზე რომ გადავდიოდი, ჩოხის კალთაში ქვებს ვიხვევდი, წყალში არ გადამაგდოს ქარმაო.

კველას ენა მისთვის გახაგები გამხდარა...

38. მინდია მაჯვაბი

მინდია ხევსურეთით ფამებმა გაიტაცუეს ქაჯეთში; უცხო ქვევანაში რო მიიფვანეს, მავნენი გაქრნენ. ქაჯებმა დაატყვევეს მინდი და დაუწყეს გასუქება. მეტი სისხლი რომ მიეღოთ, კარგ საჭმელს

აჭმევდნენ. მინდი მიხვედრილა, დაუწყია იღუმალ ნაცრის ჰამა, რა-
მაც შეაწება მინდი. მისი დაკვლა გადაუდვიათ ქაჯებს.

ერთ დღეს მინდის მეზურად შოუჩინებს ბავშვები. სოფელს,
სადაც მინდი კოფილა დატყვევებული, მისასვლელში ერთი ხიდი
ჰქონია, რომლიდანაც სოფელში შედიოდნენ და გამოდიოდნენ. ქა-
ჯები ხიდზე ნაცარს აყრიდნენ, თუ ტყვეები გაიპარებოდნენ ხიდზე
გალი დარჩენილიყო გამოპარვისას. მინდი ხიდთან ჯერ ხეზედ
ასულა და იქიდან უთვალთვალებია თუ ქაჯები უკუღმა როგორ
გადიოდნენ ნაცარყრილ ხიდზე. მათ მიბაძა მინდიმ. ხიდი უკუღმა
განვლო და ბავშვებს გამოეპარა.

39. მოხდია თავის მოქალის მოხით გაელის ხორცი უაკაა

ხვესური მინდია ჩაუვარდება ტყვედ ქაჯებს; მათ შორის ცხო-
ვრებამ იქამდის დაადონა მინდია, თავის მოხაკვლელად გველის
ხორცი სჭამა, რომლითაც ქაჯები იკვებებოდნენ. გველის ჭამამ
სრულიად სხვა ნაყოფი გამოიღო: მინდია ბრძენ კაცად გადაიქცა;
მისი სიბრძნე, ხალხური თქმულებით, სჩანს მცენარეების ცნობაში,
თუ რომელი მცენარე რა სატკივარის წამბლია, რადგან კველა მცე-
ნარე თავად იძახის, რისი წამალიც არის და მინდიამაც ამ მცენა-
რეთა ენა კარგად იცის. შედვეი ამ ცოდნისა არის მინდის გაექი-
მება. მისი წამალი უებარია.

40. მოხდის დაბრუება არხორცი

მინდის თავის ქვეყანაში სმენია მცენარეების, ცხოველების,
ფრინველთა და სხვათა საუბარი. მინდიმ ბალახი ვერ მოთიბა, ხე
ვერ მოჭრა, კველანი უუბნებოდნენ: ნუ მომჭრი მინდიო! — ნადირი
ებრალებოდა და ვერ ხოცდა, დღეში სამ ძნას ვერ მკიდა, თავთავი,
მარცვალი ეძახდა: „მინდი, ნუ მწირავ, ცით ფრფა (ფერფლი) მე-
ცემისო, ამიღეო.“ მინდის ებრალებოდა და კველას აგროვებდა.
ბალახნი, კვავილნი ეძახდნენ — „მე ამის წამბლი ვარ, მე ამისიო.“
მინდი არჩენდა დაჭრილებს. შუაზე გაკვეთილ ადამიანს გადააბამდა
და სიკვდილს გადაარჩენდა. მტერზე უმარჯვებია მინდის. ხვესური



ძალიან ჰყვარებიათ მინდი. ბოლოს, რაზედაც დაუიცულ ჟურნალები გადავიდა, ნადირი უხოცია, ხე მოუჭრია.

პირველი გვ. 1

41. მონასტრის ხატები ვართიშვილის

როცა ხატებს სალაშქროდ გამოუვლია, მინდია მაშინ დღეობაში ყოფილა, მაგრამ მათი მოხვდა მაინც შეუტკია. მინდიას დღეობაში ხუსტრითათვის უთქვამს: ანგელოზი უნდა მოვიდეს, პირველი გამოისახეთო და ხალხსაც დაუწეია პირველის გამოისახვა. მოფრენილა მტრები, რომელიც დაჯდომია მინდიას მხარზე და დაუწეია მისთვის აღერსი, მტრებიც თურმე ეალერსებოდა მინდიას, უსამდა ფრთებს სახეზე და ისკვ მაღე გაფრინდა. მინდიას უთქვამს ხალხისთვის, რომ ხატები მეპატიურებიან და უნდა წავიდეთ. მინდია წასულა.

42. მონასტრის რამდენად მართვის დასაღაშმრავად

ერთ დღეს ხატები მიღენილან ქაჯავეთს დასაღაშქრავად. მინდი და გახუა ხატებთან დადენილან. ხატებს მინდისა და გახუასთვის უთქვამთ: „ხორციელ ჩვენთან ვერ ივლით, გვამიდან ამოდით და ჩვენთან წამოდითო.“ მინდი და გახუა გვამიდან ამოვიდნენ და ხატებმა გვამი იქვე ტყეში შეინახეს.

ქაჯავეთი გაუტეხავთ, ქაჯები დაულაშქრავთ. საქონელი და დავლა წამოულალავთ. გზაზე საქონელს წყალი მოსწყურებია, მაშინ კოპალას ლაბტ დაუკრავს, წყალი ამოვარდნილა და საქონელს უსვამს. დაბრუნებული ხატები გახუასა და მინდიას გვამთან მისულან; უნახავთ, რომ გვამებს ჭია-მატლი დახვევია. ხატებს უთქვამთ: „მეპურყველე მინდი, ჩად შენ გვამშიო.“ მინდის და გახუას არ დომია მატლიან გვამში ჩახვდა, მაგრამ ხატებმა უთხრეს: „შენ ხორციელი ხარ, ჩვენთან ვერ იცხოვრებო.“ ხატებმა ძალით ჩაიყვანეს მინდის და გახუას სულები გვამში.



ქაჯეთიდან გამოპარულ მინდის გზა არევია, არხოტის ნაცვლად, გუგულების ქვეყანაში მისულა. უკითხავთ სადაურობა და მათთან მისვლის მიზეზი. მინდის თავისი თავგადასავალი უმბნია. ცალთვალა გუგულმა უსაყვედურა თურმე მინდის, — „გახსოვსა არხოტში ყორეზე მჯდომარეს ქვა რო მესროლე და თუალ გამამთხარე, რას მერჩოდი, არხოტში გაზაფული მე მამყვანდაო.“ მინდის გაახსენდა ბავშვობის დროინდელი საქციელი, ეწყინა და პატიება თხოვა ცალ-თვალიას.

გუგულები წიწკებით (ხის გამხმარი წვრილი ტოტებით ა. ც.) აშენებულ სახლებში ცხოვრობდნენ. იმ დღეს გუგულებმა უკცრად ჩოჩქოლი შექმნეს. დაიწყეს სიმაგრეების აშენება. სახლებს ჩულავ-დნენ, კარებს ამაგრებდნენ. იკითხა მათი შემფოთების მიზეზი მინდიმ. „ლაშქარი გვეცემისო ჭკათა“ — გაიძახოდნენ გუგულები. მართლაც, მოფრინდა შავი ლაშქარი ჭკათა და დაუწეს რბევა გუგულთა სამფლობელოს. მინდი ჯოხით დარევია მომხდურებს და ამოუქლებია.

გუგულებს შეუყვარებით ხოგაის ძეი. მინდის უთხრეს: შენ რო ეს მტერი მოგვაშორე, რასაც გვთხოვ, სუჯელას აგისრულებთო. არხოტში წამიყვანეთო — უთხოვია მინდის.

იმავე წესს გუგულებმა დაიძახეს: „ცხვარ მოვლალოთო.“ მინდის უნახავს თეთრკრაველიანი გველის ფარა მოდენილა. მინდი შეშინებულა. გუგულებს გამოუყვანით ერთი გველი და მინდის პატივსაცემად დაკლავთ... გასძნელებია მინდის გველის ხორცის ჭამა, მასპინძლები არ მოშვებიან და ბოლოს დაჟორლია მათ ნებას. მინდის გველი შეუჭამია. ვეღარ დაუსვენია და ცუდად შექმნილა. მაშინ გუგულების ქალებმა მინდის სამი ლოგინი გაუშალეს და უთხრეს: „პირველ ლოგინზე დაწექი, რო ვეღარ გაძლო, მეორეზე გადადი, მეორეზე თუ ვერ გაძლო, მესამეზე და დაისვენებო.“

მესამე ლოგინზე მინდიმ მართლაც მოისვენა; როცა მინდის გამოეღვიძა, ნახა იღლიის ძირები დახიებია, ჯამებსავით დაკვრია. გუგულებმა უთხრეს: „გაიჭერი ძირები და კბენარები გადმოვაო.“ დაუჭრია მინდის იღლიის ძირები და ბკრი მკბენარები გადმოსულა. მინდის სიმძიმე დაუყარგავს, ისე დამსუბუქებულა, რომ უბეში ქვა ჩაუდევს, ქარმა არ გამიტაცოხო. გველის ხორცის ჭამის შემდევ

მინდის სმენია საუბარი ხეთა, ფრინველთა, ნადირთა, უანის უვა-
კილთა და ბალახთა.

მინდის მიგრ დასახიჩრებულ ცალთვალა გუგულს დაგვალუსტია
მინდის წაყვანა არხოტში. გუგულებს მინდისათვის საგზურად
პურსარანიც მიუციათ, თანაც უსწავლებიათ: „ალალი ქვეყნის პუ-
რს რამდენ ლუკმასაც მაქენ, იმდენიც მაემატებისო.“

გუგულების ქვეყანას სახდვართან წყალი ჩამოუდიოდა. როცა
გუგულები თავის ქვეყანაში ბრუნდებოდნენ და წყალს გამოვიდოდ-
ნენ, პატარა ციდაკაცებად იქცეოდნენ, როცა თავის ქვეყნიდან მი-
დიოდნენ და წყალს გადავიდოდნენ, — ფრინველებად.

...მინდი ამ პურით გაზაფხულზე მოვიდა არხოტში.

44. მინდის რასვლა მისთათვი და მისი მოკვლა

მინდი ერთხან სისხლის ასაღებად წასულა ქისტეთს. თერეთე-
გოს ნდომია მისვლა მეობარ აღდიძესთან, მავრამ ცუდი ტაროსის
გამო გზა არვებია და მისულა მოსისხლეების სოფელ მიზუში. ქისტის
ქალმა იცნო მოსისხლე, მინდი ციხეში შეიტყუა. მინდის თან ყვა-
ნდა თავის ძმაი და კვირიკა ჯაბუშანური. ქალმა ხმა გაუტეხა (და-
ფარა, დააგდო) სოფელში, რომ მინდი დავიშირეოთ. მოსულან ქის-
ტები, შემოხვევიან ციხეს, კვირიკა გადმომხტარა ჩარდახიდან და
გაქცეულა. მინდის უთქვამს ძმისთვის: გადავხტები და გადმომყე-
ვიო. ძმა ბენავ ყოფილა, ტირილი დაუწყია; ვერ გადმოვხტებიო. მინდიმ თავი დასთმო და ძმა ვერა. ქისტებს მინდისთვის მოტყუე-
ბით იარაღი ჩამოუხსნიათ, ხელები შეუკრავთ და მერე მოუკლავთ.
ქისტებს მინდისთვის გული ამოუჭრიათ, დაუნაწილებიათ, ორსუ-
ლი დედაკაცისთვის უჭმვევიათ; იქნებ მინდის გული ჩაედვას, მინ-
დის ფერ ბალდები დაიბადნენ.

45. ბახვა მაგრავაშის რამანა ჰაჯავაიის დასალაშერავად

გახუა ყოფილა, მეგრელაური გახუა. ხახმატის ჯვარს ქაჯავეთ-
ში წაუკვანია. ანგელოზების ჯარი შეკრილა. აღბათ, ხახმატის
ჯვარმა თუ შეყარა ერთად ანგელოზები. მისულან ქაჯავეთში....
დასცემიან, რაც პქონიათ, წაურთმევიათ. ანგელოზებს საქონელი
გამოურცია, ვერცხლის თასები და სხვაც ბევრი წამოუდიათ. სახ-

რევი და სამართებელი ქაჯავეთიდან გამოტანილი, ღლიდებელებს მოუპარიათ შემდევ. ხვთის შვილებს ქაჯავეთიდან ტკვედ წამოუყავნიათ ქალები: სამძიმარი, აშექალი, მზექალი. სამძიმარი ღვთის ნასახი (დანაბადი), გიორგის დაი ყოფილა...

ლაშქრობისას კარატის ჯვარს უკობნია სხვებისთვის. გავარვარებულ რეინას ხელშე იწყობდა კარატის ჯვარი და ქაჯებს ესროდა. ქაჯებს წამოსვლისას მოლაშქრეთათვის კატების თავ-ფეხები უსვრიათ. გუდანის ჯვარს დელამფარი (დიდი ფარი) პქონია. ანგელოზები მას შეფარებიან და ასე დაუცავთ თავი კატების თავ-ფეხებისაგან... ყოველივე ეს გახუას ნაუბარია.

46. ლაზიოსუალებას დავაგთან საბრძოლვებად მიაჰავთ ააცალიბოვალი გახუა

გახუა ბაცალიგოელი ხვესურების ჯვარ-ღმერთების ერთგული იყო. როგორც კაცი კაცს ელაპარაკება, ისე ელაპარაკებოდნენ მას, ჰელაფერს აგებინებდნენ, სადაც წავიდოდნენ, თან გაიყოლებდნენ, ხან ლაშქრობაში, ხან დევებთან ბრძოლაში, ხან სად და ხან სად.

ერთხელ გუდანის ჯვარმა, დიდება მის ძალას, ხახმატის ჯვარმა და იახსარმა გადაწყვიტეს დევებთან საომრად წასვლა. პირობა შეკრეს. თქვეს: ხორციელი ვინ გვინდა, რომ შევეველოსო. გახუა წავიყოლოთ — უთხრა საღმოომ (გუდანის ჯვარმა), დაუკრეს ხახმატის ჯვარმა და იახსარმაც.

დაიბარეს გახუა. უთხრეს რაშიაც იყო საქმე. „მეძნელება თქვენთან,... დიდი ხათრი მაქვს თქვენი, მაგრამ, დიდნო ბატონნო, უარს როგორ გეტუვით, წავიდეთო,“ — უთხრა გახუამ.

ხუთშაბათს დიღას თეთრი ცხენებით გასწიეს გზახე. იარეს, ბევრი იარეს თუ ცოტა იარეს, მიადგნენ ერთ დიდი ჭალას, წიფლითა და ჭანდრებით გავსილს. — შენ გახუავ! უკან, შორი-აბლო მოგვყვით, — უთხრეს.

გაიარეს კიდევ კარგად დიდი გზა. გამოჩნდნენ დიდნი სასახლენი. გაიგეს, რომ ცხრათავიანი დევი — ბაყბაყი შინ არ ყოფილა. შეუარდნენ, ცოლშვილი გაუწყვიტა იახსარმა. გუდანის ჯვარი გარაულად დადგა გარეთ. გახუა და სამძიმარი (ხახმატის ჯვარი) შიგნით შევიდნენ. გამოტენილი იყო იქაურობა ოქრო-ვერცხლით. გა-

ხუას ამაზე რჩებოდა თვალი. ხახმატის ჯვარმა უთხრა: „ეს არ გვინდავ, არავ, მე მამყვივივ!“

ერთ დღიდ ყორეში ხვრელები (მუკუმები) იყო, ხელი ძლიერ შეუტოდა. „ამაში შეყვავი ხელი, მე ვერ შვებედავ, რაც შევხვდება გამოიღეო,“ — უთხრა ხახმატის ჯვარმა გახუას. გახუამაც შეძყო ხელი. თითოეულ შუკუმში მკლიდვის სისქე დაგრეხილი გველი იყო. ხელი ვერ ახლო გახუამ, მაგრამ ხახმატის ჯვარმა შესძახა: „ეეგივ, ვივ, გამაიღივ.“ არ იყო საშველი. მოკიდა ხელს და თითო კორიდან (მუკუმიდან) თითო-თითო გველი გამოათრია. ერთი ხურჯინი აავსეს. „რად გინდა ეს გველ-ბაყაყები, კაი რამე წავიღოთო,“ — უთხრა გახუამ. „არ იცი რა არის ეს და შემდევ გაიგებო,“ — უთხრა ჯვარმა. ბაყბაყმა არ მოგვისწროს, თორემ ხათაბადლა გახდება, შენი უფრო გვეშინია, ჩვენ კი ვერაფერს გვიზამსო. ერთი ოქროს ფანდური ვნახეთ, ისიც წამოვიღეთ.

ჩქარა წამოვედით. დიდძალი გზა გამოვიარეთ. ეხლა საშვიდობოს გვევონა თავი. ერთბაშად რაღაც გუგუნი მოგვესმა. გავიხედეთ, მაგრამ ვერაფერი ვნახეთ. თანდათან მოგვიახლოვდა გუგუნი. ერთბაშად გაღოპილ და ძირით მოგლეჯილ წიფლებმა გაიღო ზუსუნ-ზუსუნი. აი, ხათაბალით, თქვა იახსარმა, ბაყბაყი მოგვდევსო. ხანდახან შემოსრულ წიფლებს უკან გაისვრიდა დაღოცვილი. გამოვედით საშვიდობოს. ეხლა აღარა გვიჭირს რაო.

დავსხედით, დავისხვენეთ. ჩავისჯეთ ხურჯინში, რას ვხედავთ: სულ თვალ-მარგალიტით ამოტენილია ეს ხურჯინი. ეს რაა, გველები ჩაესხით და ამდენი მარგალიტები საიდან მოვიდა, თქვა თავისთვის გახუამ. „არ იცი, გახუავ, გველად გაწვენებოდა ეს ძვირფასი განძიო,“ უთხრა ხახმატის ჯვარმა.

47. გუდანის ჯვარი, გახუა მებრელაშვილი და აღონათ მიხდია

გუდანის ჯვარს დევებისათვის თვალი (თვალ-მარგალიტი, სიმდიდრე) მოუპარავს. ეს ასე მომხდარა: ჯვარს ორი კაცი წაუყვანია — ერთი გახუა მეგრელაური, მეორე აღონათ მინდია. მისულან იმ დევების სახლში და შიგ შესულან. ერთი ბებერი დიაცი მჯდარა (რომლის) კბილები მიწამდე უწვდდა („მიწაზე ესხნებავ“). ფეთანდილი არ არის სახლში, თორემ ვერ აჯობებდითო, — უთქვია იმ დიაცს.

ერთ ყორეში ხვრელი (მუკუნი) იყო, იქ შევავი ხელი, ხან გვე-

ლი და ხან ბაყაყი გამომყავდა, ანგელოზი (გუდანის ჯვარი) თავზე
მაღდა, რაც მე გამომყავდა, თურმე, თვალი ყოფილიყო, ხან ტექტონი
და ხან ბაყაყად მეჩვენებოდა... გამოვიყვანეთ ისინი... დჟერი (უთმნებელი
დილი) მოსულა და გაუვია ამბავი... (ჩვენ) ვირბინეთ და ვირბინეთ...
ხან ქვასა და ხან ხეს გვესროდა. ხული და გუგუნი იდგა... მოსუ-
ლან გუდანის ჯვარში, რაღაც დღეობა ყოფილა იმ დროს, მოუტა-
ნიათ ის თვალი, დევიც თან მოპყოლიათ. გახუას გაუძართნია დევ-
თან საუბარი... სხვას არ ესმოდა მათი ნაუბარი... დევი ეუბნებოდა:
რად წამართვით (თვალი), ჩემი იყოვო... იმ დევს თეთრი ნაბადივით
ეხია (ტანზე), ნაბდისძვე ძაბრის მხავსი ქუდი ჰერები... ბეწვე-
ბი სხმია პირსახეზე,... სხვაფრივ კაცივით ყოფილა, სახე კაცისა
ჰქონია, მარტო ფეხები სდგმია უუღმა.

48. გახშა და მურინავი ხატვა

გახუა ჭორმეშიონი კაცი იყო. იგი ხვთისშვილებს ჰყავდათ და-
კავებული (დაჭერილი). გახუა გუდანის ჯვარის მკადარე (ქადაგი,
შეუაბავლი) ყოფილა. მას აღრეც ულია ხვთისშვილებთან, როცა
ხახმატის ჯვარს ქაჯეთის დამარცხებაში ხვთისშვილებიც ეხმარე-
ბოდნენ. მაშინდელი ამბავია, რომელსაც გახუა მოგვითხრობს: სუ-
ლი ამომარიდეს (ამომიდეს), გვამი ქვიშაში დამარხეს. როცა მოვ-
ბრუნდით და ჩემი გვამი ვნახე, სუნი ასდიოდა, მხარი თაგვს ამოე-
ჭამა, შემზიზდა ჩემი გვამი, გაქცევა გადავწევიტე, — რად გარბე-
ხარ მეპურსატანე გახუავ, ჩაძვერი შენს გვამშიო, — მითხრეს ხვთი-
სშვილებმა. ჩამაძვრინეს გვამში ძალათი, იცოდნენ, რომ გახუას
თაგვის ამონაჭამი აჩნდა მხარზე.

გახუა ხვთისშვილებს გურგეტის თავზე წაუყვანიათ. შეუყვანიათ
ბეთლემის სახლში. რომ შევედიო, — თქვა გახუამ, სავსე იყო ხატე-
ბით ის სახლიო. ზოგი მტრედებივით იუვნენ, ერთმანეთში ირეოდ-
ნენ... ერთი ოქროს აკვანი იდგა, შიგ ყმაწვილი იწვა, მტრედები ყმა-
წვილს თავზე ველებოდნენ და იფქლის მარცვლებს აჭმევდნენო.
იქიდან წამოსულ გახუას ერთი მურინავი ხატი წამოუყვანია. ეს ხა-
ტი ნაწილიანი ყოფილა, ღამით შუქს უშვებდა (ანათებდა)... იგი
„თაოდ გუდანის ჯვარ ყოფილას.“ გახუა ისეთი მკითხვი იყო, რომ
უკაცის დღე იცოდისავ.“ ხანდახან დაიკარგებოდა, ერთი-ორი თვის

შემდეგ მოვიდოდა. „საფარველ დადებულ დახუცანდისავ ხთიშვილ-
თავ თანავ.“ ადრე თავის სიარულზე გახუა არაფერს ამბობდა (ხვთი-
შვილებისაგან აკრძალული პქონდა). როცა ხანში შევიდა, მერვ და-
უწყია ამაზე ლაპარაკი, ხვთისშვილებიც არ დადიოდნენ უკვე მას-
თან.

49. ბაზას სული მიაჰავთ ჰაჯავათში

გახუა ყოფილა წამებული კაცი, ხვთის ნათლული. ღმერთს (ხა-
ტს) სული ამოურიდებია (ამოურთმვია) გახუასათვის და ისე და-
დიოდ პეპელას სახით (აღით). ერთხელ, ერთად შეკრებულან ხახ-
მატის, გუდანის ჯვარი და სხვა ანგელოზები, გახუას თანხლებით,
მისულან ქაჯების სოფელში. ხახმატის ჯვარი გიორგი ბუზად ქცე-
ულა და ისე შესულა ქაჯების სახლში. თურმე ბზუის იქ. ერთ ქა-
ჯს უთქვია: „ამ ბუზურამ რაც ქნახავ, ხვალ დილამ სცნასავ.“ ეს
ქაჯი მჭედელი ყოფილა. დასდევნებიან ამ ბუზს – მოვკლათ, თო-
რემ გაგვაუტკებსო. რომ შეაწეხეს ეს ბუზი, ცხენის მუცელში
(ღრუში) შეძვრა. შემდეგ მოვიდა კოპალა, დაერია დახტით და ქა-
ჯები ამოწყვიტა. იქიდან გამოიტანეს თეფშები, საკიდელი, მკლა-
ვის სისქე გვლარძები (ჯაჭვის რგოლი), ვერცხლეულობა. ქაჯებს
გაცხელებული ქურთემულები (გრდემლები) უსვრიათ (უსროლიათ)
ანგელოზებისათვის. ქაჯავეთიდან ძროხის რქა (საწყავი საშვალე-
ბა) წამოუდიათ, რომელშიაც ერთი საწყაო ჩადიოდა. როცა დაბ-
რუნებულან, ერთ ხესთან მისულან, გახუას სული რომ ამოარიდეს,
გვამი ამ ხეს მიაყუდეს, თურმე მესამე დღეს მოსულან. გვამს სუნი
ასდიოდა. სული ვეღარ ჩასულა. მერე ანგელოზებს უთქვიათ: –
„ჩასძვრივ მეურულე გახუაო შიგავ.“

ეს გახუა გოგოჭური ყოფილა. ხატის მკადრე (ხატის მსახური),
„ხთის წამებული“...

50. ბაზა ისავ ჰაჯავათში

ანგელოზებს ქაჯავეთი რომ გაუტეხიათ (დაუმარცხებიათ), გა-
ხუაც თან წაუკვანიათ. გახუა ჭორმეშავში მდგარა, ფიცრული პქო-
ნია. მოსულა ჯვარი და უბრძანებია: – „უნდა ქაჯავეთ გავტეხავ-
თავ“...

ერთ მთა ადგილას, კლდის ძირში, ეხში (გამოქვაბულში) დაბწვინეს (მთქმელი გახუას სიტყვებით გაღმოსცემს ამბავს, აუკუნის სული ამომარიდეს (ამომიდეს), მეც ანგელოზებთან ვიარეს მეცწევას მიუვანეს ქაჯეთის ციხეში, მაგრამ შიგარ შევვიშვეს, კატების თავ-ფეხი შემოგვასრიეს... ბოლოს იქაურობა მივანგრიეთ, სამჭედლო გრდებრები წამოვიდეთ... მოვედით, სადაც ჩემი გვამი იყო, ანგელოზებმა თქვეს: „მეპურყველი გახუასავ მატლ აშჩენივავ.“ ჩავხედე და სულ მატლი იყო. გაბერეს, ჩამაძერინეს და „აისეთაივ კაც ვიქენივ.“

51. ჰაჯავათური სარგაო და გაგაურინარეალი ნაშროვი

გარდა სასწაულებრივი ჯაჭვისა, რომელიც თორლვამ გამოიტანა ქაჯავეთიდან, იქიდან სხვა ნივთებიც გამოუტანიათ, მაგალითად, წმინდა გიორგიმ ქაჯავეთიდან წამოიდო ირმის რქა, რომელშიც 1,5 ლიტრა ქერი ჩადიოდა თურმე.

ქაჯავეთში ქაჯის ქალები ისე ქსოვდნენ წაღმა-უკუდმა, რომ ნაქსოვი არ ჩანდა თურმე. ობობას (ბებერაის) ქსოვილივითა ქსოვენ — უჩინარი იყო (უჩინარს ჰქეოვდნენო). ვინც იმათ ნაქსოვს მოისხამდა (მოიხურავდა) უჩინარი ხდებოდა. იმას არც ტყვია ეკარებოდა, არც ისარი. ეს ნაქსოვი — მოსასხამი შექებულივებდა გველის ჭარივითა (გველის ჭარი გველის პერანგია). ამ მოსასხამის შოვნა, მისი ხელში ჩაგდება ძალიან მნელი ყოფილა. მისი შოვნა ნაწილიან კაცს შეეძლო (ქაჯები ასეთ კაცებს აძლევდნენ).

52. ლაშარის ჯარის უნიხ (უნიხარი) ტეატრი

უჩინარი, საფერველდებული ცხენის არსებობა მე გამიგია. ლაშარის ჯვარს პყოლია უჩინარი ცხენი. ამას მარტო ქადაგი ხედავდა თურმე.

ლაშარელაის ლურჯასა ფაფარ ასხავის გიშრისა, ქორებულ გაემართება, კოტორ გაპყვება ნიხლისა; ჩაეშველება საყმოსა, ხან რო არ იყოს მისვლისა.



* * *

გიორგი ნადვარშვენიერი ქაჯავეთში ჩასულა, ულაშქრავ ქაჯური ბი და იქიდან მოდენი (დობილები) წამოუყვანია — სამი ქალი.

* * *

ნადირთმწყემსისა და ფუძის ანგელოზისა არა ვიცი, მაგრამ რომელიმე ხთიშვილი კი შეიძლება მოვლინოს ადამიანს, უფრო მოხუცი მეზობლის ან ნათესავის სახით და გაახსენოს ამ კაცს, რომ ხატი მისგან მოითხოვს სამსახურს.

53. მონადირის უცნაური თავგადასავალი

იყო ერთი მონადირე, გოჯი ზურებიანი, ცხოვრობდა სოფ. ფაბე-შში (ძესტიის რაიონი). ერთ დღეს მარტო წავიდა სანადიროდ. და-მის გასათვად შევიდა ადრე შეგულვებულ გამოქვაბულში. შეუდგა ვახშმის სამხადისს. ხურჯინიდან ამოალავა პური, არაყი. სანამ ლოცვას შეუდგებოდა და ჭამას დაიწყებდა, გამოქვაბულში შემოვი-და ზურებიანის მეზობელი გოჯი კახიანი. მიესალმნენ ერთმანეთს. ზურებიანს გაუხარდა გოჯის მოხვდა. კახიანს იარაღი არ ჰქონდა თან.

- იარაღი სადა გაქვსო?
- გარეთ დავტოვეთ.
- შიგნით შემოგეტანაო?
- გარეთ არაფერი უჭირსო.

ორივემ ილოცა. არაყი დალიეს, ცოტა საჭმელი შეჭამეს. კახი-ანმა უთხრა ზურებიანს:

— ამაღამ მთვარიანი ღამეა, ჯიხვების სამყოფი ადგილი ვიცი, წავიდეთ და მოვკლათო.

- ღამე ნადირობა არავის გაუგია, გათენდეს და მერე ვნახოთო.

კახიანმა დაიჯინა. ზურებიანი გამოიყვანა გამოქვაბულიდან. დააპირეს წასვლა, მაგრამ კახიანმა იარაღი არ აიღო.

- მე იარაღი არ მჭირდებაო.

შეკვნენ კამათს. სტაცა კახიანმა ხელი ზურებიანს. დაუწყეს ერთმანეთს ცემა. როგორც იქნა, ზურებიანმა იმარჯვა, ჰქრა ხელი და ციცაბო კლდიდან გადაჩეხა. ზურებიანი დაბრუნდა გამოქვა-ბულში. ბევრი ინანა, ეს რა მომივიდა — მეზობელი შემომაკვდა (დავღუპეო). ძილი არ მოეცარა. დილით ადრე ადგა. ნახა ის ადგი-ლი, საიდანაც მეზობელი გადააგდო. აქედან გადაგდებული კაცი კი არა, ქვაც არ გადარჩებოდა. ქრუანტელმა დაუარა და სახლისაკენ გაუდგა გზას. სანამ სახლში მივიდოდა, ნახა, რომ გოჯი კახიანი და მისი ძმა სათიბს თიბავდნენ სახლის ახლოს. ზურებიანმა გამარ-ჯობა არ უთხრა.

— ჩას გვემდური გოჯი, ყოველთვის ნანადირვით დატვირთუ-ლი არავინ მოდის, მაგრამ გამარჯობას კი ამბობენო.

— ნანადირევთან არა მაქვს საქმე, მე თქვენთან მექნება საქმე
დღეიდან.

მმებს გაუკვირდათ. მათ არავითარი ბრალი არ მიუძღვდას და მასთან
იწყეს ერთმანეთს შორის მოციქულობა. კახიანმა გაიგო, თუ რა ბრა-
ლი ედებოდა მას, მაგრამ იმ დამეს კახიანი სახლიდან არ გასულა.
ფიცხე გავიდა კახიანი თავის მმასთან ერთად.

დარწმუნდა ზურებიანი, რომ იმ დამეს გამოქვაბულში მასთან კა-
ხიანი არ ყოფილია. მას გოჯის სახით ტყეში მცხოვრები ტყის კაცი
ან სხვა არსება მოჟღლინა.

54. დაღის სამყოფი გამოქვაბული რაზოსია

ვისაც დაღი უნახავს, მისი გადმოცემით, დაღს თეთრი ტანსა-
ცმელი აცვია. ოქროს ნაწნავები აქვს. ცხოვრობს გამოქვაბულში
(თეთნულდის ახლომახლო კლდეებში). დაღის სამყოფი გამოქვა-
ბული ოქროსია, ისე ანათებს, როგორც შე, შეხე მეტადაც. აქ მო-
სული კაცი, თუ დაღის არ მოეწონა, იღუპება, დაღი დაჯუბავს, რომ
არავინ გაიგოს მისი სამყოფი აღგილი. ვინც მოეწონება, მასთან
ინტიმურ კავშირს ამყარებს და აფრთხილებს, პირობას ადებინებს,
რომ არსად გაამხილოს დაღის სამყოფი აღგილი და მასთან კავ-
შირის ამბავი. დაღი ჟავდავია. იგი პატრონობს ჯიხვებს. ჯიხვე-
ბის ჯოგს სადაც უნდა გარკვავს. მონადირესაც გარკვეული რაოდე-
ნობის ნადირს მოაკვლევინებს. ურჩ მონადირეს კლდიდან გადაჩე-
ხავს. დაღებს განაწილებული ჰყავთ ჯიხვები. გამოქვაბულში ერთი
დაღი ცხოვრობს. ისე დაღი რამდენიმე შეიძლება იყოს.

55. თეთრი ჯიხვი და მონადირე

ერთ დღეს უშგულელმა მონადირემ ნადირობის დროს კლდეებ-
ში ნახა თეთრი ჯიხვი, ჯოგისაგან განცალკევებით ძოვდა ბალახს. მონადირემ თოფი მოიმარჯვა, მაგრამ გაახსენდა, რომ თეთრი ჯიხ-
ვის მოკლა არ შეიძლებოდა და თოფი დაბლა დაუშვა. ჯიხვს უთ-
ხრა:

— კეთილად იყავი, მშვიდობით იმგზავრე, მე შენ არ მოგკლავო.
თეთრი ჯიხვი წასულა და ჯოგიდან ერთ-ერთი ჯიხვი რქინა-

რქენით გამოუდენია. იმ ადგილას მოუყვანია, სადაც თვითონ მოვდა. მონადირე იქვე დახვედრია. უსკრია თოფი და ეს ჯებვის მუჟავა კლავს. თეთრი ჯიხვი თავის გზაზე წასულა.

ეს თეთრი ჯიხვი ჯოგის მეთაურია. იგი ერთადერთია, გარდა სითეტრისა, მას სხვა ნიშანი არა აქვს. სხვა ფერის მეთაურ ჯიხვს შეიძლება პქონდეს ტანხე ნახევარმთვარის მხგავსი თეთრი ზოლი სხვადასხვა ადგილას.

იმ მონადირეს თეთრი ჯიხვი რომ მოეკლა, უსათუოდ დაიღუპებოდა.

56. თათრი დახვის სახის ანგალოსი

მულახის თემის ჯაჭვლიანთა საგვარეულო კოშკის შესახებ ასე-თი თქმულება არსებობს: შებინდებისას, მწვერვალ თეთნულდიდან კოშკი შემოდიოდა მფარველი ანგელოზი თეთრი ცეცხლის სახით. როგორც კი შემოვიდოდა მის სახელზე ლოცვას დაიწყებდნენ. ამ კოშკიდან სხვა საგვარეულოს კაცი მოუკლავთ. ამის შემდეგ თეთრი ანგელოზი არ გამოჩენილა.

57. რეინდა პიორპიმ გავარდარებულ რკინაზე გაიარა ჭახშიშვალი

ერთ დღეს კარგად ჩაცმული ჯგრაგი (წმინდა გიორგი) თავისი ცხენით გაემგზავრა ჩრდილოეთ კავკასიაში. ხალხს მოუწოდა რომ ერთ რჯულზე გადმოსულიყო. ხალხმა ეჭვი შეიტანა მის ღვთაებრიობაზე და მოითხოვა ფეხშიშველი გავვლო გავარვარებულ რკინაზე. ჯგრაგმა გაიხადა ფეხზე და გახურებულ რკინაზე გაიარა. მაშინ კი ირწმუნეს ჯგრაგის ძალა, მაგრამ რჯული მაინც არ შეუკლიათ თურმე.

58. კალალი მონალირე და ნაზილიანი ჯიხვი

კალელი მონადირე გრამიტონ გამყრელიძე, რომელიც გადასული იყო ლენტეხის რაიონში (ხოფ. ზესხოში) ერთხელ სანადიროდ წასულა. მოუკლავს ორი ჯიხვი. მესამე რომ მოუკლია, იმას ნიშანი ვა

პქონია, თურმე: წინა მხარეს თეთრი ზოლები და უკანა მხარეს კი — ჭრელი. როცა ესროლა, ამ ჯიხვს ქალივით კივილი დაუწყია, მოგვალი საათი კიოდა და მერე მომკვდარა თურმე.

მონადირე შეშინებულადამჯდარა და დაუსვენია, მაგრამ უცბათ ჩასძინებია. სიზმარში თავზე დადგომია თეთრად მორთული ქალი, რომელსაც ოქროს გრძელი ნაწნავები ჰქონია. შეშინებულ მონადირეს გაღვიძებია და ნამდვილად უნახავს თეთრად მორთული ოქროს ნაწნავებიანი ქალი. ქალმა უთხრა: — შენ რატომ მოკალი ეს ჩემი კლდის ვეფხვიო, ამ კლდეში რაც ჯიხვებია, იმათ უფროსად მყავდა ეს ჯიხვიო.

მონადირე მიმხვდარა თავის შეცდომას და დახოქილი შეხვეწნია ამ ქალს: — შეცდი, არ ვიცოდი და მაპატიე შეცოდებაო. ქალს უთქვამს: — რახან შენ დამასწარი, მიპატიებია, მხოლოდ დღეის იქით სახადიროდ არ გხახო გამოსულიო.

გასულა დრო. გრამიტონს თავი ვერ შეუკავებია და ისვე წასულა სახადიროდ, მაგრამ სხვა კლდეზე (ყორულდაშის კლდეზე). მოუკლავს ერთი კარგი ჯიხვი. ჯიხვი კლდეზე გადავარდნილა. ჯიხვს თან მონადირეც გადაპყოლია (ვითომ ქარმა დაუბერა და ჯიხვს გადაპყოლა). ასე შესრულდა იმ ქალის დახაპირები.

59. ლამარიას ვარძი და უმინდა პირობი

ლამარიას სალოცავი უშგულშია. ერთხელ ჯგრაგს (წმინდა გორგის) ლამარიას შეცდენა განუხრახავს. ლამარიას უარი უთქვამს. გაპრაზებულ ჯგრაგს დევისთვის უთხოვია უშგულსა და კალას შეაგაშენებინა ისეთი კლდე, რომელიც დააგუბებდა ენგურს და ამით უშგულელებს ამოაღრისხობდა. დევს ჯგრაგის ბრძანება შეუსრულებია (ამ კლდეს ეხლაც დევის აშენებულ კლდეს ვეძახით). ეს ამბავი ლამარიას გაუჯია. შეწუხებულა ძალიან. წყალი დაგუბებულა და უშგულელებს დახრისხობა ელოდათ. ლამარია დიდ ღმერთს (ხოშადერმერთს) შეხვეწნია: — უშგულელები იხსიბიან და დამეტმარეო. თან უთქვამს, რომ მე ერთი ვერძი მყავს და იმას გავუშვებ, ვებ გაანგრიოს კლდეო. — კარგიო, — უთქვამს დიდ ღმერთს, თუ ვერძმა ვერ გაანგრია, მერე მე დაგეხმარებიო.

ლამარიას გაუშვია ეს ვერძი. ერთხელ დასტაკებია კლდეს, მცენებერ, მაგრამ ვერ გაუნგრევია. შესამჯერ რომ დაეტაკა გაუნგრევია, მაგრამ ორივე რქა კი მოსტეხია. ასე გადაუჩენია ლიტერატურას უშგულელები.

60. მონაღირა და მავადი

უშგულში ერთი მონადირე ყოფილა, სახელად ნასყიდა ერქვა, გვარად ნიფარაძე (დიდი ხნის წინანდელი ამბავია).

ერთ დღეს ამდგარა და წასულა სანადიროდ, ლამარიას ჟლესიის უკანა მხარეს მიდიოდა. გაიხედა და ნახა, რომ დევებს ჭიანჭელებივით წრე შეუკრავთ და ბურთს თამაშობენ. ნასყიდას უფიქრია: რომ დავპრუნდე, მაინც მომკლავენ და ბარემ შიგნით შევიდე ჯობიაო. შესულა შიგნით. აუღია ბურთი და წასულა. ამ დევებს ფინილი⁴ ჰქონიათ. გამოქცეულს გამოკიდნენ. თან ეძახიან: — ნასყიდა, ნასყიდა, ფინილი დავვიბრუნეო, უშგულში შესვლას ცოტა ულია. დვები კი მაინც მოსდევენ. ნასყიდას უფიქრია: ესენი რომ უშგულში შემომცვნენ, სოფელს გადალეწავენო და ფინილი დვების დაუბრუნა. დვებიმა დალოცეს. თვითონ სახლში დაბრუნებულა.

შეორე დღეს ისვე წასულა სანადიროდ. ეხლა ვეფხვს შეურია. ეს ვეფხვი ნასყიდამ მოკლა, მაგრამ თვითონაც დაჭრილა და მერე სანადიროდ არ წასულა.

61. რორ და ვარებელი რამოჟაღილი თამრი ირავი

ყოფილა ერთი კარგი მონადირე კაცი. სახელად ხუხუ რქმევია. ხელმწიფეს ძალიან ყვარებია. ამ ბიჭის მამაც მონადირე ყოფილა, იმასაც მეფესთან უმსახურია, მაგრამ ნადირობის ღროს დაკარგულა (მომკვდარა). დედა უმაღლავდა ხუხუს მამის დაკარგვის ამბავს.

ერთ ღამეს ხუხუმ დედას უთხრა: საგზალი გამომიცხვეო. დედამ საგზალი გაუმზადა. დილით წავიდა ხუხუ. დედამ არ იცის თუ სად მიდის თავის შვილი.

ამ სამეფოში (ქვეყანაში) ბუდობს ერთი ოქროთი და ვერცხლით რქამოჭედილი თეთრი ირემი. ამ ირემმა მოკლა ხუხუს მამა. ეს ბიჭი მივიდა, სადაც ეს ირემი ბუდობდა იქ. ირემი იწვა. კაცი რომ ნახა, ადგა.

4 მოქმედმა არ იცის „ფინილის“ მნიშვნელობა, აღბათ, ბურთი იქნებათ.

— ხუხუ ხომ არა ხარ, რომ მოდიხარო, — იკითხა ირემბა.

— დიახ, მე ხუხუ ვარო, — უთხრა მისულმა. მაშინ ქმრილი ირემს თოფი. ირემი ბიჭისკენ წამოვიდა. მეორეც მოუნაცვლდა ბიჭმა. ირემი წაიქცა და მოკვდა. ბიჭმა გაატყავა. ამ ირმის მოსაკლავად რამდენი მონადირე წამოსულა, მაგრამ უკან არავინ დაბრუნებულა.

62. დაპრისტი ჯიხაის დანიშტ მოავლა აპრალულია (მაადშიღ)

დაჭრილ ჯიხვთან ან არჩვთან მისულ მონადირეს აკრძალული ქქონდა დანა ქმარა. უნდა დაეცადა, სანამ არ მოკვდებოდა დაჭრილი ჯიხვი თავისი სიკვდილით. სიკვდილის წინ ჯიხვი თუ შემოხედავს მონადირეს, სისხლიან ცრემლებს გადმოყრის. ალბათ, ამან შეაშინა მონადირეები და დანის ხმარება აკრძალეს. ასეთ აკრძალვას „მაადშიღი“ ჰქვია.

მაადშიღ (მადშიღ) ნიშნავს გარკვეული მოქმედების ან თქმის აკრძალვას: არ შეიძლება თავის სახელით ვახსენოთ გველი, თრითინა, თავი დავიბანოთ ორშაბათ დღეს, მოჭრილი ფრჩხილი გადავაგდოთ და ა. შ. ახალ წელს სულის შებერვით ცეცხლის გაჩაღება არ შეიძლება. ამისათვის სახლის უფროსი წინა დღით აშხაღებს ბურბუშელას, რომელსაც ნაცარში ჩაფლულ ნაკვერჩხლებზე დააყრის, დაუქნევს ბრტყელ ფანერს და ასე გააჩაღებს საახალწლო ცეცხლს. ახალწლის დიღას ლაპარაკიც აკრძალულია, სანამ უფროსი ყველას არ მიულოცავს ამ დღეს. გარდაცვლილის ლოგინზე, ორმოცის გასვლამდე, არავინ წვება, აკრძალულია (მაადშიღ).

63. დედოფალაზე

დედოფალა ზაფხულში წითელია, ზამთარში თეთრი. ის რომ შეთეთრებული (თეთრზოლიანი) გამოჩნდება, ვიტყვით: „ჩქარა ზამთარი მოვაო.“ იგი ცხოვრობს ეზოების ღობე-ყორეებში, სახლის კედლებში, ჭერზედაც დარბის, მაგრამ არ ვემტერებით. პატარა კუტებიც მინახავს. თუ კაცმა გააჯავრა, ცუდ საქმეს უზამს. პატარა კუდი აქვს, ტანი მოგრძო — გამწაული (გასრიალებული, სუფთა), მეტად სწრაფია, ერთი ნახტომით იჭერს თავის. მე მინახავს, რომ დე-

დოფალა ძროხას წოვდა, ძროხაც არ უშლის. ძროხამ თუ გააჯავრა,
შეიძლება ძუძუხე ჟყბინოს.



ზოგჯერ იტკვიან, ხოლმე: ჩემი ძროხა დედოფალას მოუწოდია და
რძესთან ერთად სისხლიც გამოდის. ჩვენ არ ვერჩოდით მას —
სახლის სისუფთავეათ.

64. ჯიხა უმრისალი (ნაკი) ხისა აღმოაჩდა

ერთი კაზბეგელი მონადირე წასულა მყინვარწვერის მიმართუ-
ლებით სახადიროდ. ქოხში დაბინავებულა დამის გასათვად. და-
მით რომ დაიძინა, სიხმარი ნახა, თურმე: ერთ ნიშნეულ აღვილას,
ვითომ, ჯიხვი მოკლა, გაატყავა და ხორცი ააჭრა, ერთი ფერცხუ-
ლი (ნეკი) ხისა აღმოჩხდა (დეკას ხის ნაჭერი). დილით, იმ ნიშნე-
ულ აღვილას რომ მიიღიდა, სწორედ ისეთივე ჯიხვი დახვდა, როგო-
რიც სიხმარში ნახა. ესროლა თოფი და მოკლა ეს ჯიხვი. როცა გა-
ატყავა და ხორცი აქნა, მართლაც ერთი ფერცხალი (ნეკი) ხისა პქო-
ნებოდა.

65. ჯიხავაის მავამი და ხუთა ხამიშილი

პაპაჩემი იყო მონადირე და მთამსვლელი, ხოცავდა ჯიხვებს.
მისგან გამიგონია ასეთი გადმოცემა: ძელად ერთი მონადირე ხუტა
ხუციშვილი ბეთლეგმის გორახე წასულა სახადიროდ. იქ ჯიხვები
უნახავს. ერთ-ერთი ჯიხვი მისანში ამოუღია, მაგრამ უცბად ამ ჯი-
ხვებს ქალი გადაფარებით მანდილით. მონადირისთვის დაუძახია: —
წადი, თორმეტი ჯიხვი შეგხვდება და ერთი, რომელიც კველაზე
დიდია, შენი იქნება, ხოლო სახლში შვიდი რომ გყავს, (შვიდი შვი-
ლი ყავდა ხუტას) ერთს მე წავიჭანო.

წამოვიდა ხუტა გაოგნებული. ხედავს ნაპრალზე მგელია თავ-
ქვე ჩაუკერებული. გაბრაზებულმა მონადირემ მას თოფი ესროლა.
მგელი ნაპრალებში გადაიჩქა. როცა ოფარებში (აღვილია სამე-
ბის ახლოს) მოაღწია, ტყიდან ფაჩი-ფუჩის ხმა შემოესმა. ჯიხვები
გამოვიდნენ. წინ ბელადი მოუძღოდა. ხუტა ჩაუსაფრდა და ეს მეთა-
ური ჯიხვი მოკლა. მეხობლებს შეატყობინა და მოკლული ჯიხვი
მარხილით ჩაიტანეს. სახლში ქალიშვილი ავადმყოფი დაუხვდა.
ხუტა მიხვდა თუ რაშიც იყო საქმე და ცოლს უთხრა: არაყი გააკე-

თეო. ორი კვირის შემდეგ ქალიშვილი გარდაიცვალა. ეს ამბავი ნა-
დირის უფროსს დააბრალეს.

ბეთლემის ახლოს არამც თუ ჯიხვის მოკლა, თოფის სარილაც
არ შეიძლებოდა. მხოლოდ ქალიშვილის დაკრძალვის წინა დაბეს
ხუტამ მეზობლებს გაუმედავნა, რაც მას გადახდა.

66. მონადირე და ხის პაპიანი ჯიხვი

ერთი მონადირე სანადიროდ წავიდა და ერთ კლდის გამოქვა-
ბულში დადგა, დაანთო ცეცხლი. შეა დამის ღრი რომ მოვიდა, გაი-
გონა ეშმაქების ძახილი. (ამ მონადირემ) ერთი ჯიხვი მოკლა, ამო-
უღო გულ-ფილტვი და ცეცხლში შეაგდო. ის ოხერი ცეცხლიდან
გამოხტა და გაიქცა. მონადირემ ყვირილი (ძახილი) დაიწყო. რა სა-
კირველება ვიხილეთ. ეშმაქებმა დაუძახეს: ეგ რა გასაკვირია? გა-
საკვირველი ბათირმა ნახაო (მაიხილაო).

ადგა და წამოვიდა მონადირე, იარა ხალხში, კითხულობდა: ბა-
თირმა რა ნახათ? თვით ბათირთან მივიდა, კითხა ბათირს: რა ნა-
ხეო? ბათირმა უთხრა: მე ეს ვნახეო: შენ რომ ყოფილხარ, იმ კლდის
გამოქვაბულში მეც ვიყავი. დავანთე ცეცხლი. შეაღამისას ძახილი
მოქესმა: ქორწილი გვაქვს და წამოდიო, — ვერაო, დაუძახა ეშმაქმა,
სტუმარი მყავს და ვერ წამოვალო. მეორეჯერ დაუძახეს: წამოდი და
სტუმარიც თან წამოიყანეო. ძალიან ბნელოდა. ვიღაცამ დამიძახა:
წამოდი, წავიდეთ ქორწილი აქთო. — რას ამბობ? მე თვალით არა-
ვის გხედავთ, — წამოდი, დამიძახა, ჩემ ხმას მოპყვ, ოღონდ არა-
ფრით მოგატყუონ, ჩემს უკითხავად პასუხი არავის გასცეო. მივე-
დით (ქორწილში), ეშმაქებით იყო გამოტენილი (იქაურობა). დავ-
სხედით სკამხე. მაშინ კი დავინახე ყველა თვალით. მოიყანეს ხა-
მი ჯიხვი, დაკლეს და მოხარშეს. გააკეთეს ტაბლები და ხალხს პუ-
რი აჭამეს. ყველა ძვალი რაც იყო, შეინახეს, ხორცი შეჭამეს. არა-
ყიც დალიეს. ერთი (არაყი) მეც მომაწოდეს, არ დავლიე. ჩემს მომ-
ყანს (ხახეინს) უთხრეს: რატომ არ ხვამს შენი სტუმარით? — გამო-
ელის რამეს (შენს წყალობას ელის), უთხრა ჩემმა ხახეინმა. — ხვალ
ერთ ჯიხვს მოკლავსო! მეორე კანწი მომაწოდეს. არ დავლიე, — რა
სწყინს შენს სტუმარსაო? უთხრეს ჩემს ხახეინს. ისვე გაუმეორა:
გამოელის რამესაო. — ხვალ ორ ჯიხვს მოკლავსო, თქვეს (ეშმაქებ-

მა). მესამე კანწი მომაწოდეს. მაინც არ დავლიე. თქვეს: ხვალ ხად
(ჯიხეს) მოკლავსო და დავლიე მეც არაყი. პურიც ვჭამე. უხილულდ
დაყრილი ძვლები შეკრიბეს, მოახვიეს ტყავი, დაპკრეს მათრახი
აღგა და ერთი შეჭმული ჯიხვი გაიქცა. ახლა მეორეს ძვლები აას-
ხეს, მოახვიეს ტყავი, შეულოცეს. აღგა და გაიქცა (მეორე შეჭმული)
ჯიხვი. ჩემმა ემმაკმა ხაზეინმა მითხრა: ერთი ძვალი დამალეო. წე-
ლში გავირჲვე და დავმალე. დაიწყეს ძებნა. ის ბეჭი მე მქონდა. ხის
ბეჭი გაუჰეთეს, ჩაუდეგეს, მოახვიეს ტყავი, შეულოცეს:

აღვგ, აღვგ, ხეჭეჭაო,
ხისა გოგდავ ბეჭეჭაო.

აღგა და გაიქცა. მე დავიძინე. დილით, როცა გათენდა, ავდექი და
თვალით დავინახე ჯიხვები. მართლაც სამი ჯიხვი მოკალი... ერთ-
ერთი ის (ჯიხვი) მომიკლია, რომელსაც წუხელ ხის ბეჭი ჩაუდეგეს...

67. ლავალი მონაღირა თახი პოსავილი

ერთხელ თახი შოდის მთაში ჯიხვე სანადიროდ წასულა, თან
წაუკვანია მკობარი და ერთგული ძაღლი... ბევრი უვლიათ, მაგრამ
კერაფერი ძოკლავთ. ბოლოს დაღლილ-დაქანცულ და შეცივნილთ
შოდის კლდის ძირში დაუსვენიათ. რა კქნათ, რით გამთბარიყვნენ,
ცეცხლი არ ჰქონდათ. ამ ყოფაში მონაღირებს შორს ტყეში ცეც-
ხლი შეუკნევიათ. თახის უთქვამს ამხანაგისათვის, — წადი, ცეც-
ხლი ითხოვე, მოიტანე და გავთბეთო.

ბევრი სიარულის შემდეგ მონაღირე მისულა ცეცხლთან. დაუ-
ხახეს, რომ კოცონს ირგვლივ სამი კაცი უზის და საუბრობენ. ესე-
ნი ნადირთ ანგელოზები ყოფილან. მონაღირე მოსულა მათთან და
უთხოვნია: არიქა, სიცივით კვდებით, ცეცხლი მოგვეცითო. ცეც-
ხლს მოგცემთ, თუ გვეტვით, ხვალ როგორი ამინდი იქნებათ.

მონაღირეს უპასუხნია: რა ვიცი მე, ხვალ როგორი ამინდი იქ-
ნებაო... დაურტყამთ მისთვის მათრახი და ვირად უქცევიათ. ამხა-
ნაგს რომ დააგვიანდა, თახი წავიდა ამბის გასაგებად. მივიდა კო-
ცონთან, იცნო ნადირთ ანგელოზები და მიესალმა, შერე იკითხა —
თქვენთან ცეცხლისთვის მონაღირე გამოვგზავნე, რა იქნა, ხომ არ
გიხახავთ? ჩვენთან არავინ მოსულათ — უპასუხეს. ამის შემდევ თა-
ზიმ მუდარით მიმართა: მაღლიანნო, სიცივით კვდები, ცეცხლი მო-

მეცით.. ერთ კითხვას დავხვამთ, თუ სწორ პასუხს გასცემთ, მოგცებ-
თო, — უთხრეს თახის ანგელოზებმა და თან დასძინეს: აბა, თუ წირული
ხვდები, ხვალ როგორი ამინდი იქნება? თახი ჯერ დაფიქრდეს შემოთხოვა
და მიუთ: ღმერთმა იცის ამინდის ავ-კარგი, მე მაგისი არაფერი
გამეგებაო...

თახი მიიწვიეს ცეცხლთან და ჯიხვის ხორციც შესთავაზეს,
მაგრამ გააფრთხილეს — ძვალი არ გადააგდო, ერთ ადგილზე და-
აგროვეო.

...დაიწყო ხორცის ჭამა... უცაბედად ბეჭის ძვალი გადაუვარდა,
რომელსაც ძაღლმა ჩაივლო პირი და გაიტაცა... ეს რომ შეიტყვეს
ანგელოზებმა, მონადირეს უთხრეს: წადი, არყის ხე მოჰქონდი და მოგ-
ვიტანეო. თახიმ არყის ხე მოიტანა. ანგელოზმა არყის ხისგან ბეჭი
გამოთალა და ძვლებს შეურია, შემდევ ძვლების გროვას მათრახი
გადაპკრა, ჯიხვი გააცოცხლა და ხისბეჭიანი ჯიხვი კლდეში გავარ-
და. ანგელოზებმა თახის საყვედური უთხრეს: შენ თურმე ბევრ ნა-
დირს აფუჭებ, მოდიან ნადირნი და შემოგვჩივიანო. ამ სიტყვების
შემდევ ანგელოზმა გაქცეულ ჯიხვს მიაძახა: თახის იღბლისა ყო-
ფილხარ და შენს მეტი ნადირი მას აღარ მოკელასო... მონადირეს
მიუბრუნდა და უთხრა: თახი, თოფი კედელზე დაკიდე და სანამ არ
გაინძრეს, სანადიროდ არ წახვიდეო. თახიმ დამე იქვე გაათია, მე-
ორე დილით სანადიროდ გაიარა, მოკლა ორი ჯიხვი და ანგელო-
ზებს სთხოვა, ვირი მათხოვეთ, სოფელში ჯიხვებს ჩავზიდავ და პი-
რუტჭებს მაღე უან დაგიბრუნებთო. ანგელოზებმა ათხოვეს ვირი,
თან გააფრთხილეს პირუტჭებ არაფერი ავნო, დილით ისევ აქ მოიყ-
ვანეო... თახიმ ჯერ შინ მიიტანა ჯიხვი, მერე ამხანაგის ოჯახს ებ-
ტურა და ცოლს პკითხა, მონადირე ხომ არ მოსულათ, არაო — უთ-
ქვამს ქალს.

...მეორე ჯიხვი ამხანაგის ცოლს დაუტოვა, ვირი ეზოში ბოძე
მიაბა და ქალი გააფრთხილა... არავინ აქნოს რამეო. ვირადქცეულ
საბრალო მონადირეს ესმის კველაფერი მათი საუბარი, იცის, რომ
თავის ოჯახშია, მაგრამ სიტყვა ვერ უთქვამს. დაღამდა, ვირმა დაი-
ნახა, რომ მის ცოლთან საყვარელი მივიღა და ატეხა კვირილი,
ტლინქების ცემა. გაბრაზებული ცოლი გარეთ გამოვარდა, ვირს
ცოცხის ტარით თავში ცემა დაუწყო და მანამდე ურტყა, სანამ ცალი
თვალი არ წამოაგდებინა... თახიმ ცალთვალა ვირი რომ ხახა,
თქვა — ვინ მოსთხარა ვირს თვალიო. ქალმა უთხრა: არ ვიცი, ალ-

ბათ, ასე ბრმა იყოვო, თორემ აქ მისთვის ხელი არავის მიუკრებია. თანიმ ცალთვალა ვირი მიპგვარა ანგელოზებს... ვერა გმერა ნია, ვირი ვინ დააბრმავათ.

...ვირს მათრახი დაარტყეს და ისვე გადაქციეს კაცად... მოლალატე ქალი ცხენის კუდზე გამოაძეს და წმებით მოკლეს.

თანი და მისი ამხანაგი მივიღნენ შინ. ჯიხვის ხორცი ქვაბში ჩააგდეს... ხორცის ჭამის დროს თანი ხის ბეჭს წააწყდა და გაქვირვებულმა ბრაზით შესძახა: აი, ნამდვილად ის ჯიხვი მომიკლავს, ანგელოზებმა რომ დაწყველეს, თანის ილბლივისაც ყოფილხარო. თანი ისე მოიქცა, როგორც ანგელოზებმა ურჩიეს. განთქმულმა მონადირემ თოფი კედელზე ჩამოკიდა. ხალხი ხის ბეჭის ამბავს სინამდვილედ თვლის. ამბობენ, თანის ნახადირევი ნადავლი „ხის ბეჭი“, „დვისურები“, ირმის რქები და სხვა ამ ბოლო დროშდე ინახებოდა ბოხაშვილების სახლის თავანშიო.

68. პრეზ (წის) პაჟიანი ჯიხვი, რაინდა გვალი და მონადირე

სახელგანთქმულ მონადირე ნაწუას კლდეში სიარულში ბადალი არ ჰყოლია. განსაუთრებით ჯიხვებსა და არჩევებზე ნადირობით ყოფილა გატაცებული... ერთხელ ჯიხვებზე სახადირო წახულა შოდის მთაში და აღარ დაბრუნებულა... მონადირე ნებტორ გოგრიჭიანი შოდის მთის „თავკვეთილის“ გამოქვაბულში შემთხვევით წაწყდომია თოფ-იარაღს, იქვე ყოფილა კაცის ჩონჩხი... უცვიათ მონადირის იარაღი... ნაწუა იმდენად ჰყვარებია ხალხს, რომ მასზე ლექების სთხავდნენ და მღეროდნენ დღემდე მთის რაჭაში... ხრუნის შაირებში...

1. კლდემა გასძახა კლდესაო, ნაწუა არის ჩვენსაო, ვაწულოთ ჯიხვი ბოიკი, თორემ გაგვიწვეტს ბერესაო.
2. კლდემა გასძახა კლდესაო, ნაწუა არის ჩვენსაო, ჯიხვსა გვთხოვს მეტად მსუქანსა, არყი რო უხის ბეჭსაო.

წადი მიეცი ი, ჯიხვი, თორემ მოგვიკლავს შველსაო.

...შველს წინაპრები იშვიათად კლავდნენ, თურმე, იტყოდნენ — წმინდა ცხოველია, ნადირთა ანგელოზს არ უნდა მისი მოკლაო.



შემოდგომის ერთ მხიან დღეს ივანე მთაში ჯიხვებზე საბატონისაღი
როდ წასულა, თან წაუყვანიდა თავისი საყვარელი ძაღლი ყურძა...
პიტალო კლდეზე ჯიხვები შეუნიშნავს... უნდოდა კლდეზე ასვლა,
მაგრამ ვერ ახერხებდა. ბოლოს თოვლის გუნდები წყალში დაუსვე-
ლებიდა და მისგან კლდეზე საფეხურები გაუკეთებია. საღამოს გუნ-
დები კლდეს ძიპინვიდა და ასე კიბე-კიბე ივანე თავისი ძაღლით
მაღლა აცოცებულა. აյ მას უნადირია. მოკლული ჯიხვები ძირს უფ-
სკრულში ცვიოდნენ... ძეორე დღეს დილის შეს თოვლის გუნდები
მოელხო... ივანე ძაღლები დადარღიანებულა, თანაც საგზალი შემო-
ლვია... განუშრახავს თავისი ერთგული ძაღლის მოკვლა... დარ-
ღით ცრემლები სცვიოდა, მაგრამ რა ექნა... ერთგული ყურძა მაინც
დაუკლავს. ძმვილდისრითა და კაპარჭით ცეცხლი დაუნთია და
მწვადებიც შეუწვავს, მაგრამ ჭამაზე გული არ ძისვლია...

ივანეს რომ დააგვიანდა, ძმები წაგიდნენ საძებრად... ერთ კლდის
ძირას დახოცილი ჯიხვები უნახავთ, მაღლა აუხედავთ და ივანეც
დაუნახავთ... ძმები ბევრს ეცადნენ, მაგრამ ივანეს ვერ გააძევინეს
ძირს ჩამოსკვლა... საცოლე მოპგარეს, რომელმაც კლდის ძირში ჩა-
ლა და თივა ბლობად მოზიდა...

ივანე კლდიდან გადმომხტარა, დიდი ქვა გადმოჰყოლია, რომე-
ლიც ზედ დასცემია და მოუკლავს...

ივანე რომ კლდეს გადმოხტა,
ორბი ვერ აურინდებაო,
ივანეს რომ ქვა დაეცა,
დკვი კრ ადგებაო.

70. ჯიხვის რჩას ანიშაული სანიაზი

ერთ მონადირეს დაუნახავს ჯიხვი, ამოუღია მიზანში, მაგრამ
თოვი არ გავარდნილა, ჯიხვის რქებზე კი სანთლები ანთებულა.
ამბობდნენ: ის ჯიხვი თავისი მფარველმა იხსნაო.

მონადირეს ნადირთა მფარველი შეეღოდა ყოველთვის. ოდონდ
ამ მონადირეს აზარის⁵ გათავების შემდევ თავისი თოვი უნდა მი-
წაში დაემარხა და ხელი აეღო ნადირობაზეო.

სანადიროდ წავლის წინ მონადირე შეეხვეწებოდა ნადირთა
ღვთაებას, რომ ამ საქმეში ხელი გაემართა. სამაგიეროდ მონადირე

⁵ დახოცილი ნადირის განსაზღვრული რაოდენობა (100 ან 200) შეაღვენდა აზარის
ასრულებას.

მოკლული ნადირის გულ-ღვიძლს სადმე ებში (გამოქვაბულში) ცეცხლზე აშიშხინებდა ნადირთა მფარველის საამებლად.

ნადირთა მფარველი უჩინარი არსება იყო. იგი მონადირეს უმეტეს შემთხვევაში ლამაზი ქალის სახით მოვლინებოდა ხოლმე.

71. ნადირთმშარველი და ხათისო საუარავილი

ფშაველის წარმოდგენით, ნადირსაც ჰყავს თავისი მფარველი არსება, რომელიც კლდეებში, ჭიუხებში, ძნელად მისასვლელ ადგილებში ბინადრობს.

მაღაროს მთაში (სოფელ მაღაროსკარის ზემოთ) ცხოვრობდა ფშაველი კაცი ხეთისო საფარაშვილი. იყო განთქმული მოღვესე. კარგი ხელოსანი და საუცხოო მონადირე. ერთხელ ის, ჭიუხებში, ჯიხვზე სანადიროდ წასულა. ნადირობიდან დაბრუნებულს, მეზობლებისთვის უთქვა: ჯიხვების ნაკვალევს მივაკვლიე და როცა მიკუახლოვდი, დაფრთხენ, შორს გადაიხვეწნენო. რაღაცა ძალა მეუბნებოდა: — მიდი ბოლომდე მიპყვიო. მეც გადავყევ, ისევ დავლიანდე ხარჯიხვი, ამოვიდე მიზანში, ვესროლე და აკი არ დავაგორეო.

ამ ამბის შესახებ სოფელში მორწმუნე ქალები ამბობდნენ: ნადირთა მფარველს ხელი გაუმართია მისთვისო.

72. მოთხოვ ჩახვა

ძველად სწამდათ, რომ რამდენიმე წელიწადში ერთხელ, ორბის ბუდეში, სხვა ბარტყთა შორის, ერთი ლეკვი გამოიჩიკება ხოლმე ორბის კვერცხისაგან.

კურშა ორბის ლეკვი ყოფილა. ლეკვს ბეჭებზე ორბის ფრთხი ჰქონდა და თურმე არაჩვეულებრივი მონადირე ძაღლი იყო, ორ ნახტომზე ჯიხვს ეწეოდა, მესამე გადახტომას სათაკილოდ სთვლიდა, მისი ყეფა ცის გრგვინვას ჰგავდა, კურ-ტუჩი ოქროსი ჰქონდა, თვალები კი მთვარის ოდენი.

ყოველი მონადირე ნატრობდა კურშას პოვნას, რადგან ნადირობაში იღბლიანი იყო. მაგრამ ღედა-ორბი ამ ლეკვს გამოჩიკისთანავე აიყვანდა ხოლმე ძლიერ მაღლა და მიწაზე დაახეთქებდა, რომ ადამიანს არ ჩაეგდო ხელში და არ გაეზარდა.

უოველწლიურად, გაზაფხულზე, საგანგებო ფერხულს ჩააბამდინებ
ხოლმე ქალები და ვაჟები, ცხვითა და სიმღერით შესთხოვდნენ
გაზაფხულის ღვთაებას, რათა ორბს გამოეწევა ამგვარი ლეკვი, პრ
დაედუა და მათთვის ენუქებინა.

ქალსა ვისმე კრევა შროშანიო,
ხუთსა თითხა ეცვა ბეჭედიო,
ბეჭედის თავსა მოლი მოსულაო,
მოლის თავსა ნაძვი ასულაო,
ნაძვის თავსა ორბს ბუღე პქონდა,
ბუღე იყო აბრეშუმისა,
პკერცხი პქონდა იაგუნდისა,
ლეკვი ჩვა მარგალიტისა.
ნაძვისა ხის ქვეშ ლომი იდგა.
იგი ლომი ლაქს ქაზბოდა,
ქეშებოდა, ეზერებოდა...
ღმერთო, ერთი ჩემთვის გაზარდე,
გაზარდე და კარგად მიმყოფე,
სანადიროდ გზა გაუწალდე,
ინადიროს, მოკლას ირგმი...

73. მონაღორე ივანე ჰაზისისალი და შურშა

...ერთ მონადირეს, სახელად ივანე ქვაციხისელს, ნადირთპატ-
რონისათვის სამსახური გაუწვია და მადლობის ნიშნად ყურშა
მიუღია. იმ დღიდან ხადირობაში არაჩევეულებრივი იღბალი მისცე-
მია. მონადირე ყურშას მეტად უფრთხილდებოდა: ღვინო-ბადაგს
ასმევდა, თეთრ პურს აჭმვდა და საბან-ბუმბულს ახურავდა. მაგრამ
დრო გასულა. მონადირეს ხადირთ პატრონი გაუჯავრებია. იმ დღი-
დან ყურშა გამწრალა, შეწუხებულა მონადირე. ვერ მიმხვდარა ყუ-
რშას დაკარგვის მიზეზს, ხან ეგონა — ვაჭართა ქარავანს გაპყვაო,
ხან კი — ქაჯებმა მოიტაცესო.

ჩემო ყურშაო, ორბისა ლეკვო, ჩემო ყურშაო,
ყურშა გავგხანე სანადიროდათ, ო, ჩემო ყურშაო...
ყურშა გამიქრა შუა დამთა, ო, ჩემო ყურშაო...
ვაითუ გვეადროს ქაჯე მოპარე, ო, ჩემო, ყურშაო,
ყურშას ყურ-ტუჩი ოქროს ესხა, ო, ჩემო ყურშაო,
ყურშას კვეულით პგავდა ქუხილსა, ო, ჩემო ყურშაო,
ყურშას თვალები — მთვარის ოდენი, ყურშას წარბები — გველის
ოდენი...

ყურშას თათები — ქვეყნის ოდენი; ყურშას ნახტომი — დიდი მინდორი..

დიდხანს იგლოვა მონადირემ ძვირფასი ძაღლი, ბოლოს მის
კალს გაპუა... მონადირის წინ მაღალი, აქა-იქ თოვლით დაფარუ-
ლი კლდე აღიმართა. მონადირემ თოვლიდან გუნდები გააკეთა და
კიბის მაგივრად კლდეზე ააკრა. ძლიერი ყინვა იყო, თოვლი კლდეს
მიუყინა და მამაცი მონადირე კლდეს მაღლა აპუა... მაღლად კლდე-
ზე მართლაც იპოვა თავისი უკრშა. ძალიან გაუხარდა, მაგრამ უან
რომ მოიხედა, მიხვდა, რომ თავი დაიღუაბა, შეს თოვლის გუნდები
დაედნო და უკან ჩამოსახვლელი გზა აღარ იყო. მონადირე მიხვდა,
რომ ნადირთპატრონის შურისძიებამ უწია. გავიდა რამდენიმე დღე-
შიმშილით გამწარებულმა მონადირემ მოკლა უკრშა, მაგრამ მის
ხორცს მაინც ვერ გაკარა... მონადირემ მთაზე ცეცხლი დაანთო...
შეიყარა ხალხი, მოვიდნენ მისი ძმებიც... — ჩემი მიჯნური მომგვა-
რეთ, უკანასკნელად შევხედავ და სიკვდილი გამიადვილდებაო...
მიჯნურმა ივანე გაამხნევა... მართლაც ისკუპა ივანემ, მაგრამ ბედმა
აქაც უმტკუნა, კლდე ჩამოიქცა და დიდი ლოდი გადაეჭარა ივანეს...

74. მონადირე ნარშეა

მთარაჭაში იყო განთქმული მონადირე, სახელად ნაწუკა. ნა-
დირთპატრონებმა სუფრაზე მიიწვიეს. გამოქვაბულში ცეცხლი ენ-
თო და შამფურზე აკებული ჯიხვი იწვოდა. ჩამოარიგეს მისი ხორ-
ცი. მონადირესაც მიართვეს. ჭამა გამოუცდელმა მონადირემ და
ერთი ბეჭი ძაღლს გადაუდო. ჭამა რომ გაათავეს, ნადირთპატრო-
ნებმა ჯიხვის ძვლებს თავი მოუკარეს. მონადირე რაღას იზამდა?
ძაღლს ბეჭი დაეხრა. ნადირთპატრონებმა ჯიხვს არყის ხის ბეჭი
ჩაუდეგს სამაგიეროდ — შენი იღბალიათ. გაცოცხლებულა ეს ჯიხვი
და წასულა.

მეორე დღეს მონადირეს ნადირობის დროს ჯიხვი მოჟვლავს და
ბეჭი არყის ხისა პქონია.

75. ბათქილი და დაღი

თებერვალში სოფელ ქაბეშში იციან ალბაილრალის დღეობის
გადახდა. ამ დღეს აქ წმინდა ფერხულს — „სამთი ჭიშხაშს“ და-
აბამენ ხოლმე სვანები. მაგრამ მხიარული პანგების ნაცვლად ამ
50

ფერხულში გოდება გაისმის. ვაჟკაცურია, ომახიანია ეს სიმღერა მაგრამ ტირილია იგი მაინც.

„ბაილ, იღბა ბაილ, ვაი, საბრალო ბეთქენ, ბეთქენ საწყალო“ — გაისმის ხოლმე ამ სიმღერაში. ვის სტირიან, ან ვის იგონებენ ამ ფერხულით?

ერთ დღეს, სოფელ ფაბეშში სამთი ჭიშხაში პქონიათ ჩაბმული. მაღალი თოვლის კოშე აეშენებინათ სკანებს და ზედ ორსართულიან ფერხულს უდიდენენ. უეცრად მოცემვავებმა დაინახეს თეთრი ჯიხვი, რომელიც წრეში შემოვიდა, გაუარა მონადირე ბეთქენს ლაჯებს შეა და კლდეებს მიეფარა.

— ვინ წავა, ამ ჯიხვს ვინ დაიჭერს?! — ახმაურდა ხალხი, — ამ ჯიხვის დამჭერი ისევ მონადირე ბეთქენი თუ იქნებაო...

მართლაც, მოიკაზმა ბეთქენი და გასწია სანადიროდ, თეთრი ჯიხვის საძებრად. თან ორი მწევარიც გაიყოლა. მიღის ბეთქენი კლდეებში. წინ გზა ფართოდ ეშლება, უან მოიხედავს — გზა ვიწროვდება, ქრება. მაგრამ ბეთქენი ამას არ დაეძებს, თეთრი ჯიხვი ელანდება, იმის დაჭერა უნდა. ბოლოს შევიდა თვალუწვდენელ კლდეებში; მარცხენა ფეხის დასადგმელიდა დარჩა და მარჯვენა ხელის მოსაკიდი... მოიხედა უან — გზა თოვლით დაფარულა, წაშლილა. შერჩა ციცაბო კლდეს ბეთქენი. უეცრად წინ თეთრი ჯიხვი დაუდგა. შეხედა ბეთქენმა და მის თვალწინ თეთრი ჯიხვი კლდის დედოფალ დალად იქცა. ნადირთპატრონის ქათქათა სხეულს ხშირი, ოქროს ნაწნავები ფარავდა.

შეკრთა ბეთქენი. ნადირთპატრონის სახეზე მრისხანება იხატებოდა.

— ბეთქინ ჩემო, — უთხრა დალმა მონადირეს, — ხომ გახსოვს, სიყვარულის ნიშნად მძივი გაჩიქე. რაც ეს მძივი მოგეცა ჩემგან, ნადირობიდან მუდამ გამარჯვებული, ნანადირვით დატვირთული ბრუნდებოდი შინ. მითხარი ახლა, რა უყავი ის მძივი, სად არის, მაჩვენეო.

— შენი ნაჩუქარი მძივი, დედოფალო, შინ, სასორულქვეშ დამრჩა, — კანკალით მიუკო ბეთქინმა.

— როგორც შინ დაგრჩა ჩემი მძივი, დაბრუნებასაც ისეთს მოგცემ, — მიუკო დალიძ. — რად უდალატე ჩემს პირობას? წუხელის ვნახე, ჩემი მძივი მკერდს უმშვენებდა ლამაზ თამარს, რომელიც შეიკვარე და მისთვის დედოფალი დალი დაივიწევ.

გაქრა დალი. დარჩა ბეთქენი მარტო თოვლიან კლდეუხე, რომელ-
ზედაც შურის საძიებლად შეიტყუა იგი დალიძ.

დაიწყო კივილი სასოწარკვეთილმა ბეთქენმა, აღმულდნენ-მი
სი მწვრებიც. მათი საცოდავი წკმუტუნი ქვემოთ რაჭა-ლეჩხუმაძე
და ზემოთ ლუპალახამულამდე აღწვდა. გაიგეს ბეთქენის თანასო-
ფლელებმა, წამოვიდა კველა ზოგს თოკები მოპქონდა, ზოგს კიბეები,
ზოგს ქეჩა მოკვიდებინა ზურგზედ...

კლდის ძირს რბილად დაუგეს ქეჩები, ააყუდეს კიბეები, მაგრამ
კლდემ ზრდა დაიწყო და ბეთქენი უფრო და უფრო მაღლა მიჰყავდა.
მაშინ მოუარეს ვაჟებმა მთას ზემოდან და თოკები ჩაუშვეს ბეთქენის
ამოსაყვანად, — დადაბლდა მთა და ბეთქენი ქვევით წავიდა. მიხ-
ვდნენ მაშინ, რომ დალის ნება იყო ბეთქენის სიკვდილი.

— ტყუილად ნუ ცდილობთ ჩემს გადარჩენას. ცოდვა ნუ დაელე-
ვა თამარს, ჩემს სატრფოს, იმის მიზეზით ვიღუპები, — ჩასძახა ბეთ-
ქენმა თანასოფლელებს...

საბრალო ბეთქენ, საცოდავო ბეთქენ! დღე და ღამე იყრება, ბეთ-
ქენ კლდიდან ვარდება...

ძირს დათვი უდარაჯებს, ალბათ ბეთქენის ხორცი უნდა...

ზევიდან ყორანი დასჩხავის, ალბათ ბეთქენის თვალები უნდა.
საბრალო ბეთქენ, საცოდავო ბეთქენ!

თმები, შენი თმები ორბებს მიპქონდათ საბუდოად...

მძორი კვავებს მიპქონდათ ბარტკებისთვის...

ძვალმა ძირს ჩამოაწია.

ბეთქენი დაიღუპა, დალს თავისე შეურაცყოფა ასე გადაუხდია!

76. დალი და მონადირა ვაჟისა

— დედავ, გენაცვა, საგზალი მომიშვადე, არჩვ-ჯიხვი მომენა-
ტრაო, — უთხრა მონადირე მეფისამ თავის დედას. გამოუცხო დე-
დამ ხმიადები თავის საყვარელ შვილს და სანადიროდ გაისტუმრა.
გარიერაჯზე ავიდა მთახე მონადირე. ის-ის იყო საუბმე უნდა კვამა,
რომ კივილი მოეხმა. მონადირეს მისთვის უკრი არ უთხოვებია. ახ-
ლა მეორედ შემოესმა კივილი.

— „წყეული ვიყო, თუ არ გავიგო, ვის უჭირს ასეო“, — გაიფიქ-
რა მონადირემ. აიხედა მაღლა, ხედავს, ცას სწვდება თეთრი კლდე-
კლდის წვერზე ოქროსნაწნავებიანი დალი გადმომდგარა და კივის...

— მე ვარ კლდის დალი, შვილი მგელმა მომტაცა. ბავშვი კლდიდან გადმომიგორდათ...

მგელი ქედ-ქედ მიძუნდულებდა, დალის შვილი პირში ჟეჭროს. შეურჩია დრო მეფისამ... სტყორცხა ისარი და იქვე გააგორა. პირი ღია დარჩენდა მგელს. მეფისამ იგი გაატყავა, ტყავი წელზე შემოიკრა, ბავშვი მხარზე შეისვა და ისე მიპგვარა დედამისს — კლდის დალს...

— მონადირვე ჩემო, — უთხრა დალიმ, — რით გადაგიხადო სამაგიერო? გინდა, ყოველდღე თითო შეს მოგაკვლევინებ? არადა, თუ გინდა, ყოველ სქეტებერს ცხრა ჯიხვს მოგცემ, წვრილ არჩეს ყოველ კვირაში! თუ არადა, ის მირჩვნია, შეს ლამაზ დანიშნულზე უარი თქვა, ჩემთან დარჩე სამუდამოდ!

— არა, დედოფალო, სიყვარულს როგორ გაეადრებ?! ვერც ჩემს დანიშნულზე ვიტყვი უარს. ისევ ის მირჩვნია, ყოველ სქეტებერს ცხრა ჯიხვი მომაკვლევინო, — უთხრა მოკრძალებით ყმაწვილმა.

სხვა გზა არ იყო. დედოფალმა აასრულა დანაპირები, მაგრამ ვაჟის უარი გულს მწარე ხინჯად ჩაეხო. ვერ აპატია, რომ მოკვდავი დანიშნული არჩია კლდის პატრონის, დალის სიყვარულს.

ერთ დღეს მონადირეს ტყეში დანაპირები ცხრა ჯიხვი შემოეყარა. ერთი მათგანი ოქროსრქიანი იყო. დაუშინა მონადირემ ისარი ოქროსრქიან ჯიხვს. ასცდა ისარი ჯიხვს და ოქროს რქას მოხვდა. არ მიიკარა რქამ ისარი და მონადირეს შიგ შეუბლში შეუბრუნა.

77. ტავაშას შერისძიება

ენგურის პირად, ლეხერის ხეობაშია გაშლილი დიდი მეგრული სოფელი ჯვარი. ამ სოფლიდან კილომეტრის მოშორებით აღმართულია კვირას მთა. მთის წვერი წაბრტყელებულია და მასზე გაშლილია შესანიშნავი მწვანე აღმური საძოვარი. ამ მინდორშე სამი ქვა დგვას. ერთი მათგანი მოგაგონებს მონადირეს მხარზე გადებული თოფით, ორი დანარჩენი — მეძებარ ძაღლებს, რომელნიც თითქოს მისდევენ მონადირეს.

ოდესაც ჯვარში სახელგანთქმული მონადირე ცხოვრობდა. ერთხელ მონადირე ირემს გამოუდგა. ირემმა დაბურულ ტყეში შეი-

ტურა. აქ მონადირეს ტყაშმაფა, თმაგაშლილი, ქათქათა ტანის მქონე ქალი შეხვედრია. ტყაშმაფამ შეიყვარა მონადირე და მიღებდა მან ნადირობაში არაჩვეულებრივი იღბალი მიეცა. მხლომანდრე მიღდამოებში ნადირი გაწყდა, ისე ბვრს კლავდა მონადირე უოველ ნადირობაზე, გავიდა წლები...

მონადირეს მეტად ლამაზი ცოლი ჰყავდა. ქმარს იგი გულით ჰყვარდა. მონადირის ცოლი წუხდა, რომ ქმარი ძალზე ხშირად რჩებოდა ტყეში და მთელ დროს ნადირობას ანდომებდა.

ერთ დღეს ჩააცივდა ქმარს: რატომ არის, რომ შენ უოველთვის ნანადირეებით დატვირთული მოდიხარ, სხვები კი ხშირად ხელმოცარული ბრუნდებიანო. მონადირე ცოლს ტყაშმაფას სიყვარულის ამბავი გაახდო. ის დღე იყო და ის დღე, ნადირობაში იღბალი დაეკარგა. ახლა მუდამ ხელცარიელი ბრუნდებოდა. ერთ დილას გამოვიდა ეზოში დაღვრემილი, უცებ თავისი ძაღლის ჟეფა გაიგონა. ასწია თავი და დაინახა სულ ახლოს მდგარი რამდენიმე ირემი. თოფი მოიმარჯვა, ესროლა და ააცდინა — ამგვარი რამ არასოდეს არ დამართნია. განაწყენებული მონადირე ირმებს გამოუდგა. ირმებმა უვირას მთისკენ შეუხვიეს. თითქოს აგულიანებდნენ მონადირეს და დასციხოდნენ: შეჩერდებოდნენ, შეხედავდნენ და გაიქცეოდნენ.

ის იყო, ყვირას მწვერვალს მიაღწიეს, რომ ერთ-ერთმა ირემბა ადამიანის ხმით. შესძახა მონადირეს: შეჩერდი, აღარ ისროლო, შენი აღსასრულის დღე დადგა. თქვი, როგორი სიკვდილი გირჩვნიათ.

მიხვდა მონადირე, ვინც გამოეცხადა მას ირმის სახით, მოაგონდა თავისი დანაშაულიც და იფიქრა: ჩემს მძორს აქ ნადირი შეჭამსო, ხედ ვიქცე, მწევმები გამოივლიან და დამწვავენო, და ისვე ქვად ქცევა არჩია. მართლაც, იმავე წუთს ქვად იქცა მონადირე და მისი ორი ძაღლი.

ამბობენ, ყოველი წლის ამ დღეს, ყვირას მთაზე მონადირის თოფის სროლა და ძაღლების ჟეფა ისმისო.

78. ...სამხერ და სამხერ და ისავ გაქვავდებიან

სოფელ მაჭატიაში (ახალციხის რაიონი) უწინ ერთ მდიდარ კაცს უცხოვრია. იმდენი ცხვარი პყოლია, რომ გარშემო მთებს ჰფარავდა... ცხვარს რომ დაწველავდნენ, მთიდან სოფელში გრძელი 54



ხის ღარი ჰქონდათ დადებული, რძეს ღარში ჩაუშვებდნენ და სამორავა ფელში ჩადიოდა...

ერთხელ ერთი მათხოვარი წველის ღროს ავიდა მთაზე, თავზე წაადგა მეცხვარეს და უთხრა: — ლვთის გულისათვის, რა ხანია, შავი ცხვრის რძე არ მინახავს გემოთი, ერთი მომაწველინე, რა იქნებაო, — შეეხვეწა მათხოვარი.

— ერთი ამ არაშეადას უუწერთ, თეთრი ცხვრისა არ კვადრება და შავისას თხოულობსო, — უთხრა მეცხვარეებს ცხვრის პატრონ-მა...

ამის გამგონე მათხოვარმა გადაწერა ჯვარი ცხვარს, ძაღლებს, მეცხვარეებს, ხარბ პატრონს და სულ ერთიანად გააქვავა. ყოველ აღდგომა დღეს, დამით ქვები ცოტა ხნით სულს ჩაიდგამენ თურმე: ცხვრები ბლავიან, ძაღლები კეფენ, მეცხვარეებიც სამჯერ დაუს-ტვენენ და ისევ გაქვავდებიან.

ახლაც ისევ დგანან თურმე მთაზე გაქვავებული ცხვრები, ძაღ-ლები და მეცხვარეები...

79. სამი ღამე მაახლა ტაჟარაშა ჰალოდიას

ვალოდიას სამი ღამე ეძახოდა ტყაშმაფა. მის ძახილზე ვალო-დია მძინარე წამოფათურდებოდა ხოლმე. მეოთხე ღამეს იგი ტყაშ-მაფამ წაიყვანა. ოთხ დღეს ეძებდა მთელი სოფელი ვალოდიას, მაგ-რამ ვერხად მიაგნეს. ბოლოს ნახეს ისეთ ადგილას, რომელსაც კა-ცი ვერსაიდან მიუდგებოდა. აქ ჭავდა ტყაშმაფას ვალოდია. მეზობ-ლებმა ეს ადგილი ცულით გაკაფეს, ხალხი რომ ნახა ტყაშმაფამ, უცბად გაქრა. ვალოდია მეზობლებმა სახლში წაიყვანეს. ამის შემ-დგა ტყაშმაფა ისევ დასდევდა ვალოდიას. ძახილით დადლილ ტყაშ-მაფას სახლის ლაფაროსთან დასძინებია, თურმე. მეზობლები ჩუმად მისულან და თმა შეუქრიათ. ამის შემდეგ ტყაშმაფა გადაკარგულა.

80. სათოს გარნის აღვაი

ერთხელ ქვემო ნიქოზში ვიზავი კვირაცხოვლობის დღეობაზე. საღამოთი წამოვედი სახლში (ზემო ნიქოზში). გზაში შემხვდნენ მეზობელი სოფლის (ხვითის) ახალგაზრდები. მითხრეს: ჩვენ მოკ-

ლე გზა ვიცით, ჩვენ წამოგვევეო და იქიდან გადახვალ ზემო ნიკა-
ზშით. მეც წავკევი. უცცრად, როცა სეთოს მარანს მოვატანეთ ას-
ახალგაზრდები დაიკარგნენ. ბევრი უძახე, მაგრამ პასუხი არაფინ გა-
მცა. სეთოს მარანში, სოფლელების გადმოცემით, აღები ბუდობდნენ.
ამის გახსნებაზე თბა ყალფხე დამიდგა. ქუდს ძლივს ვიკავებდი.
გადასახვევი გზაც არ იყო. უცბად, თეთრ ტანსაცმელში გამოწყო-
ბილი რამდენიმე არსება გამომიქროლებს, გამარტყამს და გაქრება,
ავდგები, გავიკცევი. ისევ გამომიქროლებენ, გამარტყავენ და გაქ-
რებიან. ასე მაწვალეს.

სახლში რომ შევეღი, დედამ შემამჩნია ნაცემი რომ ვიყავი, თა-
ნაც ტალახში ამოთხვრილი. ვუამბე რაც გადამხდა. დედამ შეიცხა-
და: — უმე, ბეჩავ, გადარჩენილხარ, შვილო! იქ ხომ ალები ბუდობენ
და გამვლელებს ტანჯავენო. ვიღაცა დამისახელა, იმ ალებს უწვა-
ლებიათ და მერე მოძყდარაო.

81. აღს „შევღა“ უნდა მლაპარაკო

სოფ. ერედვში (ცხინვალის რაიონში) ერთხელ აღს თბა მოსტა-
ცეს. ისე ყავდათ დაბეჩავებული, რომ ყველაფერს აკეთებინებდნენ.
ოდონდ ყველაფერი უჭრდა უნდა გეთქვა (თუ რამეს მოტანა გინ-
დოდა „წაიღე“ უნდა გეთქვა). ერთხელ სახლში მარტო ალი და ბავშვი
დარჩა. აღმა, ბავშვის დახმარებით, თბა იპოვა. ეს ბავშვი შუა ცეც-
ხლში შეაგდო, თურმე, თვითონ კი წივილით გაიქცა.

82. აღს განის პოზი გვარარუნებული ამას

აღებს ფეხების კოჭი შემობრუნებული აქვთ... მამაჩემი, დიდ-
თოვლობას, შინმოუხვლელ სიძის საძებნელად წასულა. ერედვის-
კენ გაპყოლია გზას. ფრისში (სოფელია) ნაკვალევს ერგნეთისკენ
გადაუხვევია. იქ ერთი ბოგირი იყო და აქვა მკვდარი უნახავს. თო-
ვლის ნაკვალევს ეტყობოდა, რომ კოჭმოქცეულ აღს (ეშმაკს) გაეტ-
კებინა და მოკლა.

83. სამი აღი იკვანებოდა

სოფ. ქორდში (სოფელია გორის რაიონში) დეიდა შეავდა. იქ
ავედი და მათ ვენახში ვნახე სამი ალი იკვანწებოდა, თეთრი კაბა ეც-
56

ვათ, თმები გაწეწილი პქონდათ, თმა ფეხებამდე უწვდათ. მე მეგონა ჩევნებური ქალიშვილები იყვნენ. შემუშინდა. დედოფლის შვილმა მითხრა: ნუ გეშინია, ესენი აქ ცხოვრობენო. ისინი უცხადოთ გაქრნენ.

84. აღის სახლში მოვანა

...პაპაჩემი გაბრიელი დაახლოებით ორმოცდაათი წლის ყოფილა, როცა დაქვრივებულა. ერთ ზაფხულს ჩვენს სათიბ-საძოვრებში შეადღემდე რომ უთიბია ბალახი ცელით, მოულოდნელად ტკიდან გამოსულა ერთი თმაგაწეწილი და ტანისამოსშემოხული ქალი, აულია ცელის ტარის სიგრძის ჯოხი და სათიბის მეორე მხარეზე დაუწყია „თიბგა“... პაპაჩემს აჯავრებდა, მეც ვთიბავო. პაპას რამდენჯერ დაუძახნია: — აქ მოდიო, მაგრამ მას ყურიც არ უთხოვებია. მერე პაპა წასულა მისკენ, მაგრამ ის ქალი მაშინვე ტყისკენ გაქცეულა. პაპა დაბრუნებულა და თიბგა დაუწყია. ის აღიც კვლავ გამოსულა და იმასაც დაუწყია „თიბგა.“ პაპას გული მოსვლია. როგორ დავიჭირო ეს ქალიო და მოუფიქრებია: იმ სათიბის ბოლოში — ჭაობში შალაფა ბალახი დაუცლევია და თოკი დაუგრებია. ეს რომ ალმა დაინახა, ისიც ასე მოქცეულა. პაპამ მაგრარი თოკი დაგრიხა, თურმე, ხეს გამოაბა, გაჭიმა — არ გაწყდა. აღიც ასე მოქცეულა... მერე პაპას ამ თოკით თავისი ფეხები მაგრად შეუკრავს, დაუნახვია ერთი წევრით... აღიც ზუსტად ასე მოქცეულა. მერე პაპა გაბრიელი, თურმე, უცებ დასწვდა ცელს, ამოისვა ფეხებ შუა და თოკი გასხია. აღიც დასწვდა ჯოხს, ამოუსვა თოკს, მაგრამ ჯოხი ხომ თოკს ვერ გასჭრიდა და მერე გახსნა დაუწყო. გაბრიელი მივარდა მასთან, დაიჭირა აღი. ამოიღო დანა და იმით მოაჭრა იმ აღს თმის მარჯვენა მხარის ნაწილი და მარცხენა ხელის ცერა თითოს წამოზრდილი ფრჩხილი. ცხვირსახოცში შეახვია, თურმე, და საიმედოდ უბეში ჩაიტენა. შემდეგ შეაჭრა თოკის ნასკები და გაუშვა, მაგრამ აღი აღარ გაქცეულა და საღამოთი წაყოლია სხალში.

თმა-ფრჩხილის მარჯვენა-მარცხენა შერიდან შეჭრას ის მნიშვნელობა პქონია, რომ აღი ყოველთვის ადამიანის გვერდით ყოფილიყო შრომასა და ცხოვრებაში და არცერთი მხრიდან დაღატი არ ხაედინა. ამაზე გლეხები იცინოდნენ და ამბობდნენ: — „აი, მოხერებაც ამას ქვით.“

სახლში მოყვანისთანავე აღს მთელი მეზობლის დადაკაცები
და ბავშვები გარს შემოეხვივნენ. პაპაჩემმა გაბრიელმა, ერთი გარემო
ძალუა დედაქაცი ცალკე გაიყვანა, რაღაცები უთხრა და შერწყმულია
მიმართა: — აღიკე! შენ დაღლილი ხარ და შმიერიც, წადი ცოტა
ხასს ამ ქალთან, შეგანაყრებენ და მე კი ვახშმის სამხადისს შეუდ-
გებიო. აღი წაყოლია იმ ქალს, სხვებიც გაჰყოლიან თან. გაბრიელს
დრო უხელთია. წერაქვი და ნიჩაბი აუღია, სახლში შესულა მარტო,
კარგი ჩაუკერავს; მერე შეა კერის ცეცხლი გადაუბერტყია. ამო-
უთხრია ღრმა ორმო, თაროდან ცარიელი თიხის ქილა ჩამოუდია,
შიგ ჩაუდვია აღის თმა და ფრჩხილი, ზედ სიპი ქვა დაუფარებია,
ორმოში ჩაუდვია და მიწა მიუყრია, დაუტკეპნია, ნაცარ-ხაღვერდა-
ლი ისვე თავის ადგილზე მიუწვია... ბაჟიდან გამოყვანილი ჭედილა
დუღლავს, მერე მიაკითხა, თურმე, აღსა და ქალებს: — ახლა მომებ-
მარეთო. ისინიც მოხმარებიან. ცოტაოდენი სასმელი უშოვიათ და
შინაურული ქორწილი გადაუხდიათ. დაღლილ მამაკაცებსა და ქა-
ლებს მალე დაუძინიათ. აღიც ცოტა მოშორებით წამოწოლილა გა-
ბრიელთან. როცა კველას დაუძინია, აღი ამდგარა, გაბრიელის
ტანსაცმელი და მთელი სახლი სულ ერთიანად გადაუქოთებია,
მაგრამ თავისი თმა და ფრჩხილი ვერ უპოვნია.

აღებს წესად აქვთ: სანამ მათი თმა და ფრჩხილები ვინმესთან
იქნება გადამალული, როგორც ძვირფას განძს, ისინი ეძებენ. თუ
ვერ იძოვეს, მერე ბედს ემორჩილებიან, იმ კაცთან რჩებიან, ხოლო
თუ მიაგნეს, მაშინვე გაიტაცებენ და ისვე ტკემი გაიქცვიანო. პო-
და, იმ აღმაც, რახან ვერ იძოვა თავის თმა და ფრჩხილი, დარჩა
გაბრიელთან, როგორც ერთგული ცოლი და მეგობარი. კველაფერს,
თურმე, კარგად აკეთებდა, მუშაობდა ქმართან გარესამუშაოზე.
ოჯახსაც წესიერად ჟღლიდა.

გავიდა ერთი წელი. პაპაჩემი გაბრიელი ოჯახის ბავშვმა გა-
აბრახა, რისთვისაც ორიოდე სილა წაუთაქა. როცა გაბრიელი შორს
სამუშაოზე წავიდა, ბავშვმა სამაგიერო გადაუხადა: მივიდა ალთან
და ასე უთხრა: — მე მაღლა ბანის სარკმელიდან ჩუმად ვუყურებდი
პაპას, როცა თმა და ფრჩხილები პატარა ქილით კურის ცეცხლის
ქვეშ დამაღლა მიწაშიო.

აღი სწრაფად ეცა კერიას. ამოთხარა, იძოვა თავისი თმა და
ფრჩხილი, გაიტაცა თან და ისვე ტყისკენ გაიქცა. მას დიდხანს ეძე-
ბდა გაბრიელი, მაგრამ ამაოდ. აღი ვეღარსად იძოვა.



...ერთხელ მე ვნახე ხუთი ალი. ჩვენს სოფელში, გაღმაპბაწაწარითა და გადამოსილის ქადზე, ტყეში ხარებს ვაძოვებდი. საღამო ხანს, ღვთისმოსილის ქედიდან, უცბად, მომესმა უცნაური კისკისი და ხმაური. დავინტერესდი და იმათკენ წავედი ტყის გავლით. როცა მივუახლოვდი, დავინახე ხუთი თმაგაწეწილი, ტანისამოსშემოხეული ქალი — ხატისვაკეშე. ერთი, — ტაშს ურავდა, ერთი — ღიღ ქვაზე ხელებს ატყაბუნებდა და სამი კი — აქეთ-იქით დახტოდნენ, კისკისებდნენ, რაღაცას იძახოდნენ. შე ახალი ჩასული იყო. მე ჯერ კარგა ხანს ვუურე და როცა დავრწმუნდი აღები არიან-მეთქი, შემეშინდა და უმაღ ჟან გამოვბრუნდი, გამოვიქეცი.

86. აღვარის პატრონის სახას იღვას

სოფ. მეღვრუეისში დედანაშვილების ოჯახში (დედაჩემის გარე ბიძაშვილები იყვნენ) ჰყავდათ ალი. ალს ყველგან ხედავდნენ (ბაღშიაც იჯდა და რაღაცას ქსოვდა). — კატო, რას შვრები, რასა ქსოვო? ის ხმას არ გასცემდა. — უი, ალი იჯდა იმ ბაღშით (კატუანთ ბაღშით). ალი მოხუცი ქალია. ის პატრონს ემსგავსება. ამიტომ დაუძახა მეზობელმა: — კატო, რას შვრებიო.

სანამ ეს ალი იმ ოჯახში ცხოვრობდა, ოჯახის არც ერთ წევრს ბავშვი არ შერჩა. წამოვიდოდა როგორც ქარი და ბავშვს გაარტყამდა ლოყაზე, ბავშვი კვდებოდა. მკითხავმა ურჩია: აქედან გადადით ისე, რომ არაფერი წაიღოთო. მართლაც, ასე გააკეთეს. მერე გაუნდათ შვილები და შერჩათ.

87. აღვარი ლიახვის ტოსს საქვითავლას

...აღები ლიახვის ტოტს სწუვიტავდნენ. ქვებს არახუნებდნენ. თან იძახოდნენ: „ბიჭო, აქეთ, ბიჭო აქეთ, მოგვეხმარეთო!“ ვინც მივიღოდა, ქვევით გაიტუებდნენ, ნაცემ-ნაბეგვს გამოუშვებდნენ ჟან. თვითონაც არ იცოდა, თუ ვინ ცემა.



ერთი ჩვენი სოფლის მოხუცისაგან მაქვს გაგონილები და მიმიდან, სოფ. შერთულიდან მოვდიოდი და გაშლილ სუფრასთან ქალებს ფერხული პქონდათ გამართული, ცეკვავდნენ. მეც მიმიწვიეს, მაცველეს. ბოლოს ერთი ქალი გამომჯვა უან და მითხრა: თუ გინდა ბედნიერი იყო, ცოლად წამიუვანეო. ხელი რომ გავაქნიე, არაფერი არ იყო, ქალი გაქრაო. ამის შემდევ ის კაცი ავად გახდა და მალე გარდაიცვალა.

89. აღი თბას ივარცხნის

აღი ახალგაზრდა, თვრამეტი წლის ქალია. აქვს გრძელი, შავი თბა, რომელიც კოჭამდე სცემს. ტანხე არაფერი აცვია. ერთავად წყალში ზის. ზოგჯერ ქვაზე შემოჯდება და თბას ივარცხნის. თუ კინძე მიეკარა და თბა მოაჭრა მაკრატლით, მაშინ როგორც ჩვეულებრივი ქალი ისეთი ხდება. შეიძლება ცოლადიც გაძჰვეს თბის მომჭრელს. ბოლოს მაინც იძიებს შურს. თავის თბას ან წაჭრილ ფრჩხილს იძოვის, მოკლავს ოჯახის წვერებს და გაიქცვა.

მარანასში (სოფელ ტყეიავის ახლოს) რახმამების სახლში აღი შემოსულა ბუხრიდან და ბავშვებს აშინებდა. ერთ-ერთი ბიჭი გარეთ ვეღარ გამოდიოდა. სულ აღი ელანდებოდა. ის ქალი იმანარად ედრიჯებოდა, რომ ბიჭი დაამუხჯა. ამ აღისთვის თბა და ფრჩხილები მოჭრიათ და შეუნახიათ, ამის შემდეგ როგორც ოჯახის წვერი ისე ყოლიათ. აღს უპოვნია თავისი ფრჩხილები და თბა. დაუწყველია ეს ოჯახი და გაქცეულა. ამ ოჯახიდან დარჩენილია ერთი რძალი, დანარჩენი სულ დაიხოცა.

90. აღი ციბოს ვანახში

ბავშვობისას მეუბნებოდნენ: ლაგურაშვილი ციბოს ვენახთან არ გაიარო, თორებ აღი წაგიუვანსო. — როგორია აღი-მეტქი? მიპასუხეს: — გაწეწილი, დიდთმებიანი ქალიაო. — ციბოს ვენახში რად არის-მეტქი? — შეეჩვიდა ციბოს ვენახს და აღარ სცილდებაო. ჩემი ამხანგის (კატო ხუციშვილის) ვენახი ციბოს ვენახთან გვერდით იყო. კატო მეუბნებოდა: აღის სიმღერა გავიგონე ციბოს ვენახიდან:



ჭრა-ჭრუ, ჭრა-ჭრუ,
ციბოს გოდორი მე მოვიპარეო.

დაბნელდება თუ არა, გზაზე გამოვა, დაუხვდება გამვლელს თმა-
გაშლილი და ხელებგაშლილი. წაიყვანს და თავის ჰერაზე
ბსო.

91. ლეგალი მონაღირა და ლევი

— ბოხეენი ყოფილის გვარიდ ლებელები: თახი, თემირა და მა-
მურ. წასულა სანადიროდ თახი, შვილი წაუკვანია. დაუნთიათ ღა-
მე ცეცხლი ტყეში. შუაღამისას მოსულა ბანჯგვლიანი ღვი და ჩა-
მომჯდარი ცეცხლის პირას. თახის თოფი მუხლთ შუა ედვა. მოუ-
მართა თოფი და ესროლა. გვარიდა თოფი და გადავარდა ღვი ბექ-
ზე. — ერთიც მესროლეო, — ღვი ეუბნება თახის. — არაო, მამაჩემს
ერთის მეტი არ დაუბარებიაო. — აი, შენ დედასაო!

თურმე მეორედ რომ ესროლოს, გამთელდება. მეორე დღეს ჩასუ-
ლა ხვში, ყურები დაუჭრია. იმ დევს დაუწევდია: — ბოხეენი არც
აშენდეთ, არც გადაშენდეთო....

მართლაც, სანამ იმ სოფელში ცხოვრობდნენ, არ მრავლდე-
ბოდნენ.

92. ლევის გვილავი

უკანახოს ღვების ნასახლარებია, იმ ადგილს ვეძახით დინიფ-
ხოს... ის ღვები დღე არავის უნახია, მარტო დამით ეჩვენებოდათ.
ერთი ღედაკაცი წასულა დაკარგული ძროხის საძებნელიდ, ქმარი
უფრო ადრე იყო წასული, მაგრამ უკან არ დაბრუნებულა. ღედაკაცს
გზაში ღვი შეხვედრია, ქმარი პგონებია (ქმრის სახით შეხვდა).
(ღვის უთქვია) აქ დავწევთო. დაწოლილან ისე, როგორც ცოლი და
ქმარი. იმ ქალს ორი შვილი გასჩენია, ორივე ვაჟები. „გოჭებ უკერდ
ხქონდავ.“ ხუთი წლის რომ გამხდარან, სულ წყალში მჯდარან...
პურსაც იქ ჭამდნენ. ქმარს ეს ბავშვები დაუხოცია, რას გვანან, ეხე-
ნი ჩემი შვილები არ არიანო. ტანად მოსულები (ზორბები) ყოფი-
ლან, ტანისამოს არ იჩერებდნენ, ისეთი ბალანი ესხათ, როგორც მა-
ტყლი. ოკრო-ბოკროდ (აცა-ბაცეთ) ლაბარაკობდნენ...

43. დევის საჰარალი ქაღა

გერის წმინდა გიორგის სალოცავში მიღიოდნენ მჭედლიშვილის გვარის ხალხი. ერთ-ერთ მჭედლიძის ქალს, თურმჭა ლევან პეტრია საქმე და მას სალოცავში მისვლა არ შეეძლო, როგორც უწმინდურს. როგორც კი გაეიდნენ სახლიდან, ატყდა საშინევლი ჰევა-ქუჩილი. ქალი მიხვდა თუ რაში იყო საქმე და თქვა: — ურემი გააჩერეთო. ჩამოვიდა ურმიდან და სახლისაქენ გაემართა. მაშინათვე გამოიდარა. დანარჩენებმა კი გზა განაგრძეს.

44. დევთან მოჰილავა

მე მოვსწრებივარ, რომ ჩემი მეზობელი სოსა მინდიაშვილი იტყოდა: ღამით გამომიძახებდა დევი, გამოვიდოდი და დავეჭიდებოდიო (თვითონ მოჭიდავე იყო), რომ დავძლევდი, გაქრებოდა. ცოლთან რომ მივიდოდი, მეტყოდა: ასე რამ დაგდალია.

45. დევთან მოჰილავის ნააბარაი

...მე ალი არსად მინახავს, მაგრამ დუი კი ორჯერ დამუჭიდაო. ერთხელ მთვრალი მოვდიოდი ჟალაზე, რომ ჩამოვედი უდლისხვათან, იქ ვაკენე დევი შემხვდა შავნაბადწამოსხმული და მითხრა — ვიჭიდაოთო. მე მაშინათვე მოგვერდი ავტდე და მაღლა აწევით მიწაზე დავეცი (დავენარცხე), ის კი იქით ხარხარებდაო. მერე მეორადაც ვიჭიდავეთ. ისევ მე დავეცი მიწაზე... ამის შემდეგ პირჯვარი დავიწერე და ვთქვი: ღმერთო, წმინდა გიორგო, მიშველეთქო. იმწერშივე თეთრცხენზე ამხედრებული თეთრწვერა კაცი გამომეცხადა და მითხრა: — რა გიჭირსო. მე ვუთხარი, რაც მოხდა. — ის დევი ყოფილა, სხვა დროსაც მახსენე და გიშველიო. ესა თქვა და ისიც გაქრა... უველა გლეხმა ქუდი მოიხადა და პირჯვარი დაიწერა: — წმინდა გიორგის უშველია შენთვისაო.

46. მონადირა ჯაგაბიძე და დევი

მთელი ტყე მოიარა ჯაგაბიძემ, მაგრამ ნადირს ვერსად მოპერა თვალი. ღამდებოდა და აღარ იცოდა ხელცარიელი როგორ დაბრუ-
62

ნებულიყო შინ. აი, ჩამოიქროლა ირმების ჯოგმა. ესროლა თოფი
და ირემი გადატრიალდა. შინ ვეღარ წავიდოდა. ჩამოათრია კურტა და
იქვე იორის მახლობლად, იქ, გზის პირას, ერთი პატარა წყარო ჰარითავა
მოდიოდა. დაახოთ ცეცხი, წამოაცვა ხის შამფურზე ირმის მწვადე-
ბი...

ცოტა ხნის შემდეგ მოიხმა ლაწუნი... რაღაც იორს გადმოხტა...
ჟითხავად მოვიდა. დევი იყო, ნამდვილი დევი, შავი ბალანი ესხა
ტანზე.

— მოიტა, ურთი, ეგ მწვადი მომაწოდე, — უთხრა დევმა ჯამაგი-
ძეს.

...დევმა გაუსვა პირი და შეკლაბა კველა. ერთ შამფურს შიაყო-
ლა მეორე, მეორეს — მესამე... — მოიტა, ჩამოჭერი, ნახვარი ირემი
შვეწვათო... დევმა ისიც თვალის დახამხამებაში გადასახსლა...

— „ეს მეც არ დამინდობს შესაჭმელადო,“ — გაიფიქრა შეშინე-
ბულმა ჯამაგიძემ... შეუმნიველად თოფი მოიმარჯვა... ესროლა
მონადირემ და ბეჭებში მოარტყა, ესროლა მეორეც... დევი დაეცა
და ივრის ხვეში ჩაგორდა. — მესამეცო! — წამოიყვირა დევმა. —
წმინდა გიორგიმ გაასამოხო! — დაუძახა პასუხად ჯამაგიძემ და
მოუსვა შინისკენ. უსულო დევი კი ივრის ტალღებმა წაიღო.

97. დევაპი შეახელ ხარს აცოდელმან

ყოფილა ერთი მეტად დარიბი გლეხი... წისქვილში საფქვავი
წაუღია და დარჩენილა დამით... რომ დაღამებულა, ერთი დევი სტუ-
მრებია. კაცს ძალიან შეშინებია, მაგრამ დევს უნუჯეშებია: — არა-
უერს გერჩი, წამომყევი, შვილი უნდა მოგანათვლინო... კაცი გა-
პყოლია. დევს მიუვვანია სადღაც ერთ გამოქვაბულში, საღაც სხვა
დევებიც ყოფილან. დევებს დაუძახიათ: — პაპი ლოქფედა შვიდებ-
დო! (ნათლია შშვიდობით მობრძანებულაო).

კაცი ჩუმად იყო. დევს შეუსრულებია ყოველგვარი წესი, რაც
ნათლობის დროს არის მიღებული... შემდეგ მოამზადეს ვაბშამი,
დაკლეს ერთი ხარი. მა კაცს გაუკვირდა, თავის მეზობლის ხარი
იცნო. ვახშამი რომ დაამთავრეს, ხარის ძვლები აკრიფეს და ერთად
დადვეს, შეუბერეს ძვლებს და ხარი გამთელდა.

იმავე დამეს ეს კაცი დევმა წისქვილში დააბრუნა და დალოცა. კაცმა რომ წისქვილი დაბთვალიერა, სავსე აღმოჩნდა ფქვილით. დევმა წასვლის წინ დაარიგა, ეს ამბავი არხად გააშეიგა, თორუები იღბალს დაპეარგავო.

გამდიდრდა დარიბი კაცი! დიდხანს შეინახა საიდუმლო, მაგრამ ბოლოს სოფლელებს მაინც ეჭვი შეეპარათ, თუ საიდან აქვს ამდენი ქონებათ; მაღა მისმა ცოლმა საიდუმლოება გათქვა და სოფელს ამბავი მოედო.

ამის შემდეგ ეს ოჯახი გაღარიბდა. ის ხარი კი დევებმა რომ დაკლეს, კაცმა მეორე დღეს მკვდარი ნახა.

98. ჰაჯავეთიდან მოთანილი ოქროს ჭარური, ოქროს საცხრი, საგარიბა- გალი, სასრული და სარგარი

წმინდა გიორგის ქაჯავეთში ხორციელი კაცი გაუყოლებია, სადღაც კლდეში სული ამოურიდებია ამ კაცისთვის და ისე შესულან ქაჯავეთში. ქაჯებს „საფეხნო ხქონივ გაკეთებული.“ სპილენძის მჭედელი უოფილა. წმინდა გიორგი სამჭედლოში შევიდა, იმ კაცის სული თან შეპყა. გიორგის მჭედლის საჭედი სინა (სპილენძი) მოუხიბლავს (გაუთვალავს, დაუმისნია), თუკი ამ სინას გამოიღებენ, — გრდემლზე დაღებენ და კვერს დაპერავენ, სინა დაიმსხვრევა და ხალხს ე. ი. ქაჯებს ამოწყიტავს... სამჭედლო იქუხა სულ ერთიანად და ნაფოტებად (ნაკუწებად) ცისკენ გაედინა (წავიდა)... გრდემლი და კვერი ცხენზე შეაგდო გიორგიმ, რაც იმ ქაჯებს საქონელი ჟყავდათ, გამორევა... ერთი ცალრქა ძროხა ერია იმათში... წმინდა გიორგის ხალხისთვის უთქვამს: როცა ჩემი სახელობის ლუდს მოხარშავთ, „ამ ქაჯავეთური ფურის რქით აწევე-
ვით სალუდე ფორიო“... ქაჯეთიდან ამოუტანია გიორგის აკიდვე ცხრა ძალიანი ოქროს ფანდური, ოქროს საცერი, სამართებელი, სასრევი.

99. გეორგერ დარტვა არ უიძღვება

აქ, ჩვენთან, ერთი თავაძე უოფილა. მას ქაჯი შეხვედრია. ამოულია სატვარი და დაუკრავს. ქაჯი აყვირებულა: — „თავაძემ მომ-
64

კლა, სპირიდონამ მომკლაო.“ მეორე ქაჯი შეძასუხებია: — „არ გით-
ხარი? სატვარი ჰქიდია წელზე და მოგაქლავს-მეთქი!“ ცარისა და
მეორეჯერ რომ შემოკრა სატვარი სპირიდონ თავაძეს მექანიკის
გაცოცხლდებოდა. ქაჯებს სატვერის ძალიან ეშინოდათ.

* * *

ქაჯი აქ წისქვილში მოდიოდა, აშინებდა მეწისქვილეს. შედი-
ოდა შიგნით, ხანდახან წყალს გადაპყეტავდა და წისქვილს აჩერე-
ბდა.

100. მაჯის ჟაღი და ლილუაშვილი

ყოფილა ბაგინეთის ქვემოთ მოსახლე ვინმე ლილუაშვილი. იმას
ოჯახში მოსდიოდა ქაჯი. ეს კაცი მარანში წვებოდა. მარანში მო-
დიოდა ქაჯი და ამ კაცთან წვებოდა. შეიტყო ამ კაცის ცოლმა. ნა-
ხა, რომ ქაჯება და კაცს ერთად სძინავთ. ბალნით არიან ერთმანეთ-
თან გადახლართულნი. ცოლმა მძინარე ქაჯეს თავი დაბანა, კულუ-
ლები გაუკეთა. გამოედვიძა ქაჯეს. მოისვა თავზე ხელი, ბიჭოს, ეს
რა მაქვსო. მერე ქაჯეს უთქვამს: მე აწი აქ აღარ მოვალო. რა პატივი
უცია ჩემთვისო. ქალი რომ კარგად მოემსახურა, იმიტომ წავიდა. ის
ქაჯი ქალი ყოფილა.

101. გვარა მოსა და მაჯავი

უხსოვარ დროში ერთ სოფელში ცხოვრობდა ერთი კაცი, სა-
ხელად მოსე ერქვა. ოჯახს ტყეში მუშაობით ინახავდა. ამხადებდა
საწნახელებს, გობებს და ხის კოვზებს. ტყე სოფლიდან რამდენიმე
კილომეტრით იყო მოცილებული. მოსეს გვიან ღამით უხდებოდა
შინ დაბრუნება. ერთბელ გვიანობამდე იმუშავა, მთავარიანი ღამე
იყო, შინ დატვირთული ურმით ბრუნდებოდა. მთეარის გამო ურმის
ჭრაქის ანთება დაავიწყდა. ისიც დაავიწყდა, რომ გზად ერთი და-
წყვლილი ადგილი ჰქონდა გასავლელი. აქ ხშირად ქაჯები ხვდე-
ბოდნენ ადამიანებს.

როცა დაწყევლილ ადგილს მიუახლოვდა, ქალის ხმა შემოესმა
მოსეს, სახელს ეძახდა. ალბათ, მეზობლის ქალია და საქონელს და-
5. ა. ცანავა.

ეძებსო, იფიქრა მოსემ და მისკენ გახწია. ხარი და ურემდე კი იტე
დატოვა. როცა ოციოდე არშინი გაიარა ტყეში, ერთი ხის ძირას დამ-
ჯდარი ქაჯი დაინახა. ეხლა კი მიხვდა მოსე რაშიც იყო მასშე და
მოკურცხლა უკან. როცა ურემთან მივიდა, ხახა, რომ ურემს-ქაჯე
ბი შემოსეოდნენ და მისი მთელი დღის ნაოფლარს ხრამში ურიდ-
ნენ. მოსე რომ დაინახეს, გადიკისკისეს და ხრამში გადახტნენ. მო-
სემ დაუეთებული ხარები ძლივს დაიყოლია და დაღონებულმა გას-
წია სახლისაკენ.

ის დღე დაიმახსოვრა მოსემ და არასდროს გვიან სახლში არ
დაბრუნებულა. ყოველთვის დღის სინათლეზე ბრუნდებოდა.

102. ჰაჯები სამას უკურა აკატებან

ქაჯეთში — ქაჯები ანუ ეშმაკები ყველაფერს უკურმა აკეთებენ,
უკურმა ლაპარაკობენ (ერთმა მეორეს რომ უთხრას სახლი დაან-
გრივ, ის მეორე სახლის აშენებას დაიწყებს). ქაჯები ანუ ეშმაკები
ცხოვრობენ კლდეებში, კლდის გამოქვაბულებში.

ქაჯი ადამიანს შეიძლება ეჩვენოს ლამაზი ქალის სახით, ან კი-
დვ საშინელი სანახავი იყოს. ქაჯები ცხოვრობენ ძველ ნასახლა-
რებში, მიტოვებულ სოფლებში, ძველ ნაფუძარებში. ასეთ ადგი-
ლებს „ნახოვლარებს“ ეძახის ხალხი და „ფინთ ფუძეს.“

იმ ადგილებზე გავლისას, დამით, კაცს შეიძლება აესიონ ეშმა-
კები (ქაჯები). ისინი უჩინრად მიპყვებიან კაცს და თავის სახელს
მისძახიან. მათ შეუძლიათ კაცი გააგირონ ან კლდეზე გადააგდონ.

დამით მიძავალმა მგზავრმა შეიძლება დაინახოს ცეცხლი მინ-
დორში ან ტყის შუაგულში. ცეცხლის გარშემო ჩანან ადამიანი-
სმაგვარი აჩრდილები...

ქაჯებს კოჭი მოქცეული აქვთ.

103. მავაკის (ჰაჯის) ნახევავლები

ერთხელ ერთი ფშაველი კაცი სათიბში ყოფილა. უცებ ტყიდან
გამოსულა ეშმაკი (ქაჯი). ფშაველს ის დაუნახია, მაგრამ მისთვის
ურადღება არ მიუკვეთია და თიბვა გაუგრძელებია. მაშინ ეშმაკს

ხის ცელი გაუკეთებია და ფშაველის გასაჯავრებლად თიბვა დაუწყია. სინამდვილეში კი არ სთიბდა, არამედ ბალას სთელავდა ფშავრა ველს ხერხისათვის მიუმართავს. ტყეში შვეარდნილა, წნელი გამოიჩინა უტანია და თავის ფეხები გაუკრავს ამ წნელით. ეშმაკსაც იგივე გაუმჯორებია. ფშაველს ცელისპირი ამოუსვია წნელისთვის და ფეხები გაუთავისუფლებია. ეშმაკს თავისი წნელი ველარ გაუჭრია ხის ცელით და ფეხშეკრული დარჩენილა. ფშაველი იმწამსვე მივარდნილა, დაუჭრია ეშმაკი, დაუჭრია მისთვის ფრჩხილები და სახლში წაუკანია. სახლში მისულ ფშაველს წელიდან ხანჯალი მოუხსნია, ქარქაშში ეშმაკის ფრჩხილები ჩაუყრია და კეღელზე ჩამოუკიდია. ფრჩხილებდაჭრილი ეშმაკი ვეღარსად წავიდოდა. მას ეშინოდა ხანჯლისა და, რა თქმა უნდა, ფრჩხილებს თვითონ ვერ დაიბრუნებდა.

ამ ოჯახში ეშმაკი შეიდ წელიწადს დარჩენილა, ამ ხნის განმავლობაში ეშმაკს მათთვის ყველაფერი უსწავლებია: საჭმლის დამზადება, ბალახეულით მკურნალობა და სხვა. წყლის მოსატანად ყოველთვის ის მიღიოდა, მან კარგად იცოდა თუ წყლის რომელი ნაკადი იყო სუფთა. რძესაც ეშმაკი უდღებდა. მისი შედღვებილი კარაქი იმდენი მოღიოდა, რომ საღლვებლიდან ვერ ამოლვდნენ თურმე.

მეტვიდე წელს ეშმაკს უთქვია: ახლა კი გამიშვით, ვკრძნობ უნდა მოკვედე და თუ აქ გავთავდი, თქვენთვისაც უარესი იქნება და ჩემთვისაცო. ოჯახს რო გაუცდები არაფერი დამიძახოთ, სანამ წყალში არ გავალო.

ოჯახის პატრონს აუსრულებია თხოვნა. ეშმაკი წასული მაგრამ იმ ოჯახის წევრი, მოხუცი კაცი, უკან გამოდევნებია და დაუძახია: არაყისგან ავად გამხდარ კაცს რა უშველის? ეშმაკი მობრუნებულა, მოკლე პასუხი გაუცია: — ისევ არაყიო. შემდეგ ქვა აუღია, მეორე ქვისთვის დაურტყია და დაუწყვლია:

სუ ჯიელები გასწყდება თქვენს ოჯახშიო.

ამის შემდეგ იმ ოჯახში სუ ჯიელები იხოცებოდნენ.

104. თორდვას ჯავაი ჰაჯავა აჩვენა

თორდვა ეროვნე მეორის უანონო შვილი იყო. ეროვნე ერთხელ მთაში რაღაც საქმეზე ასულა. იქ რამდენიმე დღეს დარჩენილა და ქალთანაც კავშირი დაუმყარებია. დაბადებულა ბიჭი სოფ. მუცოში.

იგი სწრაფად წამოხრდიდა, თორლვას მუცოში თავისი ციხე-სი-
მაგრე აუშენებია, მეომარი ყოფილა, ფშავი დაუმონებია ფა-მისთობის
ბევარა დაუდვია — კომლზე თითო შიშაგი ცხვარი, თოთო ჭრივის
მხარი (ისრისათვის) და თითო ნაცრიანი ტომარა (ზამთარში თო-
ვლიანი გზების გასამშრალებლად).

თორლვა ქაჯეთში ჩასულა. იქ მისთვის ქაჯს (იგივე ეშმაკს)
ჯაჭვი უჩუქნია. ამ ჯაჭვს სახწაული გამძლეობა პქონია, არც ტუვია
კერაებოდა და არც ისარი, მაგრამ თორლვა თუ გაიხდიდა და მიწა-
ზე დადებდა, ჯაჭვი გველივით გაცურდებოდა.

ერთხელ თორლვა არჭიილოს აბანოში წასულა. ჯაჭვი გაუხდია,
იქვე დაუდვია, მაგრამ ჯაჭვი გაცურებულა და დაპერგვია. თორ-
ლვას ვეღარ უპოვია თავის დამცველი. წასულა უკან. გზაში ჩონთა
შეხვედრია, რომელსაც თორლვა ისრით მოუკლავს.

- ჯაჭვი რა უვავ, თორლვაო,
- ეშმაკის ნაწყარიო?
- გავწირე არჭიილოშედა,
- გაქანდა, როგორც ღვარიო,
- გამაუყენე მწვრები,
- ვერ მაუტებნეს ჰვალიო:

105. საღ არის მაჯავაიის მავანა?

ფშავლების წარმოდგენით, ქაჯავეთი არის ისეთი ქვეყანა, სა-
დაც ავსულები ცხოვრობენ. ისინი ბრძენები არიან, მაგრამ ბორო-
ტნი. ქაჯავეთი არის უდაბურ აღგილას, კლდოვან აღგილას, უსიერ
ტუში.

ქაჯავეთში ჩასვლა კველას არ შეუძლია, იქ მიდის მხოლოდ ის,
ვისაც შესწევს ბალა, აქვს სიბრძნე და სათანადო გამოცდილება.

ქაჯავეთში საღამქროდ დადენილა ხახმატის ჯვრის წმინდა
გიორგის ხატი. მას დაულამქრავს ქაჯეთი და იქიდან მროხის
რქა წამოუდია, რომელიც აღრე ხახმატის ჯვრის წმინდა გიორგის
ხატში ინახებოდა. ქაჯეთიდან მოტანილ ფურის რქაში კრთი ლიტ-
რა ქერი ჩადიოდა — ამბობენ მოხუცებულები.

აღამიანებიდან ქაჯეთში ჩასვლა თორლვას შეეძლო.



ალი ტყეებში დადის და ცხოვრობს. ქაჯები კი — გამოქვაბულებში, კლდის ღრმულებში, ნანგრევებში. კლდეზე მცოცავ კაცზე იტყვიან: როგორ ქაჯივით აძვრაო (დაძვრებაო). ქაჯს შეუძლია ჟარში გაუჩინარება. იგი წყალში არ იძირება, ფეხით გაივლის ხოლმე მდინარეზე.

107. მაჯები და მათი უპროსი

ბაბუაჩემისგან ვიცი, რომ ქაჯები დაფრინავენო. ხეზე მოქუდებოდნენ. ერთი ჰყავდათ უფროსი. ის იტყოდა:

- აბა, შენ რა გააკეთე დღესო?
- ერთ კაცს თვალები დაუბრმავეო. მეორე ეტყოდა:
- მე წყალი დაუშრე სოფელს, ეხლა ორი კილომეტრიდან ეზიდებიან წყალსო. მესამე ეტყოდა:
- ერთი ბატონიშვილი გავაგიერ, ოფოფები შეუსხი თავშიო. ეს ვინც გაიგოს იმან კატას სამი ბეწვი გამოაცალოს, აუხრჩოლოს და ის ბატონიშვილი კარგად გახდებაო.

108. მაჯები შეას იცარდნან

ჭიაქოკონბას, ალდგომის წინა კვირას, ოთხშაბათობით, დაანთვებდნენ დიდ ცეცხლს ქაჯების შესაშინებლად. ამ ცეცხლს გადაახტებოდნენ, იტყოდნენ:

ქაჯო — გამოდი,
ანგელოზო — შედიო.

ამას სამჯერ იმეორებდნენ.

ქაჯები ცხოვრობენ ტყეში, ხეზე აქვთ გაკეთებული ბინა. ქაჯებს გაჩიჩილი თმები აქვთ. ბეჭებზე ფრთები ასხიათ, ფეხები წვრილი, მაიმუნის ფეხებივით დაგრეხილი. ფეხებზე და ხელებზე გრძელი ფრჩხილები წამოზრდიათ.

წყალზე რომ გადადიოდნენ, არ იძირებოდნენ. ბაბუაჩემისაგან გამიგია, რომ ქაჯებს შეეძლოთ მდინარის დაშრობა, და შეის დაჟერა.

შეს რომ არ იქნებოდა, კაცი ვერც აქეთ წავიდოდა და ვერც იჭით.
შეს მიეპარებოდნენ, დაიჭერდნენ და თავიანთ ტოპრაკში ჩასვამდე
დნენ, როცა მოესურვებოდათ, გაუშვებდნენ.

109. შეასთან მისავალი პიჰი და ჟაჰაბი

ბიძაჩემისგან გამიგონია, რომ ქაჯები კლდეებში ცხოვრობ-
დნენ, — კლდის გამოქვაბულებში ჯგუფ-ჯგუფად, ვერ ეტეოდნენ
ისე ბევრნი იყვნენ.

ერთ ბიჭს პექონია ხმალი, რომელიც ისეთ წყალში იყო ამოვლე-
ბული, რომ ყველაფურს ჭრიდა. ეს ბიჭი თურმე მხესთან მიდიოდა
და გზაზე ქაჯებს გადაეყარა. თავის ხმლით დაუხოცია ჟელა ქაჯი
და კლდიდან გადმოუყრია.

ამას რომ გვიყვებოდა ბიძაჩემი, ამ დროს ბებიამ სხვენიდან სი-
მინდით სავსე ტომარა გადმოაგდო და ჩვენ შევშინდით: ქაჯები ხომ
არ გადმოყარათ.

110. ჟაჰაბის უფროსი

ქაჯები უფრო მეტად კლდის გამოქვაბულებში ცხოვრობენ.
ქაჯს შეუძლია ფრენა. წყალზე ისე გაივლის, ფეხს არ დაისველებს.
შეუძლიათ მდინარის დაშრობა; ხიდის სხვა აღვილას გადატანა;
კაცის დაბრმავება; გვერდის ქცევა (გზის აბნევა); ერთი კლდიდან
მეორე კლდეში გადაფრენა. ისინი კლდის ქვეშ გამოქვაბულებში
ცხოვრობენ. შავი თბა აქვთ, ზოგს დიდი (გრძელი) და ზოგს — მოკ-
ლე. მხერებზე, როგორც ფრთა, ევეთი აქვთ, შეუძლიათ ადამიანი შე-
ისვან და გადაურინონ. ხელები და ფეხები აღამიანებივით აქვთ.
ჟყავთ ბავშვები. უფროსად ქაჯი კაციც შეიძლება იყოს და ქალიც.
ქაჯების მოშინაურება არ შეიძლება, როგორც ეშმაკისა.

111. ვარდელით დაჭარელ ტაბს ძირს ჟაჰაბი და ჟინები დარაჯობან

ვერცხლის ტბა (ტობავარჩხილი) ლენხერის ხეობის აღმოსავ-
ლეთით მდებარეობს. ძველად იმის ცრემლივით გამჭვირვალე
70

წყლის არამც თუ დაღვევა, ხელის ხლებაც კი აკრძალული ყოფილა. ამბობენ, ერთმა მწყემსმა ტბაში ქვა ისროლა და მის გამო ისეთი მართვა შეინელი ქარიშხალი ატეხილა, რომ მწყემსი თავის ფარიანად მცდარი მართვა ში გადაუყრია და ჩაუძირავსო.

ტბის ძირი ვერცხლით დაფარული ყოფილა, ამ ვერცხლს ქაჯები და ჭინკები დარაჯობენ. ამიტომაც ეწოდება მას ვერცხლის ტბა — ტობა ვარჩხილი.

112. ძლიერი ჰაცი და ჰინდა

ყოფილა ერთი ვაჟკაცი... ერთხელ აუღია ხელში სასხლავი და წასულა ტყეში ფარჩხისათვის. რომ შესულა ტყეში, დაუხახავს ხის მორჩე მჯდარი ლამაზი ბავშვი. უკითხებს: ვისი შვილი ხარ, ბიძიაო. გაბრაზებულა ბავშვი — რა შენი ბიძია ვარ მეო. კაცს გახცინებია და გულში უფიქრია: რა კარგი ბავშვია და რა ცუდად გაუზრდიათო. ბავშვს თანდათან გული მოსდიოდა: თუ ისეთი ვაჟკაცი ხარ, როგორც გაქებენ, მოდი და მეჭიდავეო. კაცს მასხრობით ხელი უბიძგებია ბავშვისთვის, მაგრამ ნურას ჟაცრავად, ადგილიდანაც ვერ დაუძრავს. ვაჟკაცი გაბრაზებულა და მთელი ძალით შებმია პატარას. ამ პატარა ბავშვს ისე გაურტყამს, რომ ეს კაცი მოჭრილ ხესავით დავარდნილა მიწაზე. როცა გონს მოსულა, ბავშვის ადგილზე ჭინკა მდგარა. კაცს შიშისაგან ენა ჩავარდნია და დამუზჯებულა. ხელებში და ფეხებში ამ ამბის შემდეგ ღონე გამოლევია და ისე მომკდარა.

113. ზურაბ ჩხრიშიძე და ჰინდაგი

ერთი მონადირე კაცი ყოფილა — ზურაბ ხურციძე. სანადიროდ წასულა მთაში. დაუდამდა, თურმე, და იქვე დარჩენილა. ჩვეულებად ჰქონია წალდის ტარება. შემოსვია ჭინკები. უგერიებია წალდით, მაგრამ ვერ მოუშორებია. ამოუღია ღვინისდასალევი, გაუვსია ღვინით, თან პირჯვარი დაუწერია. თუ ჭინკებთან პირჯვარის წერას მოასწრებდა კაცი, ჭინკების ძალა გახაიავდებოდა (ქრებოდა, იკარგებოდა). მოასწრო ზურაბმა პირჯვარის გადაწერა და ჭინკებიც გაქრნენ.



ცხენზე მჯდარი ზურაბი ღამით მიდიოდა ფოთში სახლიდან ტყე უნდა გაევლო. ტყეში რომ შევიდა, ჭინკები შემოეხვივნენ, ყი-თხებოდნენ რაღაცას. ზურაბს პასუხი რომ გაეცა, ჭინკები შემლი-დნენ. ფოთში ისე შევიდა, ხმა არ გაუცია ჭინკებისათვის. ძაღლების ყეფა რომ გაიგონეს, ჭინკებს წყველა დაუწყიათ: „დაივსოს, დაივ-სოს ზურაბ შენი სახლ-კარი, სადაა რომ მოგვიუვანეო.“

115. შუბის ანგელოზი

ყოველი ახალი ოჯახი ფუძის ანგელოზის პატრონი ხდება. ეს ანგელოზი იმ ადგილას არის, სადაც მათი ფუძე — საცხოვრისი ძღვებარეობს. ოჯახს სწამს ფუძის ანგელოზი, რომელიც ახალგაზ-რდის სახითაა წარმოდგენილი. ოჯახის სადღვერძელოში ფუძის ანგელოზიცა მოხსენებული: „ოჯახის კეთილ ანგელოზს გაუმარ-ჯოს! იცავდეს ოჯახს ბოროტისაგან, ჯვარსა სწერდეს კაცსა, საქო-ნსა, ნაქონ-ნაყოლსა.“

იმ ოჯახზე, სადაც არეულ-დარეულობა და მუდამ ჩხუბია, იტ-კვიან: „ფუძის ანგელოზი წავიდა და მათ სახლ-კარს ეშმაკი დაეპა-ტრონაო.“

116. სახლის ანგელოზი უფლისგანაა გამოგზავნილი

სახლის ანგელოზი უფლისგანაა გაჩერილი და გამოგზავნილი. თუ ბოროტი ანგელოზია სახლში ჩაბუდებული, იქ მუდამ ჩხუბი და აყალ-მაყალია.

სახლის ანგელოზი ქალია. მისი ნახვა თვალით არ შეიძლება. სიხმარში შეიძლება გეჩვენოს. შეიძლება მეზობლის გოგოს სახით გეჩვენოს. თავის სახით ვერავინ იხილავს მას.

თუ სახლი (საცხოვრებელი) სხვაგან გადაიტანა კაცმა, ანგელო-ზიც უნდა გადაიყვანოს. სანთლებს აუნთებენ, შეეხვეწებიან. ან-გელოზიც წამოვა და ახალ სახლში დაბინავდება.

ანგელოზებს არ სჭირდებათ გზის სწავლება, თუითონ აგნებენ ახალ სახლს.



ფუძის ანგელოზი ახალგაზრდა, უბიწო ქალის სახით ჩრდილება ოჯახში. მისი თვალით დანახვა არ შეიძლება. მაგრამ მას შეუძლია მიიღოს კარის მეზობლის ქალიშვილის სახე და ისე გეჩვენოს.

პავლე მინდიაშვილისაგან გამიგონია, რომ მე ბევრჯერ ჩემი ფუზის ანგელოზი ჩემი მეზობლის დამიტრის ქალიშვილის სახით გამომცხადებია, ხშირად დავლაპარაკებივარ, მაგრამ მომიხედავს და გამქრალია.

118. ანგელოზების საჯდომი სკამები

ჩვენს სოფელში, ჩვენს მეზობლად ოსებიდან გამოთხოვილი ერთი ქალი ცხოვრობდა. იმ ქალმა იცოდა, რაგინდ დასუფთავებული ყოფილიყო სახლი, დაწოლის წინ მაინც დაგვიდა, შემდევ ოთახის შუა გულში ორ პატარა სკამს დადგამდა: — დამით ანგელოზები რომ შემოვლენ, უნდა დასხდნენ და სახლიც სუფთად უნდა იყოსო. იმათაც ხომ უნდათ ჭამა და დასვენებაო.

119. შემის ანგელოზის რაზოვანა

მე ვცხოვრობდი ს. შინდისის ზემო თავზე, ათ წელზე მეტია, რაც აქ გადმოვსახლდი (სოფლის ბოლოში). მე აქ ახალი სახლი დავდგი. ძველი ძმას დაუუტოვე. იმ სახლის ანგელოზი გამოვიწვიეთ ახალ სახლში.

ერთი შაბათ დღეს ოთხი კაცი წამოვიყვანე, გავამზადეთ საჭმელ-სასმელი. ძველის სახლის კერიაზე ვიღოცეთ: კარგად ვიყოთ აქაც და იქაცო. ოჯახის უფროსმა შაქრის ნატეხების დაყრა დაიწყო გზა და გზა, რათა ტკბილად წამოგვყოლოდა სახლის ანგელოზი ახალ სახლში.

სახლის ანგელოზი იმყოფებოდა განჯინაში. პირველად იმას მივართმევთ ყოველივე კარგს. ყველა ოჯახს თავისი ანგელოზი ჰყავს.



გამიგია, რომ არსებობდა სახლის ანგელოზი, ქალის სახით იყო წარმოდგენილი. ანგელოზის თვალით დანახვა არ შეიძლება — უჩინარია. თონეში პურს რომ გამოვაცხობდით, დედაჩემი მეტყოდა: წადი, შვილო, ეს თბილი პური ანგელოზს მიართვით. თბილ პურს განჯინაში ჩავდებდი და ვიტყოდი: მიირთვი თბილი პური, ანგელოზოვო.

გაჭაბუებული (განაწყენებული, გაბრაზებული) ანგელოზი საშიშია ოჯახისათვის. ცუდსა ფიქრობს. მისი სამყოფი ოჯახია. თუ ოჯახი გაიყოფა, ის შეწუხდება. განაყოფიდან წახულს თუ არ გაძყვა, ჭაბუდება — განაწყენებული საშიში ხდება.

121. ტაისკაცი და მარისკაცი

ერთი მოხუცი კაცი მუშაობდა თურმე მეწისქვილედ. წისქვილი სოფლიდან დიდი მანძილით ყოფილდა დაშორებული. ზამთრის, ღამე-ებში, როცა მეწისქვილე მარტო რჩებოდა ხევის მდინარის წისქვილ-ში, წისქვილის ღარის სათავეს ვიღაც ჟერავდა. გამოვიდოდა მე-წისქვილე სათავის გასაღებად, გააღებდა და ჟან მობრუნებულს სათვალავში ხან ერთი და ხან ორი ტომარა ჟევილი აკლდებოდა. ასე გრძელდებოდა ღიღხანს. იმის მაგივრად, რომ მინდში აღებული ჟევილით ცოლ-შვილი ერჩინა, სახლიდან შეექმნა სიმინდი მოხა-ტანი და ხალხისათვის მისაცემი.

მეწისქვილემ გადაწყვიტა დადარაჯებოდა ქურდს. სახლიდან ცოლი წამოიყვანა. როცა დაღამდა, ისევ გადაუკეტა ვიღაცამ სათა-ვე. კაცი სათავის გასახსნელად გავიდა. ცოლი თოფმომარჯვებუ-ლი წისქვილში დატოვა. სათავესთან არ იქნებოდა მეწისქვილე მი-სული, რომ წისქვილში შემოვარდა ბანჯგველიანი ტყისკაცი. დედა-ბერი შიშისაგან კინაღამ წაიქცა, მაგრამ მოიკრიბა ღონე და ესრო-ლა ფილთა. თოფიდან გამოვარდნილმა ცეცხლის აღმა ტყისკაცს თმები შეუტრუხა და გაიქცა ისე, რომ ჟან არ მოუხედავს. ამ ამ-ბის შემდეგ წყალი არავის გადაუკეტია.



ნაწილი ბავშვობიდანვე დაპყვება ნაწილიან კაცს. ნაწილი შემოთხოვა
ძლება პქონდეს ბეჭებ, მეტრდებ, თავზედაც. ბეჭებ ნაწილი შეიძ-
ლება იყოს არწივის, ვარსკვლავის ან ჯვრის ფორმის. თავზე ნა-
წილის ადგილას თბა თეთრადაა შეფერილი და ღამით ანათებს.

ნაწილიანი ადამიანი ბედ-იღბლიანია. მას ყველგან ხელი ემა-
რთება. ბრძოლებშიც უოველთუის იმარჯვებას. არც ტკია ვეპრება,
არც ისარი და არც ხმალი სჭრის სასწაულმოქმედ ჯაჭვის პერანგს
(იგულისხმება თორლვას ჯაჭვის პერანგი).

შეოლოდ დედამ იცის, რომ მისი შვილი ნაწილიანია, მაგრამ გა-
მხედა აკრძალულია. საიდუმლოს გამედავნებას ნაწილიანი კაცის
სიკვდილი მოჰყვება აუცილებლად. ნაწილიანი ადამიანი არ იხდის
ტანსაცმელს, ღამით მარტოდ რჩება. მას არ უნდა, რომ მისი ნაწი-
ლი სხვამ ნახოს.

ნაწილიანი შეიძლება იყოს ცხენი (უპირატესად საღარი ცხენი),
ვეფხვი და არწივი.

ჩვენს სოფელ გომეწარში ცხოვრობდა ერთ კაცი — მოსე დავითუ-
რი, რომელიც ნაწილიანი იყო. მისი ნაწილიანობა მარტო მე ვიცო-
დი მთელ სოფელში. იმას ბეჭებ არწივი ქქონდა თურმე გამოხატული.
ეს კაცი შეძლებულად ცხოვრობდა, ბჯრი ცხვარ-ძროხის პატრონი
იყო. მერე მოხუცდა. დასუსტდა თანდათან და სიკვდილის პირას მი-
ვიდა. თავზე აღგნენ ჭირისუფალნი, რათა დაუშკაცრებელი (გახაპა-
ტიოსნებელი) არ გაეგზავნათ საიქიოში. მე იმ დროს დავუბარე იმის
რძლებს: თქვენი მამამთილი ნაწილიანია და თუ განდათ, რომ ნა-
წილი თქვენს სახლში დარჩეს და მომაკვდავმა თან არ ჩაიყოლოს,
მას თითხე სამჯერ უნდა უკბინოთ. რძლებს არ შეუსრულებიათ
ჩემი დავალება, არ ვიცი, შეებრალათ თუ შეეშინდათ მომაკვდავისა.
ის ნაწილი წაიყოლა თან იმ კაცმა.

ნაწილიანი კაცის სიკვდილის შემდევ, ნაწილს გველი ეპატრო-
ნება. თუ მოასწრო, დაკრძალვამდე ამოაცლის ადამიანს ამ ნაწილს,
ხოლო თუ მცურავს დაასწრებ მიცვალებულის დაკრძალვა, მაშინ ის
ჩაეშვება მიწაში, შეძვრება კუბოში, ამოაცლის ნაწილს მიცვალე-
ბულს, ამოიტანს დედამიწაზე და დამე ათამაშებს (აგორებს). ნაწი-
ლი — ეს იგივე ნატვრის თვალია. შემდევში ის კუ ადამიანი — მწე-
მსი მოსტაცებს გველს ამ ნაწილს — ნატვრისთვალს, ინხავს სახ-
ლის ყორეში, მაგრამ ფუძის გველი, რომელიც სახლის კედლებში

ბუდობს, პოულობს ამ ნატვრისთვალს, ეს ფუძის გველი ხომ სახლიდან არ მიღის და ნატვრისთვალიც ოჯახში რჩება, ეს უფლება ხი ნაწილიანია და ამიტომ ბედნიერი ცხოვრება აქვს. პირზე ფუძის გველი თუ მოჰკლეს, ნაწილიც იკარგება და ოჯახიც ინგრევა.

ნაწილიანი შეიძლება იყოს ცხოველიც — ირემი, ჯიხვი, ვეფხვი. ნაწილიან ცხოველს ტყვია არ ეკარება. ირემს, ჯიხვს რქებზე სანთლები ენთებათ.

123. ჟადავების წყარო საჭარველდებულია

ეს იყო გომეწარში, მაღაწლის მთის ძირას შვიდ წელიწადში ერთხელ თურმე გაიღებოდა ოქროს დარი, ზედ გადმოვიდოდა ჟვდავების წყალი და რამდენიმე წამის შემდევ ისე გაქრებოდა.

ერთხელ ერთი მწყემსი ქალი, შემთხვევით, იმ დროს მისულა, როცა ჟვდავების წყარო გადმოდიოდა. ქალს ძალიან მოსწონებია და დაულვია. ის ქალი იმავე გომეწრის ერთ-ერთ უბანში — სიპის კალოებში დაბადებული და კახეთში — სამგლე გორაში გათხოვილი ყოფილა. მის ოჯახს მთის მკაცრი კლიმატის გამო დაუტოვებია სოფელი და კახეთში ჩასახლებულა.

გასულა დიდი ხანი. ერთხელ გომეწრელები ჩასულან კახეთში პურის საყიდლად. მათ უნახავთ ჭრელ ფშაურ ფარდაგზე მჯდომი ღრმად მოხუცებული ქალი. მას გამოყენითხავს სტუმრებისათვის ვინაობა და როცა გაუგია, რომ გომეწრელები ესტუმრენ, ძალიან გახარებულა და უთქვამს: „მეც გომეწრელი ვარ, შვილო, სიპის კალოელი ქალი და სამგლე გორელი რძალი. ერთხელ მაღაწალაში ჟვდავების წყალი დავლიე და აღარ გვედებიო.“

დღეს აღარავინ იცის ხად იყო ის წყარო. იგი საფარველდებულია.

124. საჭარველდებული განძი

მოხუცებულების გადმოცემით, მიწაში დაფლული განძი და თისგანაა საფარველდებული, ე. ი. დაცული (უხილავი).

გომეწრელი ხვისძერი ხეთისო ფარნაოზიშვილი გადმოგვცემს: ერთხელ ერთი კაცი გორმაღალაის ტყეში ყოფილა. უცებ მის წინ მიწა გახსნილა და ოქროვერცხლით სავსე ქვევრი გამოჩენილი გვივრის გვერდით შეიარაღებული კაცი მდგარა. ის ყარაულობდა თურმე ამ სიმდიდრეს. ჩვენებურ კაცს რაღაც უხილავი უუბნებოდა: ეს უული დაქუდე,⁶ დამჭანე,⁷ სახლში წაიღეო. იმ კაცს სიმდიდრი-სთვის ხელი არ უხლია, სანამ მკითხავს რჩევას არ პეითხავდა. მკითხავს კი უთქვაა: ის უული ღმერთმა შენთვის გაიმეტა, უნდა აგელოო. მეორედ წახულა ის კაცი, მაგრამ ვეღარც ის ადგილი მაუხელავ (უნახავს) და ვეღარც ოქროიანი ქვევრი.

125. რელის ძილი

მე ერთხელ ბავშვობისას, დედაჩემთან ერთად, წისქვილში ვიყავი, შეღამებული იყო. ღარზე გადავედით, წისქვილში რომ შევეღით, გაჩერებული ვნახეთ. არც წყლისა და არც დოლაბის ხმა არ ისმოდა. გარეთ გამოსვლა რომ დავპირეთ, წისქვილი უცბად ამჟავდა. დედამ თქვა: წყლის ძილის დრო ყოფილა და, ნეტავი, რამე გვენატრა — უსათუოდ შევვისრულდებოდა.

წყლის ძილს თუ შეეხწრო კაცი და რაიმე ინატრა, აუცილებლად შეუსრულდება.

126. რელის ძილი

წყალი შვიდ წელიწადში ერთხელ იძინებს. ამ დროს ჟელაფერი ჩერდება. წისქვილიც მუშაობას წვევს. კაცმა თუ ეს ნახა და რაიმე ინატრა (რასაც ინატრებს) ჟელაფერი შეუსრულდება, ოდონდ, ხელი წყალში უნდა ჩაპყოს.

ერთი ბრიყვი კაცი ყოფილა და დამინებული მდინარე უნახია. უნატრია:

- ღმერთო, ნათესავები ამომიწყვიტეო.
- შე ბრიყვო, ეგ რა ინატრე, კარგი რამე გენატრაო და არაფერი არ შეუსრულა.

⁶ დაქუდე — ქუდით ამოიღე.

⁷ დამჭანე — მქანით, ჰეშვით ამოიღე.



ოჩოპინტრე ფშავში ღიდად გავრცელებული უძველეს დღობების ბაა. მას სამღოცველო ნიში არა აქვს, მაგრამ მისთვის სანთელს ანთებენ მონადირეები და ეხვეწებიან ნადირის მოკვლაში ხელის მომართვას.

ოჩოპინტრე ნადირთპატრონადაა მიჩნეული და მწევების სახით ეცხადება მონადირეს, უვლის (მწევებავს) შვლებისა და ირმების ჯოგებს. იგი კაცია (მხოლოდ მამრობითი სქესისანი არიან). საფარველდებულია, ხანდახან ხახულობენ მონადირენი კაცის სახით, რომელიც ნადირს მწევებავს.

ოჩოპინტრეს ადგილსამყოფელი უღრანი რყაა, მიუვალი მოკბი, ზოგჯერ მინდორიც. ე. ი. ხადაც ნადირია, ისიც იქ არის. იგი მარტოა. ცოლი არ ჰყავს. უბრალოდ, მწევებივით ჩაცმულია და ზოგჯერ ხის საფეხურებითაც (ოჩოუებებზე) დადის.

ოჩოპინტრე რომ ნამდვილად მამრობითი სქესისაა, ადასტურებს კაცისათვის მიმართვა — „ეე, ოჩოპინტრე!“ ქალს კი ამ სახით არ მიმართავენ. ამ მიმართვაში იგულისხმება უბრალო, ბრიუვი კაცი.

სანთელს ანთებენ მისთვის სახლშიც — სანადიროდ წასვლის წინ და ტუშიც, სანადიროდ წასული.

ოჩოპინტრეზე არ იტკვიან გამიწრივლდათ. გამიწრივლება — ავსულად ქცვას ნიშნავს ფშავში. ზოგი კაცის სულზე ითქმის — „გამიწრივლდათ.“

128. ოჩოპინტრე გაღნივრო!

ნადირი ანგელოზს წმ. გიორგისაგან ჰყავს ჩაბარებული. ნადირთ მფარველი ანგელოზი, რომელსაც გაიმეტებდა, იმ ცხოველს მოაკვლევინებდა მონადირეს. მისი ნების გარეშე მონადირე ნადირს ვერ მოკლავდა... მონადირე... ნადირთ მფარველ ანგელოზს შესთხოვდა: „ოჩოპინტრე ბედნიერო! ნადირთ წმინდა ანგელოზო, ხელცარიელს ნუ დამაბრუნებ, მსუქანი ჯიხვი მომეცი.“ ნადირობაში გამარჯვებულნი მადლობის ნიშნად ხატს ნანადირვის რქებს სწირავდნენ.



ბეთქილი იყო სოფ. უაბეშიდან, ძლიერი და ბრგე ვაჟკაცი. ზონა დიროდ წასულა ისე, რომ სვანური წესი დაურღვევია. სიწმინდე არ დაუცავს. თურმე, თავის რძალ თამარისთან ნაწოლი წასულა სანადიროდ. დალი განაწევნდა, რომ ბეთქილი არაწმინდა წამოვიდა სანადიროდ. გზა აუბნია, გაიყვანა ციცაბო კლდეზე, ცალი ფეხითა და ცალი ხელით კლდეს მიაკრა და ისე დატოვა. უაბეშელები წავიდნენ შინმოუხვლელი ბეთქილის საძებრად. ნახეს კლდეზე დაკიდებული. ბეთქილმა გადმოსხახა: — წრე შეკარით და ფერხული დაუკარეთო. ჩემი რძალი თამარი მოვიდეს, ცხვირსახოცი ხელში დაიჭიროს, დამიქნიოს და თან იცვეკოსო.

ასეც გააკეთეს. თამარი ფერხულში ცხვავდა, ცხვირსახოცს ბეთქილს უქნევდა. ბეთქილი გადმოხტა, მაგრამ ქვევით ვერ ჩამოაღწია, პაურში გაქრა. ვერც ძვალმა და ვერც რბილმა მიწამდე ვერ მოაღწია.

თამარი რომ ცხვავდა და ცხვირსახოცს უქნევდა, ბეთქილი თვითონ კარნახობდა ფერხულში სათქმელ სიტყვებს.

130. ამირანი ლევა ბარაბლაპა

ამირანი დევმა გადიყლაპა. მშებმა ბადრმა და კისიპმა ამირანს ჩასხახეს: ამირან, ჩემის ყელში ხანჯალი გაქვს, ამოიღე და მოიხმარეთ. ეს რომ გაიგონა დევმა, ამირანს უთხრა: — ამირან! ცოტა დვიძლს მომაკელი, ცოტა კიდევ ფილტვს, ნახვრეტი ცალ ნებში გააკეთე და ისე გამოდიო.

ამირანმა არ გაუგონა დევმა. ბევრი დვიძლი და ბევრი ფილტვი მოაჭრა. გვერდი სულ გამოუღო და გამოვიდა. დევმი კი მოკვდა.

131. ტბის ჰაცი (ცხემი დაავ)

ტყის კაცი, სვანების წარმოდგენით, ჩვეულებრივ კაცზე გაცილებით დიდია. მისი სხეული ბალნით არის შემოსილი თავიდან ფეხამდე, გარდა თვალის უპეებისა. ცხოვრობს ტყეში. გამოქვაბულებშიც ტყის კაცები ჯიხვებს არ უჩინან. მონადირეებთან მიდიან.

სთხოვენ ნანადირებს, ხორცის ნაჭერს, თუ მისცეს, არაფერს დაუშავებენ. არიან ტყის ქალებიც.

ზოგჯერ სოფელში რომ დაიბადება არაჩეულებრივი (დევატ-ტური) ბავშვი (უჩვეულო კბილებით, კუდუსუნის ძვლის გამრუდებით და სხვა) იტყვიან: ეს ტყის კაცის ან ტყის ქალის მიერ შეცვლილი ბავშვიაო. თავიანთი ბავშვი მოუკვანეს და სამაგიეროდ მათი ბავშვი წაიკვანესო. ასეთ გამოცვლილ ბავშვს ეძახიან ნაცა-ადურას — ტყის კაცის მიერ გაცვლილი ბავშვიაო.

132. მონადირა მაჟსამს აპავი

იყო ერთი განთქმული მონადირე, სახელად მეფსამ. წავიდა სა-ნადიროდ. ნახა, რომ კლდის თავზე ზის დალი და ტირის. რა გატი-რებსო. — შვილი გადმომივარდა კლდიდანო, ზვეით ყორნები დასტრიალებენ და ქვეით მგელი უცდისო. მართლაც, მგელმა სტაცა პირი ბავშვს, ზურგზე მოიგდო და გააქანა. მეფსამ მგელს გავიღა. ესროლა თოფი და მოკლა. ბავშვი ჩოხის კალთაზე შეახვია და მიუკვანა დალს. დალმა ნაწნავები გადმოუშვა კლდიდან და იძით აიყ-ვინა ბავშვი. ბავშვმა უამბო დედას კველაფერი. მონადირე მეფსამ გადამარჩინაო. დალმა ბავშვს უთხრა: მე სამ ჩაქუჩს მოგცემ, მო-ნადირეს მიუტანე და რომელიც უნდა, ის აირჩიოსო. თუ უნდა ცო-ლად წამიკვანოსო, ანდა, წიფობის თვეში ცხრა ჯიხვს მივცემო. ან დღეში თითო ერსკენს (პატარა თხაა). მონადირემ სამივე საჩუქარ-ზე უარი უთხრა. მინდორში ჯიხვების ჯოგია და მათთან მივდი-ვარო. დალმა დაუძახა: რაც სიკეთე გამიკეთე, უან ნუ დააბრუნებო.

ჯოგში ერთი ოქროს რქიანი ჯიხვი იყო. ბეჭებზე ნიშანი ჰქონია: მარჯვენაზე მხე, მარცხენა მხარეზე კი — მთვარე. მეფსამ მაინცდა-მაინც ეს ოქროს რქიანი ჯიხვი მოჰკლა. უცდად ეს მინდორი კლდედ იქცა. მონადირე ამ კლდიდან გადაიჩეხა და მოკვდა.

133. სახლში ვამოსავალი თასის მაღი

სოფ. ადიშში ყოფილა ერთი მდიდარი მონადირე. მას ოჯახში ყოლია შემოჩეული ტყის ქალი. ეს ქალი საქონელს უმწყემსავდა. დილით გარკვავდა და საღამოს ისვე შინ მოიკვანდა. ერთხელ ეს 80

კაცი სანადიროდ წავიდა. მოკლა ჯიხვი. გაატყავა, გულ-ღვიძლი
შეწვა და დალის შესწირა. დაადგა გზას. უკან რომ ბრუნდებოდა
ორსული ტყის ქალი შემოხვდა. იგი სახლში რომ ყავდა მწერმსი ქა-
ლი, იმის და ყოფილა. სახლში დააბარა:

— ჩემი და თუ დამჯდარია, ადგეს და მოვიდეს, უებზე თუ დგას —
გამოიქცესო. მონადირე დაპირდა: დანაბარებს შევასრულებო. სა-
ხლში მისულს სტუმარი დახვედრია. ვახშის შემდეგ გახსენებია
დანაბარები. გაბრაზებულა დევის ქალი. ჩემი და ებლა გამსკდარი
იქნებათ. დაუწევევლია ის მდიდარი მონადირე. გაქცეულა სახლი-
დან და ბარაქი თან წაუღია. ყველა საქონელი გაწყვეტია.

134. მონადირის სიზმარი

მამაჩემ ბესარიონის სიზმარი უნახავს. წუხელ ჩემთან მოვიდა
ლამაზი ქალი, ნაწნაეები უებებამდე სცემდათ. სულ თეთრად იყო
ჩაცმული. მითხრათ: ბესარიონ, შენ სანადიროდ წანერის (მთის
სახელია) მიმართულებით არ წახვიდე, წადი ტვიბერის (მთაა უღე-
ლტებილზე) მიმართულებით, მარჯვენა მხარეზე იარე, არსად არ
დაჯდე და არ წამოწვე, სანამ გამოქვაბულში არ შეხვალო.

მართლაც ასე მოიქცა. გამოქვაბულში დახვედრია ანთებული
სანთლები. იმ საღამოს ისევ დასიხმრებია ეს ქალი. უთქვია: ჩემო
ბესარიონ, შენი ბიძაშვილი დადის აქ, ნახე და გააფრთხილე: მოეშ-
ვას იმ ადგილს, თორემ კლდიდან, გადავჩეხავო. გათენებისას გა-
მოსულა გამოქვაბულიდან. უნახავს კარზე მომდგარი დიდი ჯიხ-
ვი. მოჟვლავს ეს ჯიხვი და მოუტანია სახლში. მეორე თუ მესამე
დღეს გუჯეკიანი და მარგიანი მისულან იმავე გამოქვაბულში. მიუ-
გნიათ მამაჩემის ნანადირევისათვის (მამაჩემს იქ თოვლში შეუნა-
ხია მოკლული ჯიხვის ნაწილი). გუჯეკიანი კლდიდან გადმოვარ-
დნილა და დაღუპულა. მამაჩემი ამბობდა: არა ბიძაზე, მეზობლებ-
ზე ამიხდა სიზმარიო.

135. დაღის ჯიხვები

მამაჩემი ბესარიონ დადაშის ძე იოსელიანი ცნობილი მონადირე
იყო. ცხოვრობდა სოფ. უაბეშში. ხელცარიელი არასოდეს ბრუნდე-
6. ა. ცანავა.

ბოდა ნადირობიდან. ერთხელ დაბრუნდა ხელცარიელი. ჩვენს შეკითხვაზე, — თუ რა შეემთხვა ასეთი, გვითხრა: კლდეზე ორი ჭიდა ჯიხვი გაღმოდგა. ორივეს ნიშანი ჰქონდა მთვარისებურით. დამიზნებული თოფი ძირს დავუშვი და უკან დავბრუნდიო. ისინი მე რომ მომეკლა, განა ცოცხალი დავბრუნდებოდიო. რომელ ჯიხვაც ნიშანი აქვს, იმის მოკვლა არ შეიძლება. ნიშანდადებული ჯიხვები სხვადასხვა სახისაა. ზოგს მთვარის მსგავსი თეთრი ნიშანი აქვს, ზოგს ზოლისებური სითეთრე დაპერავს, ზოგს შუბლზე აქვს თეთრი ნიშანი. მათი მოკვლა დალს სწყინს. ეს ნიშანი დალის მიერაა დადებული. ეს ჯიხვები დალის ჯიხვებია. მისი კუთვნილებაა.

136. მონაღირის გასაღრა მოსოგალთან და მართლის უისა გამარა

ერთი კარგი მონაღირე იყო სოფელ ფაბეშიდან (ცოცხალი არ არის მაგრამ სახელსა და გვარს მაინც არ გატვი). ერთხელ სანადიროდ წასულა. სოფელს გასცდა თუ არა, ორ მეზობელ მხერხავს შეხვედრია (მორებს ხერხავდნენ თურმე). ორივე მისი ნათესავები იყვნენ. როცა გამოქვაბულში მივიდა, ცეცხლი დაანთო, ღმერთისთვის შესაწირი სასმელი — ნათხუში (წინწანაქარი) ღმერთს შესწირა, თვითონაც ცოტაოდენ დალია.

მოკვლა ერთი ჯიხვი, გაატყავა. ხორცი ტქავში შეახვია. შეორე დღესაც აპირებდა სანადიროდ გასვლას. თოფი გამოქვაბულიდან მოშორებით შეინახა. მწვადები შეწვა. კარგად ივაბშა. ამ დროს გამოქვაბულში შემოვიდა ნათესავი მხერხავი. მასაც პამა მწვადი. დაალევინა. მხერხავმა უთხრა, ვითომ: — აქ რა გინდა, მე ვიცი უკეთესი გამოქვაბული, კარგადაც დავისვენებთ და ჯიხვებსაც მოვკლავთო. დაეთანხმა ეს მონაღირე, ხორცი გამოქვაბულში ჩამოკიდა და გაყვა მხერხავს. გზაზე ჩხუბი მოუყიდათ. მხერხავმა უთხრა: რატომ ადრევე არ წამომიყვანეთ. მონადირემ ხელი ჰქრა და ეს კაცი უკსკრულში გადააგდო. მიატოვა იქ და თვითონ სახლში წამოვიდა. იმ მხერხავს ავი სულობა დაბარალი. შუაძავლები გაუგზავნა: რატომ გამიკეთე ესო. მე შენ კლდეზე გადაგაგდე და შენ კი აქა ხარო. როგორ დაბრუნდი, ამიხსენი თორემ მოგელავო. მეორეჯერ შუაძავლად მამაჩემი გაუგზავნა. იმ კაცმა შემოუთვალია: — მე არსად არ კურფილვარ და თუ გინდა ფიცზე გავაღო. მართლაც დაიფიცა ხატ-82



ზე. შეორე დღეს დამშვიდებული მონადირე წავიდა გამოქვაბულობაში, ხორცისა და თოფის ჩამოსატანად.

იმ საღამოს მონადირეს დალმა დაუძახა:

— შენ რომ აქედან წახვედი, ვინ გაიყვანე ფიცხე?

გამოქვაბულში მოსული კაცი მე ვიყავიო. შენ კი სხვა გვეორნაო. ებლა მე გაგიყვან ფიცხეო.

დალის სახეს ის მონადირე ვერ ხედავდა. მხოლოდ სიტყვები მეს-მოდაო.

— აწი, მარტო წამოსული შენ აქ არ დაგინახოვო. დიდი ხნის სიცოცხლე მაინც არ გიწერია და უმჯობესია შენს ლოგინში მოკვდეო.

ამის შემდეგ ის მონადირე სანადიროდ არ წახულა. ეჭვი თვის შემდეგ კი მოკვდა. სიკვდილის წინ სულ იმას იგონებდა — კიდევ კარგი რომ დალმა კლდეში არ დამდებაო. მამაჩემი კითხებოდა: — დალთან ხომ არ დაწოლილხარო, ხომ არ გინახიაო.

— არაო, არც მინახიაო და არც დავწოლილვარო. მადლობა ღმერთს, ჩემს ლოგინში ვკვდებიო.

137. გვადრის საზო თავის ორმოცხა პატიშება შეავალის მაზარეს

გზაზე მიდიოდა ერთი კაცი. უკანა მხრიდან წამოეწია ვიღაცა მგზავრი, რომელსაც ბეწვიანი ქურქი ეცვა. არ გამოლაპარაქებია ისე, ხან წინ გადაულიდა და ხან ისევ უკან გაძყვებოდა. მგზავრიმა უთხრა: — შენც მგზავრი ხარ და მეცაო, ერთად ვიაროთ, ვისაუბროთ, გზაც მაღლე გათავდებაო. ქურქიანმა კაცში ხმა არ გასცა. ბოლოს, როცა მგზავრი არ მოეშვა, ქურქიანმა უთხრა:

— ამაღამ ჩემი ორმოცია, იქ მივდივარ, მე ხორციელი არა ვარ, სული ვარ, თუ ორმოცხე არ წამომყები, დაგდებავო. იმულებული გახდა გაძყოლოდა ქურქიან კაცს. მივიდნენ ოჯახში. იქ სუფრა გაეშალათ. სხვადასხვა სახის საჭმელი ელაგა. სანთლები ენთო. ქურქიანი კაცი მივიდა მაგიდასთან, ჭირისუფლები მას ვერ ხედავენ, დაყნოსა ყველა საჭმელი. ამას მარტო მგზავრი ხედავს. ჭირისუფლები დასტირიან მკვდარს. ბოლოს ტირილი შეწყვიტეს. ებლა მხოლოდ ეს მგზავრი ტირის. — რაშია საქმე, რა გატირებსო? — მე მგზავრი ვარ, თქვენს ოჯახს არ ვიცნობდი, გზაზე შემხვდა ქურქი-

ანი კაცი, მითხრა მე სული ვარ და ჩემს ორმოცხვე მივდივარ, თუ არ წამომყვები დაგდუძავო. იძულებით წამომიყვანა, აქაც დავიზახე, ყველა საჭმელი დაყნოსა და მერე წავიდაო.

138. ბაღარენილ ჯიხას ვარეა წალს ძლაპს მონაღირა

უშგულელი მონაღირე წასულა მთაში სანადიროდ. ღამის გასათვად შესულა გამოქვაბულში. იქ უნახია დასუსტებული, მებენარებდასეული ჯიხვი. შეცოდებია, ბალახი მოუტანია, მებენარები მოუშორებია, მინდორზე გაუყვანია, თან ნიშანი დაუდევია რქაზე.

მეორე წელს, თუ იმავე წელს, შემოდგომაზე, ისვე წამოსულა სანადიროდ. მოუკლავს ერთი ჯიხვი. ხედავს, რომ რქაზე მისი დადებული ნიშანი აქვს. ღმერთმა გადამრჩენელს მოაკვლევინა მისი თავი.

139. მონაღირა პეთჟილი და დალი

ბეთქილი სოფ. უაბეშიდან იყო, — განთქმული მონაღირე. ნაღირობის დროს ყოველთვის ხვდებოდა დალს. დალის ხელშეწყობით კარგი ნანადირევი მოჰქონდა. დალსა და ბეთქილს ერთმანეთი უყვარდათ. ეს სიყვარული საიდუმლოდ უნდა დარჩენილიყო. არავის უნდა გაეგო. ბეთქილმა ცოლს გაუმხილა საიდუმლო. ეს კი დალმა გაიგო და სოფელში თეთრი თხა (იერსკენ) გამოაგზავნა. იერსკენი გამოჩენისთანავე გაუჩინარდებოდა. სოფლელებმა თქვეს: ამას ბეთქილ უნდა გაეკიდოსო. მართლაც, ბეთქილი გაეკიდა იერსკენს, რომელიც ციცაბო კლდეზე ავიდა, იქ პატარა გავაკება იყო. ბოლოს ისეთ ადგილას მოიყვანა, რომ მარტო ფეხის დასადგმელი დაუტოვა. ხალხი უკან მისდევდა. დაინახეს, რომ ბეთქილი იღუპება. ზოგს ბაწირი, ზოგს რბილი დასაფეხი მოჰქონდა ბეთქილისათვის, მაგრამ არაფერმა უშველა. გადმოვარდა კლდიდან. ამ ადგილს დღესაც ეძახიან „ბეთქილის ჩამონავარდნს“ საკაცით წამოასვენეს ბეთქილი. გზაზე, შორი ახლო, კივილით მოსდევდა ვილაცა, მაგრამ მას ხალხი თვალით ვერ ხედავდა. ბეთქილი დასაფლავებულიდა უაბეშში. თურმე, ღამით მოდიოდა დალი საფლავზე, დიღხანს კიოდა (დასტიროდა) საფლავს და შემდევ ქრებოდა.



მესეფებზე ბაბუაჩემის ნათქვამი ვიცი. მესეფობა ოქტომბრის ბოლო სამ დღესა და ნოემბრის დასაწყის სამ დღეს არის. სულ ესები დღე. ჩემი ბაბუას დედის მმა გვაძი შელია ყოფილა საჩინოში. წაბლობის დროს წასულა გარეული ტახის მოსაკლავად. ბევრი უვლია ტუში იქით-აქეთ და ბოლოს დაღლილი ერთ წაქცეულ ხეზე ჩამომჯდარა. შორიდან მეჯოგის ყიჯინის მსგავსი ხმა შემოესმა. შემდგა სტვენის ხმაც გაუგია. ფრინველები და ტყის ნადირები ყველა ერთად მოდენილან, მაგრამ თუ ვინ იყო მათი პატრონი ეს ვერ გაუგია, თვალით ვერ ხედავდა თურმე. ღორი წაბლთან მოსულა და მისი ჭამა დაუწევია. გვაძის თოფი დაუმიზნებია. ამ დროს ვიღაცას დაუძახია: — მე გამექეც, მაგრამ გვაძის ტყიის ბედი ყოფილიყავიო. გვაძის უსკრია და ღორი წაქცეულა. — გამარჯობა გვაძიო! — უთხრა ვიღაცამ. მიუხედია გვაძის და პირტიტველა ბიჭი უნახავს, რომელსაც თოფი კვიდა მხარზე. გვაძი! ეს კერატი მე გაჩუქეო. შენ ამას ვერსად წაიღებ, მე გამომყევი, არ შეგეშინდეს, დამელაპარაკეო, გვაძი ვაჟვაცი იყო, გულიანი, დალაპარაკებია და თან უკან გაპყოლია.

ბევრი რომ უვლიათ, გვაძის უნახავს ერთი ეზო, რომელიც ირმის რქებით იყო შემოღობილი. ჭიშერად შექსელილი ჯიხვის რქები კვიდა. გაუდია ამ ბიჭს კარი და ეზოში შესულან. თოფი გამოურთმევია გვაძისთვის და სახლში შეუყვანია. ცოტა ხნის შემდეგ ეს ბიჭი სხვარაირი ტანსაცმლით გამოსულა მეორე ოთახიდან და თხილის წნევლით მოწნულ სკამზე დაუჯენია გვაძი. ისიც ისეთივე სკამზე დამჯდარა. შიგნიდან გოგოების სიცილისა და მხიარულების ხმა ისმოდათ. ბიჭი რომ დაიძახებდა „დოიტ“-ს, სიცილის ხმა შეწყვებოდათ. იმ ბიჭს უთქვია: — ისინი ჩემი დები არიანო. ქრისტიანის სუნს გრძნობენ და შენი ჭკუიდან შეშლა უნდათო, მაგრამ ამის ნებას მე მათ არ მივცემო.

გვაძი ამდგარა და ეზოში გადაუხედია. უნახავს: ერთ ძვლის მესერზე კაცი და მეორე ძვლის მესერზე ქალი იყო მიბმული. ქალს კაცის მოჭრილი თავი კვიდა და კაცს კი ქალის მოჭრილი თავი ჰქონდა ჩამოკიდებული თხილის ტკეცისაგან დაგრეხილი თოკით. მიბმულები ერქინებოდნენ ძვლის მესრებს, მესრის ამოგდება სურდათ. ცოტას რომ მოარყვედნენ, მესერზე ბოლოქანქარა ჩიტი შემოჯდებოდა და აჯავრებდა ორივეს. იქვე ეგდო ცხენის ფეხის მსხვილი ძვალი. კაცი აიღებდა ამ ძვალს და დაპერავდა ჩიტს. ბოლოქანქა-

რა გაფრინდებოდა, მორცეული მესერი კი ისევ გამაგრდებოდა, ბოლომდე ჩაესობოდა. ამ ბიჭმა მითხრა: ესენი ჩემი დედმამათო ქართველ საქონელის გასაღენად წავიდნენო. ერთმა კაცი მოიყვანა და მეორემ ქალიო. ორივე წაახდინეს, ჰკუიდან შეშალეს. ამის გამო ასეთი ბედი ვარგუნე ჩემს შობლებსო.

ისევ ჩამოვჯექი სკამხეო. მე თვალით რომ ვერ ვხედავ ისე, ხელი დამაბანინეს, ხელსახოცი მომცეს, საჭმელები წინ დაგვიწვეს, მაგრამ ვის როგორ მოპქონდა ამას კი თვალით ვერ ვხედავდიო. ჭამის დროს იცინოდნენ, მაგრამ მე ეს ბიჭი მიცავდა და ხელს ვერ მახლებდნენო. დამიგეს საწოლი და დამაწვინენესო. ვიფიქრე: რა დამემართება ვინ იცის და ჯობია არ დავიძინოო, მაგრამ დამძინებოდა და მეორე დღეს, შეე რომ ამოიწვერა, გამეღვიძაო. საუხმე მაჭამეს. და-დამებამდე ვილაბარიაკეთ. როცა დაღმდა, ის ბიჭი ისევ ისე გამოეწყო, როგორც პირველად ვნახე, ჩემი თოფი მომცა და მითხრა: — წავიდეთ ეხლა შინ კერატთანო.

წასულან. ტყეში გვაძის უცვინია თავისი ნაჯდობი ხე. — გვაძი! შენი კერატი აგერ აგდია. ახლა შეხთვის მომიცია ნადირობის ბე-დიო: ეს ამბავი (რაც შეგემთხვა) საღმე არ თქვა, თორემ მოკვდებიო.

მეორე დღეს გვაძის ბიჭები წამოუკვანია კერატის წახაღებად. გვაძის უთქვია: წუხელ წაბლის ხეხე გავათენე ღამეო, მოუზუებია.

ბაბუაჩემბა თქვა: ეს ამბავი გვაძის სიბერებდე არ უთქვამსო. ბოლოს თქვა და იმავე წუთის მოკვდაო. ის ბიჭი მეხეფი იყოვო. იმ წელს ბიჭები ამოსულან და ზამთარიც ძლიერი (მაგარი) ყოფილა.

— მესეფობის დღებში თუ წვიმებია ბიჭი მესეფებია ამოსული და ზამთარიც მაგარი იქნება. თუ წვიმები არ იქნა ქალი მესეფები იქ-ნებიან ამოსულები და ზამთარიც კარგი იქნება.

141. მასაზე გაღის მაცოცხლეასა ზასთხოვას

ჩემს ბავშვობაში მაქვს გაგონილი, რომ ჩვენს სოფელში, თურმე, ცხოვრობდა ერთი კაცი, რომელიც მგელზე ჯდებოდა და დათარე-შობდა ღამ-ღამიბით სხვადასხვა სოფელში. მგელი ანადგურებდა, თურმე, სოფლის საქონელს. კველა შეწუხებულა. ბოლოს დაუდარა-ჯდნენ. ეჭვი ამ კაცზე მიუტანიათ და დაუდაღვთ. ამის შემდევ ის მგელზე ვერ ჯდებოდა. ბოლოს ეს მოთარეშე მგელიც მოჟღლია ვი-

დაც გულოვან კაცს. თანაც ფეხის კოჭები მოუჭრია და სახლში წაულია. უფიქრია: ვინმებ მესეფებს არ გააცოცხლებინოს ეს მკულიტრაცია ამ დადაღულ კაცს რომ გაუვია მგელი მოკლესო, ბევრი უტარირობა მერე წასულა და მესეფებს შეხვეწნია: ესა და ეს მგელი რამეფრად გამიცოცხლეო. მოსულა მესეფი მგლის გასაცოცხლებლად, მაგრამ მგლის ოთხივე ფეხის კოჭი მოჭრილი და წაღებული დახვედრია. ჟოჭებოდ ვერ გავაცოცხლებო, უთქვია მესეფს. ეს მგელი მესეფს ბევრჯერ პყოლია, თურმე, გაცოცხლებული. ეხლა კი არ შეეძლო მისი გაცოცხლება.

142. მსახუას მიზანან ურინალები და ნაღირები ნამოავავი

მესეფობა შემოდგომასაა. ერთად ექვსი მესეფიაო. სამი ქალია და სამი კაცი. იხინი ერთად არ ამოვლენ. მესეფებს მოთიდან საქონელი და ფრინველები ჩამოჰყავთ ზღვის სანაპიროზე. სამ თბილ დღეს მოდენიან ზღვის ნაპირამდე. ზღვიდან მთისაკენ სამ ციც დღეს მიღწიან იმ საქონელსა და ფრინველს, რომლებიც სიცივეს იტანენ (უძლებენ). ამიტომა მესეფობა ექვს დღეს.

მესეფის ამოსვლით ამინდის გამოცნობა შეიძლება. მესეფობის დროს თუ კარგი ამინდია — საქონელი თეთრად გამოწყობილმა გოგოებმა მოდენებო, იტყოდნენ და ზამთარიც კარგი იქნებაო. ცუდი დღეები თუ იქნა — საქონელი ნაბდიანმა ბიჭებმა მოდენებო და ზაპთარიც ძლიერ თოვლიანი იქნებაო.

მესეფობაზეა მიკრული (მისმული) მონადირის ბედი. მესეფი მიუჩენს თავის წილ ნადირს მონადირეს. ნადირს ეტავის: შენ ამის ულუფა (თია) ყოფილიყვე, შენ კი — იმისიო. მართლდება ხოლმე ეს. მონადირემ თუ სხვას ესროლა, ტყვია აცდება. მისთვის განკუთვნილს როცა ესვრის, ტყვია არასგზით არ აცდება.

143. მსახუას ძაღლი შავდიას გარაში რვეგორა

მესეფის შესახებ ასეთი რამ ვიცი: მესეფობა იწყება 27 ოქტომბრიდან და გრძელდება 3 ნოემბრამდე, ე. ი. 6 დღე. სამი დღე მოსვლა და სამი დღე წასვლა. მე როგორც ნადირობის კარგი მოყვარული (ასევე სხვებიც) ამ დღეებში სანადიროდ არ მივდიოდით.

რადგან არსებობდა თქმულება, რომ ამ დღეებში მესეფი ძაღლით დადიოდა და თუ საღმე შეგხვდებოდა, დაგამიზეზებდა.

ერთხელ მესეფს ძაღლი დავიწყებია. ის ძაღლი, თურმე, შევდიას მარანში წვებოდათ. მესეფი შეიძლება იყოს ქალიც და კაციც-ქალს — წყლის დედას უწოდებენ. თუ კაცი მოვიდა, ის წელს წვიმა იქნებოდა, თუ ქალი — კარგი ამინდი. ამით იგებდნენ როგორი ამინდი იქნებოდა წლის განმავლობაში.

144. ტქაშვაშა და სახურავა

იყო ერთი მონადირე, სახელად მახუტელა ერქვა. მახუტელა წავიდა ერთ დაბურულ ტყეში ტახის მოსაკლავად. ავიდა დიდ მუხა-ზე და იქიდან დაუწყო თვალთვალი ტყის ღორის, რომელიც გამოენისას აქ უნდა მოვიდეს.

გათხების ჟამს მახუტელას შორიდან მოესმა საშინელი ხმაური და ქალის კივილი. ქალი კიოდა და თან იძახოდა: — „მახუტელა! შე მჯვდარო, მომეშველეო.“ ასეთი ძახილით მოუახლოვდა მახუტელას თეთრად მორთული და კოჭებამდე გრძელი თმით დაფარული ქალი. „მახუტელა! — მიშველეო,“ იძახის და გარბის, თურმე. ცოტა ხანმა რომ გაიარა, მახუტელამ ნახა, რომ ქალს მოსდევდა ბანჯველიანი თმებით დაფარული ოჩოკოჩი. როცა დაუახლოვდა, სახუტელამ დაუმიზნა თოფი და ესროლა. ოჩოკოჩმა ყვირილი მორთო: „კიდევ დამიმატე, მახუტელაო!“ მახუტელამ იცოდა, რომ თუ მეორეჯერ ესროდა, ზედიზედ ორმოც ტყვიას სანამ არ მოარტყამდა, პირველი ნასროლის ჭრილობა, გამრთელდებოდა. მეტი არ ესროლა. ოჩოკოჩი ყვირილ-ყვირილით გადაიკარგა.

მოვიდა ტყაშმაფა მახუტელასთან და უთხრა: მე რასაც გეტუვი, ხმის გაუცემლად შეასრულეო. ჩამოდი ხილან, წადი სახლში, შენი ბედლის სხვენზე ლეიბ-საბანი დააგე და მე იქ მოვალო. შენი პატივისცემა უნდა გადაგიხადოვო. მახუტელამ ჟელაფერი ისე გააკეთა, როგორც ტყაშმაფამ უთხრა და სამ ღამეს მასთან ცხოვრობდა.

მესამე დღეს მახუტელას ცოლი შეეჭვდა. მიეპარა ბედლის სხვენზე მწოლარე ქმარსა და ტყაშმაფას, ნახა ყველაფერი და მიხვდა, რაშიც იყო საქმე. გამობრუნდა უკან, შევიდა თხების სადგომში,

გამოწველა თხები, რძე ტაშტში ჩაასხა, წაიღო და ტყაშმაფას ჩამოშლილი თმები რძით დაბანა, კარგად გაასუფთავა, დაწნა, შემდევ გაადგინა მახუტელა და უთხრა: — მახუტელა, ჩემი მხრიდან ალობა (თავისუფლება, შეწყალება) მიმიციაო, დამილოცნიხარ ერთი ბედითო. რახან შენმა ნადირობამ მე სიცოცხლე შემინარჩუნა, გქონდეს ნადირობის ბედიო, შენი ნასროლი თოვის ტყვია ნადირს არ აცდენოდესო.

მახუტელა სახელგანთქმული მონადირე გახდა.

145. ტყაშმაფა ლაპაზ პიჟაპას დასდევას

ვეში (სოფელია სენაკის რაიონში) ძველად დიდი ტყე იყო. ამ ტყეში ცხოვრობდნენ: ჭინკები, ოჩოკოჩები, ტყაშმაფები.

ტყაშმაფა ლამაზი ქალია (ცირა). ტანზე თხელი თმა აქვს. თმა ორივე ფეხის კოჭებამდე სცემს. ტყაშმაფა ქალებს არ ერჩის. მარტო ლამაზ ბიჭებს დასდევს. რამეს რომ გეტვის, პასუხი არ უნდა გასცე. თითებით გაჩვენებს, თუ რამდენ წელს უნდა იყვე მისი ბრძანების ქვეშ. შენც თითებით უნდა უთხრა. სამი თითი — სამ თვეს ნიშნავს, შვიდი თითი — შვიდ თვეს და ა. შ.

ერთხელ ერთ კაცს შეხვედრია ეკის ტყეში ტყაშმაფა. ეს კაცი მოსწონებია ამ ტყაშმაფას და ლაპაზაკი დაუწყია. კაცს ვერ მოუთმენია და პასუხი გაუცია. ტყაშმაფას ჭკუიდან შეუშლია ის კაცი.

146. ტყაშმაფას ჩავი პიჟა შესვალია

ტყაშმაფას ჩემი ბიძა შეხვედრია (ბებიას ნაამბობიდან ვიცი) და თითით 12 თვე უჩვენებია. ბიძას სამ თვემდე ჩამოუყვანია და ამ სამ თვეს სულ ტყაშმაფასთან ყოფილა.

ერთ დილას დედას უნახავს მისი შვილი და ტყაშმაფა სასიმინდეში მწოლარე. ტყაშმაფას თმა მიწაზე ჩამოშლოდა. დედას არაფერი უთქვამს, მიმხვდარა, თუ რაში იყო საქმე. მოუწველია ძროხა, რძით სავსე ვედროში ტყაშმაფას თმა დაუბანია. ტყაშმაფას გამოღვიძებია და ორივე — დედა და შვილი დაულოცია.

ერთხელ, რაღაცის გამო, ბიძაჩემისგან გულმოსული ტყაშა-
ფა სასიმინდეში ამოსულა და საოცარი წყველა დაუწყია. ამის შემ-
დეგ ბიძაჩემი მაღვე მომკვდარა. იმ ბიძას მე არ მოვსწორებივარ.

147. ტჰაზმაშას ვეორეჯერ ესროლა თოში

ერთ კაცს ტყაშმაფა შეხვედრია. ტყაშმაფას ლაპარაკი დაუწყია. როცა საშველი არ მიუცია, ამ კაცს თოფი უსვრია. ტყაშმაფას კივი-
ლი დაუწყია და მონადირე კაცს შეხვეწნია: „კიდვე მესროლე, კიდვე
მესროლეო.“ მონადირეს კიდვე უსვრია. ტყაშმაფას კივილი მიუტო-
ვებია და კარგად გამხდარა. თურმე, ერთი ტყვიის შემდეგ, რამ-
დენსაც დაუმატებ, უფრო უკეთესად ხდება, ამიტომ ერთი ტყვიის
მეტი არ უნდა ესროლოს კაცმა ტყაშმაფას. ტყაშმაფას გული მოს-
ვლია, ამ კაცისთვის თმა შემოუხვევია ყელზე და დაუხრჩია. დამ-
ხრჩვალი კაცი სახლში მიუტანია და კარებთან დაუჯდია.

148. ტჰაზმაშას ჭაღლების ეპიზი

ტყაშმაფა მეც მინახავს, თეთრიადაა მორთული, ციცინათელა-
სავითაა, დასრიალებს. მე როცა ვნახე, ჭენჭურობზე მიდი-
ოდა. წყალი უყვარს.

ტყაშმაფა კაცს ჭკუიდან შეშლის. ჩემი ბიძაშვილი ყავს შეშლი-
ლი. ტყეში მიდიოდა, თურმე. ტყაშმაფა დადევნებია და დაუძახია
სახელი, მას ხმა არ გაუცია. სახლამდე მოპყოლია. შეუშლია. ტყაშ-
მაფას შეშლილი კაცი უბედურია. მერე არავის უჯერებს. მხოლოდ
ტყაშმაფას ემორჩილება. ტყაშმაფამ უბედური წყველა იცის.

ჩემი ბიძაშვილი ტარიელივით კაცი იყო. დაწყევლა და დაღუპა
ამით. დაუწყევლია: კაცობა წაგრომეოდესო. მერე ცოლი არ შეურ-
თავს, ისე გარდაიცვალა.

ტყაშმაფასთან ჩემი ბიძაშვილი ყოველთვის იქით დადიოდა.
ზოგჯერ სახლშიაც მიაკითხავდა, ხოლმე, მაგრამ ტყაშმაფას ძალ-
ლების ეშინია. როგორც კი ძაღლის ყეფას გაიგებს, გაიქცევა. ტყაშ-
მაფა რომ მოვიდოდა, დაუძახებდა ჩემს ბიძაშვილს. ბკვრჯერ დაუ-

დარაჯდნენ, მაგრამ ვერ მოიხელთქ. იმის დაჭერა ხომ არ შეიძლება და არას გზით.

ტყაშმაფა სიკვდილამდე აწვალებდა ჩემს ბიძაშვილს.

149. ტქაშვაშა და აპვენტის უაველრა

სოფელ ოჩომურში ცხენით მივდიოდი. იმავე საღამოს უკან უნდა დავბრუნებულიყავ. იქითობისას გზაზე სკოლის ამხანაგი გოგოები შემხედნენ — მინდორზე ცხენებს მწყემსავდნენ. აქითობას გამოგივლით — მეთქი — დაუბარე. მათ შორის ერთი გოგო მომწოდა.

მე გვიანობამდე დავრჩი. აგვისტოს თვე იყო, მთვარიანი დამე. როცა უკან დავბრუნდი და იმ ადგილას მოვედი, საღაც გოგოები დავტოვე, იქ არავინ დამხვდა. მინდორის გვერდით ისლიანი ადგილი იყო. ისლიდან გამოვიდა თეთრად მორთული გოგო (მე ჩემი მოწონებული გოგო მეგონა), მაგრამ ცხენმა წრიალი დაიწყო, ფრუტუნებდა. წამოვიდა ეს გოგო, გვერდიდან შემომიარა, შესავით თვალი მომჭრა და ტყისკენ წავიდა. მე ცხენით გამოვევიდე. გოგო საშუალო ტანის იყო, თეთრი, სამი მაჯის სისხო თბა ფეხის კოჭებამდე წვდებოდა. გულში გავიფიქრე: ტყაშმაფა არ იყოს-მეთქი და შემეშინდა.

რომ გამოვბრუნდი, ისიც გამობრუნდა, დამიძახა: — აქვსენტი, აქვსენტი, დამიცადეო. ცხენმა იხუა. გამოვქანდით სახლისაკენ. უკან მომდვერა სოფლის შესასვლელამდე. ძაღლების ყეფა რომ გაიგო, გაიქცა.

მე სახლში მოვსულვარ, ჭიშკარი დაკეტილი ყოფილა. ცხენს დობე გაურდვევია და ეზოში შეუყვანივარ. მე არაფერი მახსოვდა. მიმხვდარან, რომ შეშინებული ვიყავი. გონს რომ მოვედი, მითხრეს: ვინმე თუ რამე გითხრას, ხმამაღლა არ გამოექასუხო ჯერჯერობითო. მე უველაფერი ვუამბე, რაც გადამხდა. ტყაშმაფა უფილაო — მითხრეს.

150. ტქაშვა და ონოპონი

ტყაშმაფა ცხოვრობდა უდრან ტყეში. დღისით ის უჩინარი იყო. მას სძულდა ადამიანის შვილი. საერთოდ, ადამიანებთან მტრულ

განწყობილებაში იყო და ყოველთვის ბოროტებას უკეთებდა. ღამით
ტყიდან გამოდიოდა, სახლის ახლო-მახლო ადგილებში დაბლორდ,
ადამიანი მას ვერ ხედავდა, რადგან ის უჩინარი იყო.

ოჩოკოჩის შეეძლო სახლში შემოსულიყო ღამე და ძილის დროს
ადამიანი დაეხრჩო. ბავშვები იმდენად შეშინებული ვიყავით, რომ
ღამე ცაცაცახებდით, გვიფრთხებოდა ძილი, რათა ძილში არ დავე-
ხრჩეთ ოჩოკოჩი. ღამე ბავშვებს გარეთ კი არა, თუ სანთელი არ ენ-
თო, ოთახიდან ოთახში გასვლისაც გვეშინოდა.

151. ტჰაშვაშას ზღვართლის ხე

ბაბუაჩემი თეიმურაზ კინწურაშვილი წასულა სანადიროდ ტყეში.
აქ უნახავს ერთი ძირი ზღმარტლის ხე, რომელსაც მრავალი ამონა-
ყარი პქონდა. ეთქვა: ამას ამოვთხრი და სახლის ეზოში დაერგავო.
ასეც გაჲყეთებია. მეორე დილით წყლის ჩასასხმელად (მოსარწყა-
ვად) მისულა, მაგრამ გასაკვირი რამ უნახავს. თურმე, ეს ხე ტყაშმა-
ფას ხე ყოფილა. ხეზე ნახა ტყაშმაფას შემონასკული წითელი „რი-
გა თმა“, ასე ადლნახვარი სიგრძის იქნებოდათ. საწყალ ბაბუას ერ-
თი სიკვდილი გაუთავებია. მართლაც, იმ წელს მოკვდა. ახლა, ეს
ზღმარტლის ხე 80 წლისაა და დგას დედაჩემის სახლის ეზოში
სოფ. შხეფში (სენაკის რ.).

152. ტჰაშვაშა სულ თათრია

ტყაშმაფა სულ თეთრია, გრძელთმიანი. იგი უფრო მეტად წმინ-
და (სუფთა) ბიჭს შეახვედრებს თავს, ქალთან ნამყოფი რომ არ
არის, ისეთს. გამოელაპარაკება ბიჭს და სთხოვს: ხუთ წელს ჩემთან
იცხოვრეო. ბიჭმა ხმა არ უნდა გასცეს, თორემ ავად გახდის, ჭეუი-
დან შეშლის. მთლად უარიც არ უნდა უთხრას. თითებით უნდა ანი-
შნოს თუ რამდენ წელს იცხოვრებს მასთან. დანიშნულ ადგილთან
უნდა მივიდეს ორივე.

ერთ ბიჭს სახლი ტყეში პქონია. დედასთან ერთად ცხოვრობდა
აქ. ერთხელ ტყაშმაფა შეხვედრია, მოსწონებია და ორი წლით ერთად
ცხოვრების პირობაზე შეთანხმებულან. საწოლად ამ ბიჭის სასი-
მინდის მოაჯირი აურჩევიათ. ბიჭი კედლისაკენ დაწოლილა. ორი-
92

ვეს ჩასძინებია. ტყაშმაფას თმა მიწაზე ჩამოშლილა. დილით ბიჭის დედა ამდგარა. სასიმინდისკენ წასულა, რათა იქ დაბმული ხაქორითია ნელი გაეშვა. დედას უნახავს ყოველივე ეს. უთქმელად შესულა ბაკში, ძროხა მოუწველია, ამ რძით გაუბანია ტყაშმაფას მიწაზე ჩამოშლილი თმა და ისევ თავთან დაუდვია. დედა სახლში შესულა. ორივეს გაღვიძებია. ტყაშმაფა წასულა. ბიჭი დედასთან მოსულა და უთქვია: ორი წელი უნდა მცხოვრა მასთან, მაგრამ ნახვარი წელი მომაკლო და აწი წელიწადნახვარი უნდა ვიყოთ ერთადო. ასე მითხრაო: დედაშენის მაღლობელი ვარ, რძით რომ თმა დამიბანაო. ეს ამბავი დედაჩემისთვის უთქვია იმ ბიჭის დედას და დედაჩემა კი მე მითხრა.

153. შილუ გულუა და ტჰაშაშა

ტყაშმაფასგან ნეკნებჩამტვრეული ფილუ გულუა როცა მორჩენილა, ამხანგებისთვის უამბნია თავისი თავგადასავალი: ჯასიანე ჰარაცხელია ამ ამბავს ასე გადმოგცემს: — უცოლო კაცი ვიყავი, სიმინდის ყანას ვამუშავებდი აფხაზეთში ამხანაგებთან ერთადო. ერთხელ ღამით, მინდვრად, ხის ქვეშ გვეძინა. შუაღამეს ჩემთან მოვიდა მშვენიერი ქალი და ტყეში წამიუვანა. იქ დიღად ვისიამოვნეთ და მეორე დღეს ყოველივე ეს ამხანაგებს ვუამბე, როგორც სიზმარი. მეორე დღეს ისევ მოვიდა ეს ქალი და საიდუმლოდ წამიუვანა ტყეში. ვიცხოვრეთ ერთად. მერე მითხრა, ეს ამბავი არავის არ უთხრაო. ფილუს პირობა მიუცია, რომ 10 წელს იცხოვრებდა მასთან. ხუთი წლის გასვლის შემდეგ, ფილუს ცოლი მოუკვანია. ამაზე განაწყენებულამ ტყაშმაფამ რამდენიმეჯერ გალახა ფილუ. იმ საღამოსაც ტყაშმაფამ გალახა თურმე.

ცოლი რომ მოვიუვანე, მეორე ღამესვე წამომაყენაო ლოგინიდან, მინდორზე გამიუვანა და მკლავზე ხელი რომ მომიჭირა, კინაღამ მომტეხაო.

ერთხელ, ვანო კვარაცხელიას სახლის ახლო ტყეში მივდიოდი ცხენით. შემომხვდა ეს ტყაშმაფა, მითხრა: თეთრ მთაზე (ჩეგოლაში) ვიყავი და შენს გასაღახად ჩამოვედიო. ეხლაც გაულახია ფილუ ტყაშმაფას.

ერთხელ ფილუ და თვით კასიანე კვარაცხელია ნოტაზე (დამით სათვეზაოდ) წასულან. სასროლი ბადე და ჭვირთები წაუღიათ (მეორე დღეს ბაიობა ყოფილა). ბევრი თვეზი დაჲშეერიათ. უკან დაბრუნებულებს ხილზე უნდა გაევლოთ. ხილის თავთან დაუნახავთ თეთრად გამოწყობილი ქალი, რომელსაც მხოლოდ ცხევირი უჩანდა, თურმე. სახლში მისულ ფილუს კასიანესთვის უთქვამს: „ის იყო, ის ურჯულო, სულწაწყმედილი, ტყაშმაფა, მთელი დამე მდინარის პირას შორიშორ დაგვდევდა — დატანტალებდაო“. ფილუმ ვერ გაუძლო თურმე ამდენ ცემას და მოკვდა. მისი რძალი დღესაც იტყვის: „იმ სულჩაბაღლებულმა მოკლაო, ჩემი მამა.“

ჩამწერის შეკითხვაზე — „მართალია კველაფერი ესო“? მთქმელს კასიანე კვარაცხელიას უთქვამს: „ილორში დავიფიცავ შვილსა და შვილიშვილს, რომ კველაფერი ეს მართალიაო.“

154. ტჰაშვაშა და ნამორევაის დამურავალი გლეხი

პლატონ ჩალიგავას ნამორების დასაცურებლად ბიჭები ჰყავდა წაყვანილი. ივნისის თვე იყო. ბიჭები ტყეში გაუშვა. უკან დაბრუნებულები დათვალი და ერთი დაკვლდა. დაკარგულს ძებნა დაუწყეს, მაგრამ ვერსად იპოვეს. სამი დღის ძებნის შემდეგ, თვით დაკარგული კაცი გამოჩნდა. ნახშირივით გაშავებული იყო. სახელი რომ დაუძახეს, ხელებით ანიშნა, რომ არაფერი მკითხოთო. თავის წილი საგზალი აიღო და ხაიშში წავიდა. პლატონი გამოეკიდა, დაეწია გზაზე, ცხენზე შეისვა და შეეხვეწა ეთქვა თუ რა გადახდა თავს, მაგრამ მაინც არ უთხრა. მიიყვანა სახლში და იქ დატოვა. პლატონი სამუშაოზე წავიდა. ერთ დღეს ცხენს ეძებდა, მდინარის (დელეს) გაყოლებაზე 3-4 კილომეტრი იარა. აქ ნახა იმ ბიჭის მიერ დატვებული ჯოხი, რომელზედაც ეწერა: შშვიდობით, მე მივდივარ დაუბრუნებელ გზაზეო. მიიტანა ეს ჯოხი იმ ბიჭთან და აჩვენა. ბიჭმა უთხრა: — ხო, მე დავწერე ჯოხზე და დავაგდეო. ტყაშმაფებმა მომიტაცეს, პაერში დამაფრენდნენ, მერე მიმიყვანეს ისეთ გამოქვაბულში წყლის მეტი რომ არაფერი იყოვო. ერთმა ქალმა მასთან კავშირის დაჭერა. მთხოვა, მე უარი უთხარი, ზურგზე ფრჩხილებით დამკაწრა, სულ დასერილი მაქვსო. მესამე დღეს გამოვიქეცი იქიდან.

ეს ქალი შეთუნახავი იყო, წითელი თმები და თეთრი სახე ჰქონდა. ტყის მეფე იყო, ალბათო.

აგვისტოს თვეში ყოველ დამეს ტყიდან კივილი მესმოდა. რაშია
საქმე, ვინ კივის-მეთქი? თურმე ტყის ქალი კივის, ოჩოკოჩის დაუცვა
ჰერია. წელიწადში ერთხელ აგვისტოს თვეში ხდება ეს ძმაშვილობა.

155. მონაღირა ზიცხოლა და ოჩოკოჩი

ძველად იტყოდნენ, ოჩოკოჩი ტყეში ცხოვრობდათ. ასეთ ოჩოკო-
ჩთან, თურმე, შეხვედრა პქონია ფიცხოლა ღურწკაიას. ეს ფიცხო-
ლა ნადირობის დიდი მოყვარული კაცი ყოფილა.

ერთ დღეს ფიცხოლა წასულა სანადიროდ მთაში. იმ დღეს უკან
არ დაბრუნებულა. სადაც დაუდაბდა, იქ დაუნთია ცეცხლი, ჩამომ-
ჯდარა ცეცხლთან და თავის შესაქცევად ჯოხის თლა დაუწყია.

გაიხედა ფიცხოლამ და ნახა, რომ ცეცხლთან ახლოს მოვიდა
კაცის სახის ქუჩა დიდი ცხოველი, რომელსაც გრძელი თმა და
წვერი ესხა. ტანხე არაფერი ემოხა. უეხის ქუსლი წინ პქონდა და
თითები უკან. მოსულა და დამჯდარა ცეცხლის მეორე შხარეს და
ფიცხოლას გამოჯავრება უცდია. ფიცხოლამ ნახა კველაფერი ეს,
ვითომ, აქ არაფერიათ, ყურადღება არ მიაქცია. მას გაგებული პქონ-
და, რომ ოჩოკოჩი შეეცდება გამოჯავროს კაცი, მოაყვანიოს გული,
ათემვეინოს რაიმე და ჭეშურიან შემაღოს.

ფიცხოლას რომ ყურადღება არ მიუქცევია, უფრო ახლო მისულა
ფიცხოლასთან და მასაც დაუწყია ჯოხის თლა ჯოხით (დასაცი-
ნად). ფიცხოლას მაინც არაფერი უთქვია. ფიცხოლამ განგებ ხელი
ცეცხლს მიუფიცხა, ოჩოკოჩიმაც გააკეთა ასე. ფიცხოლა უფრო ახლო
მიუჯდა ცეცხლს და ზურგით შემოტრიალდა. ოჩოკოჩიც ახლოს
მიჩოჩდა ცეცხლთან და ისიც შემოტრიალდა ზურგით ცეცხლის-
კენ. ოჩოკოჩის გრძელი თმა პქონდა და ცეცხლი წაეკიდა. ოჩოკოჩმა
იგრძნო ცეცხლი, წამოხტა და ფიცხოლას უთხრა: რომ მაჯობე
ვხედავ და ღმერთმა გაგიმარჯვოთ. ოჩოკოჩი გაიქცა.

ასე გადაურჩენია თავი ფიცხოლას ოჩოკოჩის ძალადობისაგან.

156. ოჩოკოჩის ხდა მამანას აზანზარებს

ოჩოკოჩის მაგარი (ჯაგრისნაირი) თმა ასხია და საშინელი შესა-
ხედავია. არის ქალი ოჩოკოჩი და კაცი ოჩოკოჩი. ამათ, როგორც
ტყაშმაფასა და წყარიშმაფას, პასუხი არ უნდა გასცე.

ერთი სროლის შემდეგ (ერთი ტყვიის შემდეგ) თუ ასჯერ არ ვა-
როლე (ასი ტყვია არ დაუმატე), ოჩოკონი კარგად ხდება (პირველი
ნატყვიარი უძრთელდება). ამიტომაა, რომ ერთი სროლის შემდევშეს
ოჩოკონი ძახილს იწყებს: „დამიმატე,“ „კიდევ მესროლეო.“ არა-
ურით არ უნდა დაამატო, თორემ შემდეგ ასე გასროლის მეტი არა-
ური შველის.

ოჩოკონი კი არ კლავს კაცს, მარტო წყველის. მას ძლიერი (მა-
გარი) ხმა აქვს. მისი ერთი დაძახება — „ფოოო!!“ მთელ ქვეყანას
აზანზარებს. მას მკერდზე ნაჯახის მსგავსი რქა აქვს გამოსული.
მიღის კაცთან და მის დაუკითხავად საჭმელს ჭამს.

157. ოჩოკონი მოვალეობის, ცაცხლის თავაბა

ერთხელ ძროხებს ვმწყემსავდი. დამით ჩემი ამხანაგები დაკარ-
გული ძროხის საძებნელად წავიდნენ და მარტო დავრჩი „კარეში“
(კარავში).

უცბათ რაღაცნაირი — „ვოოს“ ძახილი მომესმა. მივხვდი ოჩო-
კონი რომ იყო. შევშინდი და კუთხეში ძროხებთან დავიმალე. კარი
გაიღო და ოჩოკონი შემოვიდა. საჭმელი შევამა და წავიდა. ცოტა
ხნის შემდევ ვიღაცამ დამიძახა: „ცუცხლი გინთიაო!“ და ოჩოკონი
შემოვიდა. ისიც მიუჯდა ცუცხლს. გაითბო ტანი და წავიდა.

158. ოჩოკონის შერისძიება

სოფ. ბალდაში მცხოვრები ვატა ბეალავასაგან გამიგია, რომ
მას ერთხელ, როცა წიფერის (მთის სახელია) ყანიდან ჩაღა მოპ-
ქონდა, გზაზე ოჩოკონი შეხვედრია, დაუწყია წვალება: „ვატა, ვა-
ტაო“. ვატა შეძლებული ვაჟეაცი ყოფილა, დაუჭერია ეს ოჩოკონი
და სასტიკად გაულახია.

კარგა ხნის შემდევ ვატა ისევ წასულა ჩალის ჩამოსატანად. და-
ღლილს, ერთ ადგილას დაუსვერია. აქ მოვარდნილა ერთი ოჩოკონი
და შებრძოლებია: — რად გამიღახე ჩემი ცოლიო. მე გადაგიხდი
სამაგიეროსო და სასიკვდილოდ გაულახია ვატა. ნაცემი ვატა სა-
ხლში მოუყვანიათ. მის შემდეგ ვატა ლოგინიდან აღარ ამდგარა და
მომკვდარა.

ნები ბაბუას მმა აბრავი ყოფილია, ცხენებს იპარავდა. იმერეთ-
ში მოპარული ცხენები სააფხაზოში გადაპყავდა.

იმერეთში მოუპარია ეტლში შესაბმელი ცხენები. თვითონ ჯორზე მჯდარა. მოპარული ცხენები ტკე-ტკე მოძყავდა. გზაზე თხაც მოუპარია. გაუტკავებია, ტყის პირზე დაუნთია ცეცხლი და შესდგომია თხის შეწვას. ტყიდან რაღაცა გამოხომშომდა. მოსულა ბაღნიანი კაცი. მკერძო საფეხულის მსგავსი რქები პქონია. ცეცხლთან დამჯდარა და თხის რომელი ნაწილიც შეიწვებოდა, ააგლვდა და ჭამდა თურმე. ქურდი შეშინებულა.

— ანდრია, გამაძლეო?!

— უთქვია, მაგრამ ანდრიას თავი მოუმ-
ძინარებია და ხმა არ გაუცია. ანდრიას ხვრინვა დაუწყია. იმასაც
დაუძინია. ანდრია ამდგარა, იქ რომ ჯირკო იღვა, იმაზე ნაბადი
გადაუფარებია, კითომ იქ ძინავს. თვითონ დამალულა. გაღვიძებია
ოჩოკოჩის, ამდგარა და ნაბადს საფეხლიანი მკერდით დაცხრომია.
ანდრიას დამბაჩა უსვრია. ოჩოკოჩის ღრიალით ქვეყანა დაუქცევია.
რაც შემონვდებოდა წინ, კველაფერს ამტკრვდა. ყვირილით გარ-
ბოდა.

ანდრიას თავისი ცხენები წამოუყვანია და სააფხაზოში წასულა.

160. ՇԵՐԱՎԹԻ ՀԵՅՏԱԳ ԱՅՑԻ

მე არ მინახავს, მაგრამ ბევრჯერ გამიგია: ოჩოკოჩი კაცისნაირია. დაბლავისო, მთიან და ტყიან ადგილებში ცხოვრობსო. კაცს არ ერჩისო, მაგრამ თუ გააჯავრა, მაშინ შეუძრძოლებაო.

ოჩოვნი ახმახიაო, იტყოდნენ, ფეხში მველა დადის და ეშვები აქვსო. მკერდზე საფეოელის მსგავსი რქები აქვს წამოზრდილიო. როცა დადის კვირის და მიხარხარებს. სადაც კაცი ცხოვრობს, იმ ადგილებში არ დადის. უმეტესად მონადირეები და მკონგები ხვდებიან მას.

161. ԾԵՐԱՎԻՋՈ ԷՅ ՑԵՐԵՅՆ

ჩემს სახლში ერთხელ მუშაობდა მარტვილის რაიონიდან მო-
სული კაცი გრიშა ჯგურენაია. მან ასეთი ამბავი მოყვა: თურმე, გრი-
შას მეზობელი, ღამით, მდინარეზე დაგებულ ფაცერს დარაჯობ-
7. ა. ცანავა

და. ცეცხლი ენთო და ღამეს ათევდა, ეშინოდა, თევზი არავინ მომ-პაროსო. მდინარიდან მოქსმა საშინელი ხმაური და წყლის დგაფუნი. წყლის შეკედი შორს იფანტებოდნენ. კაცმა ნახა, რომ აუარებელი თევზი დაცვენილა ფაცერზე. დაჭერილი თევზები ცეცხლის პირას დაუყრია. დიდი ხნის შემდეგ, თურმე, ამ კაცთან მოსულა ოჩოკოჩი: კაცის ფორმის, დაბალი ტანის, სქელი, ჩაფავნილი, ტანი ბალნით პქონდა დაფარული.

ოჩოკოჩის უთქვამს ამ კაცისთვის: — ეს თევზი ნახევარი ჩემიაო. მეც ბვერი ვიშრომე, დარანებიდან გამოვდენე ისინი ხელებით, ფეხებითა და ჯოხითათ. ამდენი თევზი ოდესმე თუ დაგიჭერიაო შენი ფაცერით? შენც ხომ გეხმოდა ჩემი ხმაურიო. კაცმა არაფერი უპასუხა. ხაერთოდ, ოჩოკოჩთან საუბარი არ შეიძლება. მერე ოჩოკოჩის თვითონ გაუყვია შეაზე ეს თევზი. თავის წილიდან ცეცხლზე შეუწვია სამყოფი თევზი და შეუჭამია. მერე დარჩენილი თევზი თან წაულია და წასულა.

162. ოჩოკოჩის აპიარ

ოჩოკოჩის შიშით ბავშვებს გარეთ არ უშვებდნენ. მეც მინახია, ცეცხლივით მიგიზებიზებდა (მიერუჟელუდუ). ბიძაჩემს გულადი ბიჭები პყავდა, მათ თქვეს: მოდი, ოჩოკოჩის დავხვდეთ და დავიჭიროთო. წავიდნენ (მე მაშინ ბავშვი ვიყავი), წისქვილის იქით გადასულან და მართლაც უნახიათ „ოჩოკოჩი“. შეუპყვრიათ და აგმოჩენილა ნიკო კვარაცხელია. თურმე, განგებ გამოუწყვიათ ოჩოკოჩის მსგავსად, საქონელსა და თხებს იპარავდნენ და ქურდების დაშინება სდომებიათ.⁸

* სოფელ ნახუარში (მარტვილის ჩ.) ამ 30 წლის წინათ ასეთი ამბავი მოხდა: კოლმეურნეობის თავჯდომარებ დ. კობახიძემ შეიტყო, რომ ლაკადზე გაშენებულ საკოლმეურნეო აღესის კურძებს დამით ვიღაცევები იპარავდნენ. თავმჯდომარებ კოფილ აბრაგს (მ. მ-ს) სთხოვა, ღამით, ხავენაზე აღგიღებში ზეწარ შემოხეველს ვალი. ქურდებს როცა უნახავთ ასეთი არხება, უთქვაიათ: „ტვაშმაცა არისო“ და გაქცეულან. სოფელში გაერცელებულა ხმა, რომ ლაკადის ვენახებში ტყაშმაცა ბუღობს. რთვვლის დამთავრების შემდეგ ეს „ხაიღუმლო“ თვით თავმჯდომარემ გაამდავნა.



შხაკვრები ჩვენებური ხალხია, ოღონდ, კუდიანები არიან. და და და და არც დამე არ ძინავთ. კაცის გულს ჭამენ, კაცს საქმეზ უფრ ჭებენ. კაცები რომ შხაკვრებია, მათი ბრალი არ არის. ღმერთმა ასე გააჩინათ და რა ქნან.

შხაკვრებს კველაზე მეტი საქმე ჭეჭეთობა ღამეს აქვთ. ჭეჭეთობა აგვისტოს თვეშია. იმ საღამოს კველა ცეცხლს დაანთებს და ზედ გადაახტება. ე. ი. შხაკვრებს წვავენ. იმ საღამოს შხაკვრები მგლებზე ზიან. ჯაშქვიდუში⁹ ლაგამი აქვთ ამოდებული. ამოსაკრავიც ჯაშქვიდუსა აქვთ, დაშლიგინობენ. იკრიბებიან ტაბაკონაზე.¹⁰ აქ ინაწილებენ საქმეს — ვინ საღ წავიდეს და რა გააკეთოს. ჭეჭეთობა ღამეს დილამდე დარბიან და დათარეშობენ.

თუ იარაღიანი კაცი შეხვდა მგელზე მჯდომ შხაკვარს, ამ კაცს შეუძლია შეაშინოს შხაკვარი, ჯვარი გადააწერინოს, რათა მასა და მის ნათესავებს არასოდეს ავნოს, არ გათვალოს. შხაკვარი ამაზე დათანხმდება, რადგან ეშინია არ გათქვას მხახველმა, რომ ის შხაკვარია და მგელზე ზის.

კველა სახის ცოდვას შხაკვრები ჩადიან. ბავშვებს ჭამენ... ტიტ-ლიკანა ბავშვს დილით, უზმოზე შხაკვრის თვალი არ უნდა მოხვდეს, თორემ მუდამ ცუდათ იქნება, უჭმელი გამოვა, გულისრვა დაეწყება.

როცა გზაზე მიდიხარ, შხაკვარი ან არამი კაცი თუ შეგხვდა, უნდა დაბრუნდე... კატაც შხაკვარია. როცა ნახავ, რომ შენს წინ ცუდი თვალის კაცი მოდის და შენ საშუალება არა გაქვს ჟან დაბრუნდე, მაშინ ქვა უნდა აიღო და ის აჩვენო. ქვა მძიმეა, ის შხაკვრის თვალს მოჭრის (გათვალის აქტს შეასუსტებას). საერთოდ, კაცს ავგაროზი უნდა კიდოს. ავგაროზში შხაკვრის თვალი ვერ შეაღწევს. ღმერთს ასე დაუწესებია.

⁹ „ჯაშქვიდუში ლაგამი“ — ჯაშქვიდუ — ხეა კრთვარი, რომლის ქრექისგან ამხალებენ შვალდის მოსაზიდ წვრილ თოკს.

¹⁰ ტაბაკონა — მთა მარტვილის რაიონში, რომლის ღრმულში მარად ბებური ბორიტი არსება, შხაკვართა მეთაური როკაპია დავანებული. როკაპი სკარეს ტიპოლოგიური სახესხვაობაა, ჭეჭეთობა ღამეს ტაბაკონაზე იმართებოდა შხაკვართა შეკრება, სერობა.



ჭიჭითობა ღამეს, 20 აგვისტოს (ძველი სტილით) მრინდოსნისუ-დავანთებდით ღიდ ცეცხლს. მთელი სოფელი აქ იკრიბებოდა! იქ ცეცხა-სიმღერა, სხვადასხვანაირი შაირებისა და გამოცანების თქმა. ცეცხლს გათენებამდე ვანთებდით, ღილით ჩვენს-ჩვენს სახლებში მივდიოდით.

ჭიჭითობა ღამეს, გაღმოცემით, შხაკვრები სახრავენ (ამიზეზე-ბენ) ყველაფერს. ოჯახის უფროსი ქალი ყველას თავზე (თმაზე) თა-ფლის სანთელს დაგვაწებებდა. სანთელს ყველგან აკრავდნენ (სა-ხლს, სასიმინდეს, მარანს, სკების სამყოფ ადგილს). მინდორზე იყლის ჯვარს დაასობდნენ. გარეთ არაფერს დატოვებენ, ეშმაკმა არ გათვალისო. მარტო ნაჯახსა და წალდს ტოვებენ შესასვლელ კარებთან, ეშმაკების დასაფრთხობად. ლელვის ხეზე ქვებს ჩამოდე-ბდნენ.

ამბობენ: ჭიჭითობა ღამეს ზოგიერთი შხაკვარი კაცი და ქალი კატად გადაიქცვა და ისე შედის სხვის სახლშით. იმ კატას ტუჩი უნდა შეუტრუსო. მეორე დღეს შხაკვარ ქალს ან კაცს (რომელსაც ხალხი შხაკვრად თვლის) პირი ექნება შეტრუსული.

165. მხაკვარი (გაზავალი) და წითელი ტამალის ხის თაგიე

შხაკვარი კაციც შეიძლება იყოს და ქალიც. მათ თვალი უჭრით. ხარები არიან. მიდის, თურმე, ერთი შხაკვარი კაცი და ნახა, რომ ვიღაცა ყანას ხნავს და ულამაზესი, თვალის უნახავი ხარები პყავს უღელში შებმული. ოხ, ოხ, ამ ძმა მკვდარს რა კარგი ხარები შეუბა-მსო, თქვა შხაკვარმა, მაგრამ ხარებს არაფერი უგრძენიათ (მოს-ვლიათ). ჰაირ! ამ დედამცვდარს, ალბათ, უღელში ან ზღმარტლის ან წითელი ტყემლის ხის ტაბიკები აქვს გაყრილით. ზღმარტლის ან წითელი ტყემლის ხის ტაბიკი თვალს ჭრიდა შხაკვარს და ძალას კარგავდა.

166. მხაკვარი ჰალი უავ ჰათად იმცეოდა

შხაკვარი ქალი ღამით შავ კატად იქცეოდა. შეიძარებოდა იმ ოჯახში, ვისი გათვალვაც უნდოდა, ტანსაცმელებს მოაჭრიდა ნა-
100

წილებს და გათვალაცდა, (სახრავდა), იყო შემთხვევა, ოჯახში შემოპარული შავი კატა ცხელი შამფურით რომ დაუდალავთ. შეორე დღეს აკვირდებოდნენ: — ვის ოჯახშია ავადმყოფი ქალით. შემცვრების დღე 20 ივლისი და 15 აგვისტო. მარიამის ხსნების (მარაშონას) წინა დამეს იცოდნენ „ჭეჭეთობა“ („ჭეჭეთობა ხერი“ — „ჭეჭეთობის დამე“). თაფლის სანთელს მიაკრავენ ოჯახის უველაწევრს თმაზე. სახლსაც მიაკრავენ სანთლის ჯვარს. ნათეს ყანებშიაც ასობდნენ ურთხმელის ან იელის ხის ჯვრებს. იმ დამეს არ დაიძინებდნენ, შხაკვარი არ შემოგვეპაროსო. თავის ნაბან წყალს გარედ არ დაღვრიდნენ, თმა არ გაჰყვეს და შხაკვარმა არ წაიღოსო.

167. „ნამდვილი“ აშავავი შხაკვარ მარა

მე მყავდა უმცროსი ძმა, სახელად ანტონი. იგი 15-16 წლისა იყო, რომ, ჯერ ციებით და მერე ნერვიული ავადმყოფობით, დაავალდა. ექიმებმა ვერაფერი უშველეს. გავიგეთ, რომ სადგურ ნიგოვთში ჩამოვიდა ექიმი კალანდარიშვილი, რომელიც გიპნოზით მეურნალობსო ავადმყოფებს. დედაჩემბა ჩემი ძმა იქ წაიკვანა. ექიმს ვენიდან სისხლი გამოუღია, მერე გიპნოზიც გაუკეთებია. იმ დროს, იმ ექიმთან, ჩემს ძმაზე უწინ, კრთი ქალი მისულა. ექიმს სკამზე დაუჯენია და უთქვია: — თვალებში მიყურეო. შეხედა თურმე ამ ქალმა და ექიმისთვის თვითონ მოუჭრია თვალი. — ოხ, ეს შხაკვარი ყოფილაო, გამშორდი ქალოვო! — უკვირია ექიმს.

168. როკაპი

შხაკვარებს თავისი უფროსი ჰყავთ, რომელიც მათ ხელმძღვანელობს, აძლევს სათანადო დარიგებას, აწინაურებს ღირსეულებს, ამდაბლებს ჩამორჩენილთა და უდირსთა. ამ უფროსისათვის როკაპი უქვიათ. მისი რეზიდენციაა ტაბაკონას მთაზე, აღმოსავლეთ სამეგრელოში, სენაკის მახრაში. როკაპი იმ დროიდანვე, რა დროიდანაც დედა-მიწაზე გაჩნდნენ შხაკვრები. როკაპი წარმოდგენილია სახისარ, ბებერ დედაკაცის სახით. გრძელ და შავებილებიან ჩამოფეხებულ თითებზე გრძელი ფრჩხილები უფრო აუშნოვებს, უფრო საზარლადა ხდის, როკაპი ერთთავად ზის ერთ აღგილას, უძრავად, გარშემო ახევეია შსახური, რომელნიც მოახსენებენ ყოველსავე, რაც ტაბაკონას გადადმა ხდება, მოახსენებენ — მისი ხელქვეითი შხაკვალები ვინ რას აკეთებს.

წელიწადში ერთხელ შხაკვრები სამეგრელოს ყველა კუთხიდან ტაბაკონაზე მიღიან და როკაპს თავიანთი მოქმედების ანგარიშს აძლევენ. ამ დღეს ჭეშეთობა ანუ შხაკვრების დღესასწაული ჟეკით და ემთხვევა ილიაობის (ივლისის 20) წინაღამეს, ხოლო სამეგრელოს ზოგიერთ სოფელში — მარიამიანის (აგვისტოს 15) წინაღამეს.

ამ დღეს, დაბინდებიდანვე, მთელს სოფელში არაჩეულებრივი ფაცაუცია. ყველამ იცის, რომ ამ დამეს შხაკვრები ტაბაკონაზე უნდა წავიდნენ როკაპთან ძღვენის მისართმევად. ვინც ამ დამემდევერ მოასწორ ადამიანისათვის ევნო რამე, ამ დამეს მაინც ყოველი ღონე უნდა იღონოს, თავის უფროსს ხელცარიელი არ წარუდგეს და მისი რისხვა და წყრობა არ დაიმსახუროს. იმართება ბრძოლა და ჭიდილი შხაკვრებსა და მოსახლეობას შორის. სოფლელი, თავის მხრივ ცდილობენ ამ ბრძოლიდან უნებელი გამოვიდნენ. ეხსოსა და ყანებში, თვალსაჩინო ადგილას, მიწაში ჩარჭობილია სარი, რომ ელ საც თავზე გაკეთებული აქვს ჯვარი და ზედ ჩამოც მულია ეკლის გვირგვინი. როცა შხაკვრის ავი თვალები ამ სარს მოხვდება, ყოველივე ძალებლური ძალა ეკარგის. ოჯახის წევრებს თმებზე მიაკრავენ პატარ-პატარა ნატებს ცვილისას, კარების თავებზე ნახშირით ჯვარის სახეს გამოიყვანენ. ამ დამეს არ უნდა დაიმინონ, რომ შხაკვრმა ძლიერად ვერა აეხოს რა. სოფლელი სასოფლო მოედანზე მოიყრიან თავს, გაისმის სიმდერა, გაიმართება ცვევა, ჩონგურზე დაკვრა. შეა მოედანზე დაანთებენ დიდ კოცონს და ყოველი მოსულთაგანი ზედ უნდა გადახტეს: ცეცხლის ყველაფრის გამანადგურებელი ძალა სპობს შხაკვრებს და არაწმინდებს, რომლებიც შეიძლება იდუმალად მიასხდნენ ამა თუ იმ ადამიანს ტანზე. ამავე დროს სცლიან თოვებს, დამბაჩებს, რითაც თავზარსა სცემენ შხაკვრებს, ზოგნიც ცვირიან: „შორს ჩემგან, შხაკვარო, შორს! შენი სვი და შენი სჭამე, ჩამსას ჯვარი დამიწერე!“

შხაკვრები კატის სახის დაძრწიან მთელს სოფელში და ვაი იმას, ვინც არ გაფრთხილდა და ერთ-ერთი ჩამოთვლილი საშუალებათაგანი არ იხმარა შხაკვრის საწინააღმდევებოდ. შხაკვარი დაძინებულს მიეპარება და ზოგს ფრჩხილის სიფართედ თმას ამოაჭრის თავზე, ზოგს ამნაირადვე ამოაჭრის ტანისამოსზე: ეს არი ჩენი აბა ანუ სამოწმებელი იმისა, რომ შხაკვარი ამა თუ იმ სახლს ეწვია და იქიდან ხელცარიელი არ გამოსულა: ტანისამოსის პატარა ნაჭერ-



თან ან თმის კოშთან ერთად მოაქვს გულის ნაწილი იმისა, გისაზრული ეს ჩიბი ეკუთხნოდა.

შეაღმისას შხაკვრები სამეცნიელოს კველა მხრიდან ბაწარალებით გაემართებიან საპატიო გზით ტაბაკონასაკენ. ზოგი მათგანი ცოცხებზე არიან შემსხვევი, ისე მიფრინავენ, ზოგი საწინახელებში სხვდან და ასეთ თავისებურ მატარებლებით მიექანებიან თავის უფროსთან. თვითონ ტაბაკონზე დანთებულია დიდი კოცონი, ზედ დაკიდებულია უზარმაზარი ქვაბი წყლით სავსე, რომელშიაც უნდა მოიხარშოს კველა გული ადამიანთა, რომლებიც შხაკვრებმა წლის განმავლობაში მოაგროვეს. მოშორებით ტახტზე ზის როკაპი და მომ-სვლელთ ელოდება.

ბოლოს კველანი მოვიდნენ. სცენაზე გამოდის როკაპის ერთი „მინისტრთაგანი“, რომელთანაც რიგ-რიგად მიდიან მოსული შხაკვრები ძლვენების მისართმევად. კოველ მირთმევაზე მინისტრი ქვით უკაუნებს როკაპის გარეთ გამოშვერილ კბილზე. ისმის ჩახრენწილი, ძლივას გასაგონი კითხვა როკაპისა: „ვინ მოვიდა?“ პასუხად ასახელებენ მოსულ შხაკვარს და ჩამოთვლიან მის დამსახურებას. იმისდა მიხედვით, თუ რამდენი და რა თვისების სიავე ჩაუდენია შხაკვარს, როკაპი აქებს და აღიდებს ძლვენის მომტანს. როკაპის გული მით უფრო სძგერს სიხარულით, რაც უფრო მეტი გულქვაობა გამოიჩინეს მისმა ხელქვეითებმა ადამიანთა მიმართ... გაიხედავ, წარუდგა შხაკვარი, რომელმაც არ შეიძრალა თავისი ხაკუთარი ძუძუთა ბავშვი, ამოკგლიჯა მისი პაწაწუნა ნაზი გული და როკაპს უქებთან დაუდო; მეორე შხაკვარს არ დაპინძებია თავისი ახლად ჯვარდაწერილი ქმარი, რომ დაემსახურებია იმავე როკაპის ყურადღება... მაგრამ კველას კი არ ეღირსება ყურადღება და მადლობა როკაპისა. ისეთი შხაკვრებიც გამოერვეა, რომელთაც მთელი წლის განმავლობაში ერთი ბეწო რისამე გაკეთებაც კი ვერ მოასწრეს. ასეთებს ხაშინელი საყვედლურით აავსებენ.

როცა კველას იხახულებს და მოუსმენს როკაპი, გაიმართება ნადიმი, თვით როკაპის თავმჯდომარეობით. სუფრაზე ღვინის მაგივრად მიერთმევათ ადამიანის სისხლი, ხორცის მაგივრად — ადამიანის გულის მწვადები. ხვამენ როკაპის სადღეგრძელოს, შხაკვრობის სამეფოს წარმატებისათვის. მღერიან, ცეკვავენ... აღმოსავლეთიდან განთიადის მოახლოებამ შხაკვრებს მოაგონა, რომ დრო მოვიდა დავბრუნდეთ შინ, მიწაზეო... ისვე რიგ-რიგად წარუდგებიან

როგაპს. გამოსამშეიდობებლად, მოასხდებიან ცოცხებსა და საწნახელებს და თვალის დახამხამებაში შინ განხდებიან. პირებითი თუ კარგი გამოსამხამება არ არის.

169. რჟღის დაღი

სახელგანთქმული მონადირე და მეთვაზე კუტილია კვარაცხელია ერთხელ დამით სათევზაოდ წასულა მდინარე კოდორზე. მდინარე ში უნახავს შიშველი ქალი, რომელსაც გრძელი ძუძუები ჰქონდა, თურმე. ძუძუები მხარზე გადმოვდო. შეტოტებია კუტილიას. კუტილიას იმდენი მოუხერხებია, რომ ნაპირზე გამოუყვანია, აქ კი მას ძალა დაკარგვია. ასე გაუსხლტა კუტილია კვარაცხელია წყლის დაღს, თორებ ის მდინარეში დაახრჩოდა.

170. რჟარიშვაშა

წყარიშმაფა ცხოვრობს ღელეში, ჭონჭყო ადგილებში, ტეხურ-ში ის არ ცხოვრობს. ნახევარი (ქვევითა ნაწილი) თევზის ფორმისაა, ნახევარი (ზევითა ნაწილი) ქალისა. წყარიშმაფამ თუ წინ გაგიარა და შენ მისი ნაკვალევი გადავეთ, უსათუოდ უქმური შეგვრება. ტყაშმაფა ქალია და ტყეში ცხოვრობს. წყარიშმაფა წყალში ცხოვრობს და უფრო თევზსა და ბაყაყს ჰგავს. ადამიანს ავადმყოფობას შეყრის ხოლმე.

171. რჟარიშვაშას სავარცხალი

წყარიშმაფა ყოველთვის წყალში ზის. ტყაშმაფასავით მასაც გრძელი თმები აქვს ფეხის ტერფამდე.

ერთი ბიჭი, თურმე, ცხენზე მჯდარა და ისეთ ადგილას მიღიოდა, გზად წყალში უნდა გავლო. როგორც კი წყალში შესულა, ამ ბიჭისთვის ვიღაცას სახელი დაუძინია. რომ მობრუნებულა, უნახავს: წყარიშმაფა თმას ივარცხნის, თურმე. ამ ბიჭს პირჯვარი დაუწერია და წყარიშმაფა დაკარგულა. მეორე დღეს ეს ბიჭი უკან დაბრუნებულა. იმ წყალთან, ქვის ქვეშ სავარცხელი უნახავს. სავარცხელი დაბრუნებულა.

ცხელი წყარიშმაფას პქონია შენახული. აიღო ეს სავარცხელი და სახლში წაიღო. შუა ღამეს ამ კაცის სახლთან ვიღდიცას ძახილი დაუწერა წყია. ამდგარა ეს კაცი და კარში გამოსულა. უნახავს ჩატმული წყარიშმაფას რიშმაფა. მას თავის სავარცხელი მოუთხოვია, მაგრამ ამ კაცს არ მიუცია. წყარიშმაფა სახლში შეუჭვანია. ერთად დაუწყიათ ცხოვრება. ყველაფური საქმე შეუსწავლია და შვილებიც გაუჩენია წყარიშმაფას. ამ კაცს უთქვია: რად გინდა ეს სავარცხელია და ცეცხლში ჩაუგდია (დაუწვავს). წყარიშმაფას კივილი დაუწყია. ბავშვები დაუხოცია და ეს კაციც დაუწერავლია: „არც ამოწვეტა და არც დარჩენა იყოს თქვენი გვარისო“.

172. იულის დედა აივილი გაურაის დაღვენაზე პლეას

იტყოდნენ: წყალში ცხოვრობს (ზის) წყლის დედაო. იგი წინათ უნახავთ საკუთარი თვალით.

ერთ ღამეს, ქურდი კაცი მიდიოდა გზაზე და ნაქურდალ საქონელს მოდენიდა. გზა წყლის პირას მიპყვებოდა. უცბათ საშინელი კივილი შემოესმა. იფიქრა, ალბათ ქალიშვილი მოიტაცა ვიღაცამ და ის ქალია, რომ კივისო (მიპყივისო). შეშინდა ქურდი და ტყის სიღრმეში შევიდა. ისვე გაისმა კივილი. ეხლია უფრო ახლოს ისმოდა კივილის ხმა. დაინტერესდა ეს კაცი. ნახა, რომ წყალს მოაპობს წყლის დედოფალი (წყარიშმაფა), აქეთ-იქით ნაპირზე მგლები მის-დევენ. ახლოს რომ მივიდა, ნახა, რომ ქალს არაფური აცვია, ძალიან თეთრი ტანი და გრძელი თეთრი თმა აქვს. ამ თმით მთელი ტანი აქვს დაფარული. მდინარის ნაპირთან ყოფილა ღრმა დინება, ჩასა-ჯინთი მორვევი. აქ რომ მოსულა ეს ქალი, უცბათ გამქრალა, და-კარგულა. ალბათ, მგლებს გაექცა, თავის სამყოფში მიიტანა თავი.

173. იულის დედა

წყლის დედა წყალში ცხოვრობს, ტყე საძაც არის. ხან ტყეშია და ხან წყალში. უმეტესად წყლის პირას, სადაც ხეებია, იქ ცხოვრობს. წყლის დედა დღისით არ დადის. მას დღისით კაცი ვერ ნახავს. სამაგიეროდ დამით დადის, ტანს იბანს.

წყლის დედა შეეთუნახავი ქალია. თეთრთმიანი, თმა გრძელი აქვს, მიწაზე მიათრევს. ტანი თვალსასეირო (სათოისერო). და წყლი ლები ოქროსი აქვს.

წყლის დედა, უფრო მეტად, კაცებს დახდევს, განსაკუთრებით უცოლო ვაჟებს. ის შეაცდენს ვაჟს და თავისთან დააწევნს. შორს იყოს მასთან დაწოლა (კველას აშოროს). ვაჟს ისე გამოალენჩებს, საკუთარ აზრს დაუკარგავს, მუდამ თავისთან დაპყავს. ოჯახს უნგვევს.

როცა კაცს წყლის დედა შეხვდება, ასეთი წესი უნდა დაიცვას: წყლის დედა უკველთვის ცდილობს კაცს ენა გამოსტყუოს, კაცმა თუ ხმა გაიღო — გათავდა მისი საქმე, გამოალენჩებს და თავისთან დაიწვენს. წყლის დედა იცინის, მისი სილამაზე კაცს აშტერებს. თითებს უჩვენებს — უნდა გააცინოს, ალაპარაკოს. კაცმა ხმა არ უნდა გასცეს. თუ ძლიერ მოეწონა წყლის დედას ვინმე და არ დაემორჩილა, შეიძლება დაეჭიდოს... მას შეუძლია დილამდე იჭიდაოს, შემდეგ ეშინია და ქრება. კაცმა თუ დილამდე გაუძლო ჭიდილს, გადარჩენილია, მაგრამ გამოშტერებული იქნება. მისი გამობრუნება ცოტათი შეიძლება, უნდა გამოულოცონ.

წყლის დედას ეშინია ორლესული დანისა და ხანჯლის. ასეთ ხანჯალს ის კაცს ვერ წაართმევს. ამის გამო შეიძლება კაცს ჩამოშორდეს, დაეხსნას.

წყლის დედა როცა კაცს დაიყოლიებს და თავისთან დაიწვენს, იმ კაცს, უნდა თუ არ უნდა, მუდამ მასთან მიდის. კაცმა თუ შესძლო მისი თმის უწუმრად მოპოვება, მაშინ გადარჩენილია, გამოკეთდება და ოჯახსაც დაუბრუნდება სამუდამოდ.

174. წყარიშვალას მათრახი და კვადვევული პირი

ერთი ახალგაზრდა ბიჭი გზაზე ცხენით მიდიოდა. დაუღამდა. მდინარე უნდა გავლო. წყალთან რომ მივიდა, ცხენი დაფრთხა და ჟან დაიხია. ამ ბიჭს ცხენისთვის უთქვამს: „აჩუ, შე სამგლეო.“ ცხენი მაინც არ დაძრულა. ერთ ადგილას იყო გაჩერებული. ბიჭი შეშინებულია და ჭკუიდან შემლილა. თურმე, წყარიშმაფა წყალში თმის ივარცხნიდა. წყარიშმაფა ცხენზე შემჯდარა და ბიჭის სახლში წასულა. ეს ბიჭი კი აქ დაუტოვებია. შემლილი ბიჭი ცხენს გამოკიდებია და ფირილი დაუწყია. წყარიშმაფა მობრუნებულა და ამ ბიჭისთვის მათრახი დაუკრავს. ბიჭი ქვაღქცეულა და წყალში ევდო თურმე.



ერთ ბიჭს უნახავს წყარიშმაფა. წყარიშმაფას სახელი დაუძახა და ის ია ბუტუ, ბუტუ! ამ ბიჭს მათრახი მოუქნევია წყარიშმაფას მიმოისახავია თვის. მას კი კივილი დაუწყია და ამ ბიჭის ოჯახი დაუწყველია: „სახლში არცერთი ცოცხალი არ დაგხვედროდესო.“ მართლაც შეაღადა ამოწყვეტილა.

წყარიშმაფა ერთ ღამეს განუწყვეტლივ კიოდა თურმე. ამ ბიჭს გაუკონია კივილი და მისულა. წყარიშმაფას უთქვია: „სავარცხელი მომაძებნინეო.“ ამ ბიჭს უთქვამს: შენ რატომ დაწყველე ჩემებიო და მაკრატლით თმა მოუჭრია და ცეცხლში დაუწყვავს. წყარიშმაფას ძალა დაპკარგვია და ჩვეულებრივ ქალად ქცეულა.

176. პინგა (ჰიპათი) ტეში ცხოვრობა

ჭინკები ტყეში არსებობენ. ტყიდან რომ გამოვლენ, წისქვილს ეტანებიან. კაცი თუ ვერ ნახეს, ფეხილს დაუწყებენ ჭამას. ზოგჯერ წისქვილს გააჩერებენ. ერთხელ სამი ჭინკა მისულა წისქვილში. მეწისქვილედ კაჟინა ყოფილა. ჭინკებს დაუძახიათ: „კაჟინა, კაჟინა, ცოლი არ გინდა, ცოლიო!“ მერე წისქვილი გაუჩერებიათ. წამოვარდნილა კაჟინა და გამოკიდებია ჭინკებს. ჭინკები გაქცეულიან. კაჟინას წისქვილი ვერ აუბრუნებია. თვითონხაც ავად გამხდარა. ნახევარ წელს ავადმყოფიბდა, მერე კი მოკვდა.

177. პინკა ვამოდის სახლში და ცაცხლს აჩაღვას

სოფელ ჭაბურთაში (მარტვილის რაიონი) მცხოვრებ მარკოზ ფარულავას გადმოცემით, მას, ერთხელ, ფაცხაში მარტოდ მცხოვრებს, ღამით ცეცხლი ნაცარში ჩაუფლავს და დაუძინია. ჯერ კიდვე ძილ-მდვიძარე მარკოზს უნახავს, რომ ვიღაცას ფაცხის კარი შემოულია, მიმჯდარა კერასთან და ნაცრის ჩხრევა დაუწყია. როდესაც ცეცხლი გაჩაღებულა, სინათლეზე მარკოზის უცვნია ჭინკა. უფიქრია, დავიჭერო და კარის დასაკეტად წამოშეტარა. ჭინკას დაუსწრია და გაქცეულა. მერე გარედან უწვდებია მარკოზი სახელის ძახილით: „მარკოზია, მარკოზია.“ მარკოზის მუჯუზალი უსვრია და გაქცეულა.

გამიგონია, რომ ჭინკა სულ პატარაა. კაცის ფორმა აქვს, ტან-შიშველია. მთაზე ვიყავი ერთხელ. იქ მწევებსებმა თქვეს: ჭინკა! ცხე-ის ფაფარს დაუწნავს ისე, რომ მასში, როგორც ავეანდში, ფეხის შეყოფა შეიძლებოდესო.

ერთხელ, თურმე, ჯამუ მიღიოდა გზაზე. უკან ჭინკები დაედვ-ნენ და სახელს უძახოდნენ: „ჯამუ ხარ, რომ მიღიხარო.“ მერე ჯა-მუს მეორე სახელი „კოსტა“ დაუძახეს (კოსტა, სად მიღიხარო“). კოსტა ჯამუს ნათლობის სახელი ყოფილა, რომელიც მისმა მშობ-ლებმაც არ იცოდნენ. გასაკვირია, ჭინკებმა ეს როგორ გაიგესო.

179. პინკაი ურაზა ჯდებიან

მამაჩემი, ძველი კაცი, უუნ ღამეში ურმით მიღიოდა თურმე ტეში. ჭინკები შემოახტენენ ურემზე, ჭყივიან, ზოგი ხარებს შეა-ჯდა ზურგზე. მამაჩემმა ამოიღო კვეს-აბედი, დაკვესა, აბედს მოკვი-და. ჭინკები დაფრთხნენ. ურმიდან ჩამოხტენენ. დაუძახეს: „კინტი-რია! თვალი რად ამოგვიწვი, დამწვარი იყოს შენი თვალიო.“ ბევრ-ჯერ იძახეს ასე და მერე გაიქცნენ.

ცხენი მყავდაო, იტყოდა მამაჩემი, სახლში მყავდა დაბმულიო. გარეთ დარჩენილს ისე დაუნასკვავდნენ ჭინკები ფაფარს, რომ თვით კშმაკი ვერ გახსნიდაო.

180. პინკა და ჰარორა

ჭინკა პატარა კაცივითაა. ცხენზე კაცივით ჯდება. ცხენი თვი-თონ გაიქცვა, მაგრამ ჭინკა არ გადმოვარდება. ცხენი რომ გარბის, ჭინკა ფაფარს უსკვნის. ჭინკა მძინარე კაცს მიუხტება და სახელს დაუძახებს: — „გძინავს, ციქურო, გძინავსო.“ ცეცხლს გაჩხრევს. კაცმა თუ შეუტია, გაიქცვა ძახილით: „გაიღვიძე, შე დამწვარო, გაიღვიძეო!“ ჭინკას მიერ დაფსკვნილი ცხენის ფაფარის გახსნას ერთი დღე უნდა.

ჭინკა პატარაა, ტიტლიკანა, გოგოც არის და ბიჭიც.

მამაჩემმა მიამბო, რომ, ერთხელ, ძმასთან ერთად, ტყეში წასულა.

შმას დასძინებია. მამა მღვიმარე ყოფილა. მოხულან ჭინკები მშინარე შმასთან და სახელი დაუძახიათ: „გძინავს, შე დამწვარო, ბადვრათ წამომხტარა ბადვრა და მუჯუზალი უსვრია. გაქცეულან ჭინკები, თან იძახოდნენ: „დაგვწვა, დამწვარმა ბადვრამო.“

181. ჰინამი რისკილის პორტალზე ჯლაგიან

ჭინკა მე ვნახე ჩემი თვალით. ერთხელ ბავშვებმა (სამი ვიწავით) ტეხურის პირა წისქვილში წავიდეთ საუქვავი. დაგვიღმდა. უკან დაბრუნების შეგვეშინდა. ლამე იქ დავრჩით. შუაღამე იქნებოდა, რომ მეწისქვილე თომა ცეკვავა რაღაც აწრიალდა, ფაცი-ფუცობდა და თან ლაპარაკობდა: — უესვ-ამოვარდნილებო, რამ მოგი-უვანათ ამ საბამოსო. მე გამომეღვიძა და მივაყურადე. თომა ჭრაქით გავიდა გარეთ. რაღაცა გადენა, რომ მობრუნდა, შვევებითხე: — რა იყო ბაბუა-მეტქი?!

— რა იყო ბაბუა და ჭინკები იყვნენ, უესვამოგდებულებით.

— ჭინკა რაღაა? — ვკითხე მე. — რააღა, ჭინკაა, მოდიან, სახელს გებაბიან, გაწვალებენ, დაგცინიან, მაგრამ ხმა არ უნდა გასცე, თორემ ჭეუიდან შევშლიანო. მართლაც, მე გავიგონე ჩემი ყურით, ჭინკები რომ იძახოდნენ: „თომა, თომაო,“ მაგრამ თომა პასუხს არ აძლევდა.

ავდევქი, ხეიმრიდან ჩავხედე წისქვილის ბორბლებს. ისინი წისქვილის ბორბალზე ჯდებოდნენ ხოლმე და აჩერებდნენ მას. მართლაც, დავინახე ბორბალზე შემომჯდარი ვირთხებზე უფრო დიდი არსებები, საკვერცხები გადმოვარდნილი პქონდათ (გითუტევიცანდეს). ბორბალზე ხტოდნენ. ხუთი, ექვსი იქნებოდა.

182. რეზნდა პიორგის დარიგება

(როგორ აშენდა ალექსანდრის წმ. გიორგის ეკლესია)

გადმოცემის მიხედვით, თურმე, ძველად ალექსანდრის ეკლესია სოფ. გურებეში ყოფილა. ერთ მოხუცს სიზმარში წმ. გიორგი გამოცხადებია და უთქვამს: „მე ვიპოვი და მოგიყვანთ ხარს, შემდევ დაკარგავ, სადაც თქვენ მას დაწოლილს ნახავთ, იქ ააშენეთ ტაძარით.“

მაღლე სოფ. გერძემის წმ. გიორგის კლესიაში აღმოჩნდა ასეთი წითელი ხარი, მაგრამ უცბად დაიკარგა. ხალხმა ხარს ძებნა დაუჭყო. იგი იპოვეს სოფ. აღერტის უღრან წუყამი, ხადაც ეხლდ აღერტის წმინდა გიორგის კლესია აშენებული. დაიწყეს გურძემის კლესიის დაშლა. რიგში ჩამდგარი ხალხი ქვებს ერთმანეთს აწოდებდნენ და ერთ დღეში დაუმთავრებიათ ამდენი ქვების გაღმოზიდვა. ქვის პირველი მიმწოდებელი და ბოლო მიმღები მომყვადარან. ის წითელი ხარი დაუკლიათ, დიდი დღესასწაული გადაუხდიათ. შემდეგ ხალხს ბეგარასავით დაედოთ ერთი ხარის შეწირვა ყოველწელს. წმ. გიორგის დღესასწაულს უხდიდნენ 10 ხოებერსა და 23 აპრილს.

183. რმინდა გიორგი და რმინდა ჰარაბლა

ხარის მომყვანი წმინდა გიორგია, არ ვიცი რა არის, მაგრამ მას კვლაბუ მეტი ძალა აქვს ქვემოთ (ამ) ქვეყანაზე, ზევით კი — ღმერთს. დედამიწას წმინდა გიორგი პატრონობს. შეიქმნა კველას უფროსი. საქართველოსა და აფხაზეთში გვყავს ის... უფრო მაღლიანი მაინც წმინდა გიორგია, შემოვევდე მის ხრდილს... წმინდა გიორგი ბუხსა და ძაღლს ემტერება. კატას დევნის. ქუხილისა და ელვის დროს კაცთან ახლოს ბუხი, ძაღლი და კატა არ უნდა იყოს, მუხის ძირას არ უნდა დადგე, მუხას წმინდა გიორგი ემტერება, ასევე ბერლის ხეს. ცხემლა კარგია, კაცს უნდელყოფს...

მღოცველს შესაწირი მიაქვს ილორში. შევა, შესწირავს ციკანს, ან ცხვარს, ითხოვს შენდობას, შემწეობას, განკურნებას, ან წყვლის (გადასცემს) დამხაშავეს, ცუდის საქმის გამკეთებელს... წმინდა ბარბალეც იქ ბრძანდება, მონაწილეობას იღებს დახმარების, შემწეობის საქმეში... წმინდა ბარბარესთან და წმინდა გიორგისთან პატივისცემა ყოველთვის გავა... კველაურს გაპატიებს.

184. რმინდა გიორგი ჰამია

წმინდა გიორგი კაცია. ამბობდნენ, რომ მისგანაა დავალებული, მაგალითად, ქვევითა ქვეყანა, ეს ქვეყანა, დედამიწა. ეხლა როცა ელავს ან ქუხს, იტყვიან, წმინდა გიორგის განხილიაო, მისი უფროსობით ხდება ესო. დევებს რომ იტყოდნენ ძველად, წმინდა გიორგის მოსვლის შემდეგ (ვინ იცის როდის მოვიდა), მუდამ ზღვა-



ში იმაღლებიანო, ეშინიათ წმინდა გიორგის რისხვისათ. დვეები ხალხს აზიანებდნენ, ამის უფლებას წმინდა გიორგი არ აძლევდა რა უკავშიროსა და იფარავს (მწყემსავს).

როცა დვეები ზღვიდან გამოსვლას დაპირებენ და თავს ამოპ-ყოფენ, მაშინ წმინდა გიორგი იელვებს და დაწვავს დვეებს. დვეები ბუჩქებად იქცვეიან და ამასაა ელვითა და ქუხილით წმინდა გიორგი რომ დასდვეს.

დვეები ვეებერთელა დიდი კაცები იუნენ, ქაცვიანები, ესენი გადაიქცვიან ბუჩქებად წმინდა გიორგის ძალით და სადაც ისინი დაჯდებიან ელვა-ქუხილი, მეხი იქ დაცემა. არ შეიძლება ბუზი ისვ დვევად იქცეს. ამის ნებას წმინდა გიორგი არ აძლევს.

წმინდა გიორგი, ალბათ, ღმერთის განგებითაა განენილი. იგი გველ-ვეშაპებსა დევნის, რადგან გველ-ვეშაპებიც აწუხებდნენ, აზიანებდნენ ხალხს... ჩვენთან ჭველაზე ძლიერი ხატი წმინდა გიორგია.

ვიღაცა ურწმუნო კაცს თეთრი ხარი ყოლია. ილორის დღეობაზე ყოფილა და იქ უთქვია: თუ წმინდა გიორგი ხამდვილად არსებობს, აქ მოიყვანოს ჩემი თეთრი ხარით. მეორე დღეს, დიღით მისი ხარი, ამ ურწმუნო კაცმა, ილორის წმინდა გიორგის სალოცავის შესასვლელ კართან ხახა მიბმული. ამის გამო ეძახიან მას — „ილორის წმინდა გიორგი — ხარის მომყვანი“ (ილორული წმინდა გიორგი ხოჯიში მუშაყუნაფალი).

ვისაც ზეციერის ხახელზე აქვს სალოცავი, ან ვინც ზეციერისგან დამიხესდება, აგზავნიან წმინდა გიორგში, მოუტანენ ფულსა და გამოულოცავენ.

წმინდა გიორგი ჭველაზე ძლიერი კაცია. ჩვენ ასეთად მიგვაჩნია და რა-ვიცი, შენი ჭირიძე.

185. უცარეს-ანალათის ღმერთი აღართი

დღვეანდელი ზუგდიდის რაიონის სოფლების — ოდიშის, კორცხელისა და ხაცატუს მიჯნაზე — მთაგორიან ადგილზე არის ერთი გამოქვაბული. არავინ იცის ამ გამოქვაბულის სათავე. აქ ცხოვრობდნენ, თურმე, ჩვენი ძველი წინაპრები. ამ გამოქვაბულს ორიკინებ (საჭიდაოს, სარკენალს) უწოდებენ. ამაზე არსებობს ასეთი ლვენდა:

ოდესაც გამოქვაბულს ურწმუნო, კაცის მჭამელი დჟი დაეცა, ამოწყვიტა შიგ მცხოვრებლები და თვითონ დაეპატრონა. დჟი გა-მოქვაბულიდან ღამ-ღამიბით გამოდიოდა და ქოხმახებში დაბინა-ვებულ ადამიანებს მუსრს ავლებდა.

დევისაგან შეძრწუნებულმა ადამიანებმა თხოვნით მიმართეს შე ღმერთს, მოკედა ან განხდვნა გამოქვაბულიდან ეს ურწმუნო დჟი. შე ღმერთმა ასე უპასუხა მთხოვნელებს: — მე დღისა და სინა-თლის ღმერთი ვარ, ბნელ გამოქვაბულის უფსკრულში მე ძალა არა მაქვს, — იქ ვერ შევაღო! სამაგიეროდ მე ღმერთმა ასწავლა: წასუ-ლიკნენ შორეულ ქვეყანაში, საღაც ცხოვრიბდა უფსკრულ-ბნელე-თის ღმერთი — ალარტი. ჩემი სახელით მიდით და იგი გამოგაყო-ლებთ ალარტის ხატს, რომელიც დაამარცხებს თქვენს ამწიოკებელ დჟისო, — დაარიგა შექმ.

ალარტის ღვთაებას მოციქულები გაუგზავნეს. ალარტმა მათ მისცა თავისი ხატი. მეგრელებმა ამ ხატს „ალარტის ხატი“ უწოდეს.

დევის გამოქვაბულის პირდაპირ, მეორე გორაკის ფერდობზე, ააშენეს საღმრთო სახლი და იქ ალარტის ხატი დაასვენეს, უჩვე-ნეს გამოქვაბულის კარი, საიდანაც ღამ-ღამიბით დჟი გამოდიოდა.

ხატი დევის გამოსვლას დაელოდა. იგი ღმეში კველაფერს კარ-გად არჩვდა. გამოვიდოდა თუ არა გამოქვაბულიდან დჟი, ალერ-ტის ხატი კისერზე დაახტებოდა და მათ შორის საშინელი შერკი-ნება იწყებოდა (ამიტომ ეწოდა ამ გამოქვაბულს „ნარკინალი“). დრო-თა განმავლობაში ხატმა მოქანცა დევი, ავად გახადა და მოკლა. ამის შემდევ ხალხმა ისევ დაიწყო ორკინეთში ცხოვრება.

186. თქმულება არაგათუა

მე ეს თქმულება გამოიგია სოფ. კირცხში მცხოვრები იულიონ საბკიასაგან, ახლა 80 წლის იქნება.

თქმულების მიხედვით, ახალგაზრდა არამხუტუ, უცნობი სა-ხით, ჯვარელი ციმინტიების სამწევემსოში გამოცხადდა. ითხოვა მწყემსაღ ამიყვანეთო. ციმინტიებმაც აიყვანეს მწყემსაღ, მაგრამ მალე ხახეს, რომ ცუდ დღეში ჩავარდნენ. ხახეს, რომ ხუტუ, როცა ფარას მიდვნიდა, გზადაგზა ციკნებს ატყავებდა და უმაღ ჭამდა. შემცირდა ფარა. ციმინტიებმა ხუტუს თავიდან მოცილება მოინდო-

მეს, მაგრამ ხუტუ არ შორდებოდა. ხუტუს ციმინტიები სიხარბეს (პარამობას, არამობას) სწამებდნენ. ამიტომ დაარქვეს მას არამხუტუ. იგი ციმინტიებს არ შორდებოდა. ჰკმაყოფილება თანდათან გაძი-ვავდა. ციმინტიებმა იგი წმინდა გიორგის ხატს გადასცეს. წმინდა გიორგი მას ვერ მოერია, რადგან ქრისტიანი არ იყო. ამის გამო წმინდა გიორგი იძულებული შეიქმნა მისთვის მიეჩინა თავვი, რომ-ელიც გაღრღნიდა არამხუტუს ლაბაშა (ლაბაშა — ყავარჯენია. გრძელი, წვეტიანი ჯოხი, რომლითაც არამხუტუ ერთი მთიდან მე-ორე მთაზე ხტებოდა). თავვი შუაზე გადაღრღნა ეს ლაბაშა. არა-მხუტუ, როცა ერთი მთიდან მეორეზე ხტებოდა, ლაბაშა შუაზე გა-დატყდა და ხვეში ჩაიჩეხა. ლაბაშის ნატეხები ეხლაც წმინდა გი-ორგის ხატის სალოცავში ინახება.

გადოცემის მიხედვით, ციმინტიებისაგან გაჯავრებული არამ-ხუტუ ისეთ ქვებს ისროდა, რომელსაც ორმოცდათი კაციც კი ვერ დასძრავდა ადგილიდან. ერთ ასეთ ქვას დღესაც უჩვენებენ. იგი არამხუტუს გამოსროლილი ქვა არისო.

187. არამხუტუ

არამხუტუ იყო დევკაცი. ლაკადაში მთოხნელ ქარდავებს მიუხ-და და გოგო მოსტაცა. გლეხები წამოვიდნენ და ქრისტეს სთხო-ვებს: — ურჯულომ გოგო მოგვტაცა, შენი ძალა გამოაჩინე და დაგვე-ხმარეო. დაპირდნენ: არამხუტუს თოფსა და ტყვია-წამალს შენ შე-მოგწირავთო. ამის შემდეგ შეიარაღებული ხუთი კაცი დაეღვნა არამხუტუს. დაწინენ თხაჩქუე, რადგილის სახელია ს. ჯვარის ზე-მოთ) მთასთან და მოკლეს. თოფი და ტყვია-წამალი ქრისტეს მიუ-ტანეს.

ბავშვს უთქვია: არამხუტუ ენახე, შარვალში ჩამისვა და ისე წა-მიყვანაო. მყვდარი არამხუტუ მთაზე დატოვეს. არამხუტუს ცოლს ერთ წელიწადს არ უტირია ქმარი. არ ჯეროდა მისი სიკვდილი. ღვ-აცს რა მოკლავდაო. ქრისტე მოერია და იმან მოკლა.

188. არამხუტუს არაპი (ლეგენდა)

არამხუტუ ძღვენით ეწვია შერვაშიძეს, რომელიც სამურზაყა-ნოში (სამეგრელოში) ერთ-ერთი მთავარი იყო. პატივი მიაგეს. ბო-8. ა. ცანავა

ლოს არამხუტუმ თავის ქვეუანაში წასვლა გადაწყვიტა. მოურავშა
აცნობა ეს შერვაშიძეს. მან თოფი გამოუვარენა საჩუქრად არამხუტუ-
ტუს. არამხუტუ მეტ საჩუქრას მოელოდა, გაბრაზებულმა თოფი მუ-
ხლზე გადაიმსხვრია. შერვაშიძემ რომ გაიგო, თქვა: თოფი დაამ-
ტვრია კი არა, ჯვარი არ დამიმტვრიოს (მომიგლიჯოს). ეს რომ
შეიტყო არამხუტუმ წამოვიდა ლაკადით და ფურაშში (ადგილის
სახელია ს. ჯვართან) მოვიდა. აქ ნახა ეზოში დედა-შეილი
(ქალიშვილი) ლობიოს პარკებს რომ კრევდნენ. არამხუტუმ ეს გოგო
მოიტაცა. დედამ აცნობა ეს ამბავი ხალხს. ხალხი აიყარა და წამო-
ვიდა. ორი მმა ქარდავა (იმ გოგოს მმები) იარაღით იყვნენ. ქარდავე-
ბი და ციმინტიები მისდევენ არამხუტუს. ამოვიდნენ ომუნებს (ად-
გილის სახელია) სუჟზე. აქ მოტრიალდა ციმინტია და ღმერთს შე-
ეხვეწა: ქრისტევ! იმას თუ წაართმევ ფეხში ძალას და ჩემი ტყვიის
ლუკმად გახდი, მის ლაბაშას (წვეტიანი, მთაში სასიარულო ჯოხი)
მოგიტანო. ჯგუფეს (სალოცავია ს. ჯვარში) არამხუტუს თავი და-
პირდა. ამ დროს არამხუტუს მდინარე (ლელე) გადავლილი ჰქონდა
(ხილად გადებულ ხეზე გაიარა). როგორც კი გადაიარა ხილზე, ფეხის
ძარღვი გადაენასკვა. გადატეხილი ხის ძირს დაჯდა და ფეხის დაზე-
ლვას შეუდგა. ამ დროს ციმინტია და ქარდავა იმ ადგილას მოვი-
და, საიდანაც გოგო გაიტაცა არამხუტუმ. არამხუტუს ნაკვალევი
ღრმა იყო (მუხლამდე), გაპყვნენ ამ კვალს. არამხუტუ ყარაჩაელი
გმირი იყო. ხიდთან რომ მივიდნენ, ქარდავამ თქვა: — ამ ხიდზე გა-
სულაო. არამხუტუმ ესროლა ქარდავას თოფი. ტყვია არ მოხვდა,
მაგრამ ხიდიდან გადავარდა. ესროლა თოფი ციმინტიამ. შუბლ-
ში მოხვდა არამხუტუს. გოგომ დაიძახა: მოკვდა და არ შეგეშინ-
დეთ, წამოდითო. მივიდნენ, როგორც თქვეს ისე, ციმინტიამ თავი
მოაჭრა არამხუტუს, სამწამალი და ლაბაშა ქრისტეს მიუტანეს
(ქრისტე ქვია ს. ჯვარის შამუჯიების უბნის კლესიას), ხოლო და-
ბაშზე ჩამოცმული არამხუტუს თავი ჯგუფეს მიართვეს (ჯგუფე ს.
ჯვარშია, სალოცავი). ხალხი ამბობდა: არამხუტუს თავი ჯგუფეს
მესერზე იყო ჩამოცმულიო.

სამწამალი და ლაბაშა ქრისტეს მეხატულებს დაპქონდათ დღე-
ობის დღესო. ამას მეც მოვსწრებივარ.



ორმოც მოწამის სახელობის კულესია მდებარეობს ნაქართველობის უძველესი ციხე-სიმაგრის ტერიტორიაზე, რომელიც ხშირად განიცდიდა მტრების შემოსვას.

ერთხელ, ნაქალაქვის ციხე-სიმაგრეს მტერი შემოესია იმ დროს, როცა მეფე თავისი ამაღით (მებრძოლებით) გასული იყო ქალაქიდან. ციხის დარაჯვებად დატოვებული იყო ოცდაცხრამეტი მეციხოვნე. ქალაქი რამდენიმე ღღეს აღყაშემორტყმული ყოფილა. მტერმა ვერა და ვერ შეაღწია ციხე-ქალაქში. მათ არ იცოდნენ, რომ მეფე ქალაქში არ იმყოფებოდა. ბოლოს აღყაშენიათ და უკან გამობრუნებულან, მაგრამ ვიღაც მოქალაქეს გაუცია და მტრის-თვის ნამდვილი ამბავი უცნობებია.

მტერი ისევ დაბრუნებულია და შემოსევია ქალაქქს. მეფის მიერ დატოვებული მეციხოვნები იძულებული გამხდარან მარტონი შებრძოლებოდნენ ურიცხვ ლაშქარს. სადაც ახლა ნაქალაქარის ძველი ხიდია, იქ, ტეხურის დასავლეთ ნაპირზე, მომხდარა გადამწყვეტი ბრძოლა. ოცდაცხრამეტი მეციხოვნე გმირულად შეებრძოლა მტერს, მაგრამ უთვალავ ლაშქართან რას გახდებოდნენ. თანდათან უკან იხვევდნენ. ამ უთანასწორო ბრძოლაში ოცდაცხრამეტივე მეციხოვნე მდინარე ტეხურის წყალში ფეხზე მდგარნი ჩაუხოციათ.

მეციხოვნეთა თავდადებულ ბრძოლას შორიდან თვალს აღვე-
ნებდა დედოფალი, რომელსაც ხელში თავისი პატარა ვაჭიშვილი
ეჭირა. დაინახა თუ არა მეციხოვნეთა დაღუპვა, გავიდა ციხის ეზო-
დან და თავისი პირშორ ტეხურის ტალღებში გადააგდო — იმ ადგი-
ლას, ხადაც 39 მეციხოვნე დაიღუპა.

ამ ამბავმა მტერიც კი განაცვიფრა, თურმე, მოუყვანიათ გამცემი და დაუსჯიათ. მალე მეჭეც დაბრუნებულა, მტერი დაუმარცხებია და ქალაქი გაუნთავისუფლებია დამპურობდებისაგან.

ოცდაცხრამეტი მეცისოვნები, პატარა ვაჟთან ერთად, ფეხზე მდგა-
რნი დაასაფლავეს ქალაქის ეზოში. მათს საფლავზე აუშენებიათ
კლესია და კლესიის შესასვლელ კარებთან გამოუხატავთ ორმო-
ცი ვარსკვლავი. ამიტომ დაურქმევიათ ამ კლესიისათვის ორმოც-
მოწამის სახელი.

ნაქალაქვის ტერიტორია თათრებისაგან უოფილა დაჭვებულია აუთხრებიათ ციხე-ქალაქი, ხალხი საშინელ დღეში უოფილა ჩავარ-დნილი.

ერთხელ აქაური მცხოვრები, ფეხმძიმე ქალი, წყლის მოსატანად ტეხურის ხეობისკენ წასულა. დაუნახია თათარს და უან დადევნე-ბია. ქალი გაქცეულა. თათარი უფრო ჩქარა გამოკიდებია. ეს-ეს არის უნდა დაიჭიროს, მაგრამ ტეხურის ნაპირამდე მისული ქალი, თურმე, ღმერთს შევედრებია:

დედა მოკა, მოკა, მოკა, დედა ორსული, ორსული, ორსული, სითი მოკა, მათი მოკა, შენც ორსული, მეც ორსული, წრო ქივივდგათი ბოგა. თანაბრად (ორივემ) გავიდგათ ხიდი.

ამ სიტყვებით გადამხტარა წყალში, ნაპირები შვიწროვებულა და ქალი, თურმე, მეორე ნაპირზე გასულა უნებლად, თათარი კი დამხრჩალა.

ის ადგილი, რომელიც უველაზე ვიწრო ხეობად არის დარჩე-ნილი დღემდე, დედამოკას სახელითაა ცნობილი.

191. შზისა და მივარის ამბავი

ერთ გოგოსა და ბიჭეს ერთმანეთი უუვარდათ, მაგრამ ბიჭის დედ-მამას სხვა ნდომებიათ შვილის საცოლედ. ბიჭი კი ამ გოგოს გარდა სხვას ცოლად არ ირთავდა.

ერთ დღეს მისულა ეს ბიჭი გოგოსთან და უთქვია: ხვალ, რამ-დენის წამოლებასაც კი შევძლებ, იმდენ ტან-უეხის შესამოსელ მა-ტერიას მოგიტან საახალუხესა და საკაბეს, საპერანგესა და სასა-ცლეს, საწუდესა და საყაბალახეს და უოველივე ეს საღამომდე უნდა შეკეროო. საღამოს ტანის დასაბანი წყალი გაამზადე, უვე-ლაფერი ეს დამახვედრე, მე მოვალ, ტანს დავიბან და წამოგიყვანო.

მეორე დღეს ამ გოგომ ალიონიდან დაიწყო ტანსაცმელების კე-

¹¹ „დედამოკა“ ადგილის სახელია ნაქალაქვის მცელი ხიდის ახლოს. აქ ერთ ადგილას, ხეობა იმდენად ვიწროა, რომ თითქოს შეიძლება მდინარის ერთი ნაპირი-დან მეორეზე გადახტეს კაცი. სწორედ ამ ადგილას, თქმულების მიხედვით, ორსული დედა (დედამოკა) თათრის ძალადობისაგან თავის ღმერთს გადაურჩნია.

რვა. დაღამებამდე ერთი ხელი ტანსაცმელი დარჩა შეუკერავი. გადაირია ეს გოგო: ბიჭი რომ მოვიდეს და ტანსაცმელები არ დაზღდეს შეკერილი, შეიძლება არ წამიყვანოს ამ საღამოსო.

გამოსულა ეს გოგო მინდორზე და ღმერთისთვის უთხოვია, შეხვეწია: ღმერთო, სახელდალოცვილო, ცოლ-ქმრობის გამჩენო, შეისა და მთვარის შემქმნელო, ამოსწიე მხე ერთი თოხის ტარის სიგრძეზეო.

მართლაც ამოიწია მხემ ერთი თოხის ტარის სიგრძეზე. ამ გოგომ მოასწრო ყველაფრის შეკერვა მზის ჩასვლამდე. შეკერილი ტანსაცმელები დააუთოვა, რიგზე დაალაგა და ზედ წულა-მესტები დააწყო.

დაღამებისას მოვიდა ეს ბიჭი. გოგომ ტანი დაბანა, ახალი ტანსაცმელი ჩააცვა და წავიდნენ ამ ბიჭის ბინაში.

მეორე დღეს, შეა ღამისას, მოსულა ვიღაცა და დაუძახნია ბიჭისთვის. ეს ბიჭი გარეთ გამოსულა. გამოსულა თუ არა, ვიღაცას ხელი დაუკრავს და სადღაც წაუყვანია. გათენების ქამს დაბრუნებულა ეს ბიჭი, მაგრამ სიტყვას არ ამბობს თურმე. ასე გაიარა ჩვიდმეტმა ღამემ. ყოველ ღამეს დაუძახებს ვიღაცა, ეს ბიჭი გამოვა გარეთ, წაიყვანს სადღაც და დიღამდე შინ არ უშვებს. მეთვრამეტე ღამეს გოგოს ვერ მოუთმენია და ბიჭთან ერთად გარეთ გამოსულა. ქმრისთვის ზურგზე პქონია ხელი ჩავლებული. ისვე დასტაცა ამ ბიჭს ვიღაცამ ხელი და წაიყვანა. ცოლი უკან არის ჩამოკიდებული.

ვისაც ცოლ-ქმარი მიპყავდა, იმან გზაზე შეხვედრილ ცეცხლში გაატარა ორივე, ბიჭი და ის მომტაცებელი უკნებლად გასულან ცეცხლიდან, ამ ქაღს კი ტანსაცმელი დასწივია. ცეცხლიდან გამოსულებს აღუღებული წყალი შეხვედრიათ. ეხლა ამ წყალში შესულან. იმათ არაფერი მოვდიათ, მაგრამ ეს გოგო მოხარშულა, თურმე. ამ გოგოს ქმრისთვის ხელი მაინც არ ჩამოუშორებია. საშველი რომ არ დაადგა, ყალ-ბარდებში გაუტარებია ორივე. ამ გოგოს ტანზე ხორცი აღარ შერჩენია. მხოლოდ ძვლები ჩხაკუნობდნენ ქმრის ზურგზე.

ამის შემდევ ერთი მინდორი ყოფილა, ძალიან ლამაზი, შეისა და მთვარის საბრძანებელი. თურმე შეესა და მთვარეს დამყავს ეს ბიჭი აქ ამ გოგოს ჯინაზე, რადგან ამ გოგომ თხოვა ღმერთს მზის ამოწვევა და, მხე როცა ამოიწია, მხე და მთვარე ერთი თოხის ტარის სიგრძეზე ერთმანეთს დაშორებულან.

შხემ და მთვარემ ამ ბიჭის ზურგზე გოგოს ძვლები რომ ნახეს, თქვეს: პაი, პაი, აქაც მოიტანეს მისი ძვალიო, ჩვენ ერთმანეთს დაგვაშორა ერთი თოხის ტარის სიგრძეზე და როგორ გაბედა აქ მოსვლაო, ძვლები განზე გადაყარეს.

— შენ რა გიყოთ აწიო! — უთხრეს ამ ბიჭს. მერე შხემ და მთვარემ ერთმანეთს უთხრეს: მოდი, ვაპატიოთ ამ ბიჭის პატივისცემითო. ამ ბიჭს ჩვენთვის ბევრი კარგი საქმე აქვს გაკეთებულით. მივიღა შე, გოგოს ძვლებს ცხვირსახოცი გადაუსვა, ამ გოგოს სული ჩაუდგა და გააცოცხლა. შხესა და მთვარეს უთქვიათ: — ერთმანეთის გვერდით დაღვეულით. მერე დაულოციათ ამათი თავი: დაგლოცოთ ღმერთმაო, მოგცემოდეთ ხუთი ვაჟიშვილი და სამი ქალიშვილიო, შხე და მთვარესავით შეაბერდით ერთმანეთსო. წაღმა შემოუბრუნებიათ და გაუშვიათ. მართლაც, როგორც შხემ და მთვარემ დალოცეს ისე, რვა შვილი შესძენიათ და ძალიან დიდხანს უცოცხლიათ ბედნიერი ცხოვრებით.

192. ჰავშია არზივა დიღი ურინავლია

გამიგია; რომ ცოლ-ქმარს სახნავში ბავშვი წაუყვანიათ. ერთ დღეში უნდა მოეხნათ დიდი საყანე ადგილი. ხვნაში გართულებს ბავშვისთვის საჭმლის მიცემა დავიწყნიათ. ბავშვს მიმშილისაგან გული წასვლია. ზევიდან ჩამოფრენილა კაპუნია და ეს ბავშვი წაუყვანია. შემდეგში გულად (კუტუმად) უცვევია და სწორედ ეს გულად ქცეული ბავშვი აცნობებს დღესაც ხალხს, თუ როდის დაიწყონ ხვნა-თესვა. „კუტუმიშ“ დაიძახაო, იტყვიან, ხოლმე, და ხვნა-თესვაც მაშინ იწყება.

სანამ ამ ბავშვს კაპუნია წაიყვანდა, თურმე, ერთი მარცვალი დომისლომი ერთ ქვაბს ავსებდა. სიმინდის ერთი მარცვალი ერთ თვეს ყოფნიდა კაცს. ეს ბარაქა კაპუნიამ წაართვა ხალხს. კაპუნია მთლად მოუსპობდა ქვეყანას სარჩო-საბადებელს, მაგრამ მის მიერ წაყვანილ გულად (კუტუმად) ქცეულ ბავშვს ეცოდებოდა ხალხი და მაინც აგებინებდა, თუ როდის დაეწყოთ ხვნა და თესვა.

როცა გაიგეს, რომ კაპუნიამ ბარაქა წაიღო, მისი გულის მოსაგებად, საკაპუნე ღორს სპეციალურად ასუქებდნენ, დიდმარხვის დაწყებამდე, ყველიერის წინა კვირას ხუთშაბათს დაკლავდნენ ამ

დორს. მარანში ლოცულობდნენ. კაპუნიას ვეედრებოდნენ გადმოეხედა კეთილი თვალით, დაებრუნებინა ბარაქა და სიკეთე, კიდევ არწაედო რამე და ახალი უბედურება არ მოეტანა ხალხისთვის.

დაკლული დორი იმავე დღეს უნდა შეაჭამათ. თუ რაიმე დარჩებოდა, იმას გადაყრიდნენ.

კაპუნია დიდი ფრინველია, არწივზე დიდი, ზევით, ცაში ცხოვრობს, სულ დაფრინავს. ის არის მეამენე („მეამინი“). თუ ადამიანი ვინმეს დასწყვევლის და ამ დროს კაპუნიამ „ამინ“ დააყოლა, წყვლა უსათუოდ შესრულდება. ასვევ დალოცვის, კარგი სურვილების დროსაც კაპუნიამ თუ „ამინ“ სიტყვა წარმოსთქვა, უსათუოდ ყველა სურვილი ახდება, შესრულდება.

ასეთი წყვლაა: „კაპუ ჩაგვარდნოდესო“ („კაპუ ქიქტეორლაფუდასია“). ეს კველაზე ძლიერი წყვლაა. ე. ი. კაპუს ჩაგვარდნა იგივე სიკვდილია, მომკვდარიყვეო.

კაპუნიას დღეობაზე არავითარ საქმეს არ აკეთებდნენ. ხელს არ კიდებდნენ რკინეულობას. იმ დღეს რომ კაცი მომკვდარიყო, არავინ იტირებდა. გადააფარებდნენ ზეწარს და მეორე დღემდე ხმას არ გაიღებდნენ, ისე შეშინებული იყო ხალხი კაპუნიასაგან.



გვერდის კულტის ამსახველი მინიჭილი ცენტრული
სამსახურის მიერ გვერდის მიერ გვერდის

193. გვერდის თვალი ხმალ გვერდის ანალიზის

გვერდის თოლი (თვალი) ჩვენებს (ბიძაჩემს) ჰქონდა. მას ერთხელ სოფ. თოთის ზემოთ, წყაროსთან ენახა ერთი დიდი გვერდი, რომელიც თვალს ათამაშებდა. ორჯეპი ჯოხი ჰქონია თან. დაუბჯენია ეს ჯოხი და უთქვია: ალალი ხარ თუ არამით; ენა გამოუყვითა გვერდს და ამით უნიშნებია — ალალი ვარო. გვერდი არ მოუკლავს. თვალი აუღია და უბეში ჩაუდვია. წაუღია და დაუმარხეავს გამხმარი კულის ძირას. ერთ თვეში კალი ძალიან აყვავებულა. ეს იმას ნიშნავდა, რომ თვალი შემძენია და შეიძლებოდა მისი სახლში წამოღება. წამოუღია და ჩაუდვია ერბოს ქილაში. ამის შემდეგ თჯახში ერბო, ფეხილი, მატყლი, რძე და უვერდი არ იღეოდა. ძალიან გამდიღრებულან.

ეს თვალი, ბიძაჩემმა (ივანე ხულელიძემ) რომ ხახა, არავინ არ იცოდა მის მეტმა. თუ სხვა გაიგებდა ამ ამბავს, თვალი ძალას კარგავდა.

გვერდის თვალი მრგვალი იყოვთ, ჩიტის კვერცხის ტოლა, თან სხვადასხვა ფერისა (წითელი, ყვითელი, თეთრი, მწვანე და ლურჯი). ეს ფერები კვერცხს ზოლებად ჰყორდა. ასეთი თვალს გვერდი ტყეში პოულობენ. მას არამი გვერდი ვერ იპოვის.

194. გვერდის არავას საფლავიდან მუგადიანი ქაცის თვალი

გვერდები თოლს (თვალს) შოულობენ სასაფლაოზე. ქუდბედი-ანი რომ გარდაიცვლება, იმას ამოუღებენ თვალს, ამოიტანენ ზე-ვით და ათამაშებენ. ასეთი თოლი საფლავიდან ალალ გვერდს ამოაქვს. არამი გვერდი ამას არ გააკეთებს.

ფუძის გვერდი ალალია. ცხოვრობს სახლის საძირკველში, ზოგი მას რძესაც აძლევს. რძეს ჯამხე დაუსხამენ და კუთხეში დაუდგამენ, გვერდიც „სახლის კუთხეში იწვისკე.“ ეს გვერდი საძირკველს, თჯახს უდგას, მისი არც მოკვდა შეიძლება და არც გაჯავრება. ასეთ გვერდს ბარაქა და ჯანმრთელობა მოქონდა თჯახისათვის.



ჩემი მამამთილის ჯალაბობა ხიზნიანად (ბავშვებიანად) 44 სული ყოფილა. ცხოვრობდნენ სოფ. თოთში (არშის ციხის პირდაპირ). ამ ოჯახის მოწადმართე (მეთაურ) იახეს დიდქვაბთან (ადგილის სახელია თოთის ზემოთა კლდეებში), წყაროს ნაპირზე უნახავს გველები. ერთმანეთს ეთამაშებოდნენ, თვალს ათამაშებდნენ. იახეს უნახავს, რომ ეს თვალი სხვადასხვა ფერით ბზინავდა. ახლოს მოსულა, ფაფახის ქუდი ხურებია თავზე, მოუძვრია ეს ქუდი და უსვრია, თურმე. ამას არ შეპუებიან გველები, არ გაქცეულან. მერე ორკაბი ჯოხით გამოუწვია ერთი გველი. იმას შეცლიდან ერთი თვალი გამოყოლია. ეტაცნა ხელი ამ თვალისთვის იახეს და გამოქცეულა.

იახეს წყაროზე გამოუვლია. დადვნებულ გველებს იახეს ნავვალევი ამ წყაროსთან დაკარგვიათ. ეს თვალი იახეს ჯერ გამხმარებალზე გამოუცდია. გამხმარ-გადამწვარ კლის ძირას დაუმარხია. რამდენიმე ხანში სულ გადაფურნებვნილი დახვედრია ეს კალი. წამოუღია სახლში და ერბოს შესანახ ჯამში ჩაუდვია. მარტო ცოლის-თვის გაუმედავნებია ეს ამბავი. გველაფერი გამოულეველი ჰქონიათ. იახეს ძმისშვილის ცოლს, აკოს, ერბოს ამოღების დროს ეს თვალიც ამოუყოლებია. დიდი ოჯახის გაყოფის შემდეგ, აკოს ქმარშვილი დარიბად ცხოვრობდა. მაგრამ ამ თვალმა გაამდიდრა. მერე იმასაც დაკარგვიყო ეს თვალი და გვედარ გაეგოთ ვის დარჩა ბოლოს.

უფროსები გვეტყოდნენ, ხოლმე: ჩვენ ფუძის გველი გვავს ძველ ოჯახში და თუ ნახოთ, არ გაუწყრეთო. აღრე გაულესავი ქვის კედლები ჰქონდა სახლს. კედლის ძირიდან რომ გამოგვრებოდა ფუძის გველი, წინ საჭმელს დაუდგამდნენ (რძეს, ხორცს). შეჭამდა და ისვე ხვრელში შეძერებოდა. იგი ჯალაბობას არ ამიზეზებდა, ფუძის გველი იყო.

196. უავათალი მაზირი

სოფ. ფანშეტში იყო ასეთი შემთხვევა: ერთ ოჯახში ცხოვრობდა გველი. დილით რძეს რომ მოწველიდნენ, მას გობით მიუტანდნენ. გველი მივიღოდა და დალევდა რძეს. ოჯახის წვრი მას არ ერჩოდა. ბავშვებს ურძალავდნენ მის გაჯავრებას, იტყოდნენ: ეს ოჯახის ბარაქაო, დიღხანს ყოფილა ის გველი იმ ოჯახში.

ერთ ოჯახშე ამბობდნენ, რომ მათ გველის თვალი აქვთ შენახულით, ამიტომ არიან ასე მდიდრებით. თხილის ტოლა კოჭილთ უსაკარი გველის თვალი. საიდან მოიტანეს არ ვიცი.

ამბობენ: ვითომ გველები, ბედნიერ დღეს, ამ თვალს ათამაშებენ, როგორც ბავშვები ბურთს. მერე ერთი რომელიმე გველი დაისაკუთრებს მას. თუ ამ დროს ადამიანი შეესწრო გველებს, გაიქცვიან და თვალი მნახველს დარჩება. ამ თვალს ერბოს ქილაში ჩადებენ. ამის შემდეგ ამ ოჯახში ერბო გამოულველია. ეს ამბავი თვალის მომტანის მეტმა არავინ არ უნდა იცოდეს.

ეხლაც იტყვიან ხოლმე: ამ ოჯახს, ალბათ, გველის თვალი აქვს, თორემ, ამდენი ქონება საიდან მოიტანესო. გამიგია, აგრეთვე, რომ ალალი და არამი გველი არსებობსო. არამი გველის ენას ინახავენ (ამოაცლიან და გაახმობენ). ტანისამოსის ნაწილში ჩაიკერებენ ხოლმე. ასეთი კაცი კველას ენას მოუჭრის, კონებამახვილი ხდება, სასამართლოში თავს უსათუოდ გაიმართლებსო.

197. სასიმილები უამოსული გვალი

ოჯახში შემოსული გველის მოკვლა არ შეიძლება, აკრძალული იყო. დოვლათის მომტანითა.

ვასილ ხვედელიძეს ბედელში პქონია სიმინდი ჩაყრილი. გამოპქონდა, ფშვნიდა, ფქვავდა და ხარჯავდა, მაგრამ ბედელში, თურმე, სიმინდს არ აკლდებოდა. ერთხელ შესულა ბედელში ვასილი და ხედავს, რომ სიმინდზე დიდი გველია გადაწოლილი. გამობრუნებულა სახლში. წამოუდია გარბატი, მოუკიდებია ცეცხლი და მიუხსრილებია სიმინდზე გაწოლილ გველისათვის. გველი წასულა. ბარაქაც თან წაუდია. ბედელი სულ მაღვე დაცარიელებულა.

გველი ხანდახან მივიდოდა ვინძეს სახლში. მნახველი მას არ ერჩოდა. უცნებლად უნდა გაეშვათ. მის სახელზე რძესაც დგამდნენ საქონლის ბაკში. ხშირად ძროხასაც მოსწოვდა ხოლმე. ძროხა არ უძალიანდებოდა მას.

198. კავკაციის ძროხა უამოსვალი გვალი

სახლში შემოჩეულ გველს არ კლავენ. გამიგია, რომ ის შემძნიათ, დოვლათი მოაქვსო. ზოგჯერ იგი ჭურის ძირს (ძროზე) გარე-

დან შემოეხვევა და შემდეგ ამ ქვევრს ღვინო არ აკლდება. ოღონდ ჭურიდან ღვინო ყოველთვის იმან უნდა ამოიღოს, ვინც პირველად ნახა შემძენი. თუ სხვამ ამოიღო, შემძენი ტოვებს ჭურის მირს და ღვინოც გამოლევას იწყებს.

199. საჟავილაზი ჩახალაური ჩაღარ-გაბალი გვალი

